დავით მინდორაშვილი

# უფლისციხე შუა საუკუნეებში



თბილისი 2008

სიძველეთა დაცვისა და შესწავლის ცენტრი

დავით მინდორაშვილი

# უფლისციხე შუა საუკუნეებში

თბილისი 2008

UDC (უაკ) 902 (479.22)

მ-688

ნაშრომი ეძღვნება ქართული მატერიალური კულტურის შესანიშნავი ძეგლის, უფლისციხის შუა საუკუნეების ისტორიის სხვადასხვა საკითხების შესწავლას. უფლისციხის ანტიკური და წინაანტიკური ხანის ისტორიის პრობლემებს არაერთი მკვლევარი შეხე-ბია და ძეგლის იმ პერიოდის შესახებ საკმაოდ მდიდარი ლიტერატურა დაგროვდა. მიუხედავად იმისა, რომ მკვლევარები დროდადრო უფლისციხის შუა საუკუ-ნეების საკითხებსაც ეხებოდნენ, დღემდე არ გვქონდა განმაზოგადებელი ნაშრომი იმ ხანის უფლისციხის შესახებ. ეს მაშინ, როცა უფლისციხემ გამორჩეული როლი ითამაშა საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძო-ლის საქმეში. წინამდებარე ნაშრომი პირველი ცდაა თავი მოუყაროს და შეძლებისდაგვარად წარმოაჩინოს შუა საუკუნეების უფლისციხის ისტორიის პრობლემები, განსაზღვროს მისი განვითარების ძირითადი ეტაპები და ხასიათი, გაანალიზოს იმ ხანის არქეოლოგიური მასალა და სხვ. მონოგრაფიას თან ერთვის უფლისციხის შესახებ არსებული ნაშრომების ბიბლიოგრაფია. წიგნი განკუთ-ვნილია, არქეოლოგების, ისტორიკოსებისა და საერთოდ, ჩვენი ქვეყნის წარსულით დაინტერესებული მკითხვე-ლისათვის.

რედაქტორი - პროფ. გიორგი რჩეულიშვილი

ISBN 978-9941-0-0997-6

# შ ე ს ა ვ ა ლ ი

«აშურიანს ზეით არს უფლისციხე, კუერნაქის გადმოკიდებულის კლდის გორასა ზედა, მტკურის კიდესა, რომელი აღაშენა პირველად უფლოს, ძემან ქართლოსისამან, და იყო ქალაქი ჩინგისამდე; აწ არს შემუსვრილი. არამედ შენობა უცხო, კლდისაგან გამოკუეთილი; პალატნი დიდ-დიდნი, ქანდაკებულნი კლდისაგანვე; გჳრაბი ჩახვრეტით ჩაკაფული მტკურამდე, დიდი. დასავლით აქუს ქარაფი მაღალი, და მას შინა გამოკუეთილნი ქუაბნი მრავალ-დიდნი, არამედ აწ შეუვალ არს ... ამის დასავლით არს ქალაქი გორი» [68, გვ. 36611-23]. ასე აღწერდა ქართული მატერიალური კულტურის შესანიშნავ ძეგლს - უფლისციხეს ვახუშტი ბაგრატიონი. შორიდანვე იპყრობს მნახველის ყურადღებას ანტიკური ხანის კლდეში ნაკვეთი ქალაქი, შუა საუკუნეებში გამორჩეული როლი რომ შეასრულასაქართველოს გაერთიანების საქმეში.

უფლისციხე ქ. გორიდან აღმოსავლეთით, 8 კმ-ის დაშორებით, მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე

მდებარეობს. ის დაქანებული რელიეფის მქონე ქვიშაქვის მასივში ამოკაფულ-გაშენებული გრანდიოზული კომპლექსია (ციხე, შიდა ქალაქი), რომელიც აღმოსავლეთიდან და ჩრდილოეთიდან კლდეში ნაკვეთი თხრილითა და თხრილის მიდევნებით აგებული კედლითაა გამაგრებული. დასავლეთი და სამხრეთი მხარე ბუნებრივადაა დაცული შვეული კლდით (ტაბ. I სურ. 1). თხრილის აღმოსავლეთითა და ჩრდილოეთით კლდეში ნაკვეთი კომპლექსებია, რომლებიც შიდა ქალაქის ცენტრალური უბნის კომპლექსებისაგან გამოირჩევა შედარებითი სიმცირითა და აღნაგობა-გაფორმების სიმარტივით [91, გვ. 109, 110, 115]. შიდა ქალაქში შესასვლელი ერთი კარი წარმოდგენილია ე. წ. «მცირე კლდეკარით» (ტაბ. II სურ. 1), მეორე - კლდეში ნაკვეთი გვირაბით. მას კიდევ ერთი შესასვლელი უნდა ჰქონოდა სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. შიდა ქალაქის ყველა ძირითადი ნაგებობა კლდეშია გამოკვეთილი, რის გამოც თითქმის უცვლელადაა შემონახული ანტიკური ნაქალაქარის გარეგნული სახე [89, გვ. 7]. ანტიკური ხანის კლდეში ნაკვეთი დარბაზები შუა - საუკუნეებშიც ინტენსიურად ყოფილა გამოყენებული. ამასთან, კლდეში ნაკვეთი კომპლექსის ტერიტორიაზე გვხვდება ნაგებობები, რომლებიც შუა საუკუნეების კლდის არქიტექტურის საკმაოდ მაღალ დონეს ადასტურებენ.

ჯერ კიდევ XIX ს-ის 30-იან წლებში უფლისციხე აღწერა და შეისწავლა დიუბუა დე მონპერემ [89, გვ. 7-15, ლიტ. იხ. იქვე]. უფლისციხეში 1852 წ. პირველმა ქართველმა არქეოლოგმა დიმიტრი მეღვინეთუხუცესისშვილმა ჩაატარა გათხრები. მას გაუთხრია უფლისციხის დიდი დარბაზი («ორსვეტიანი დარბაზი», ტაბ. IV სურ. 1),

სადაც აღმოუჩენია სვეტის ფრაგმენტები და კერამიკის ნატეხები. დარბაზის გვერდით ოთახში მიუკვლევია ქვევრებისათვის. გამთხრელის აზრით, დარბაზი, მიმდებარე ნაგებობებით, წარჩინებული პირის სასახლე იყო. არსებობს ცნობა, რომ დ. მეღვინეთუხუცესისშვილს უფლისციხეში სამარხებიც გაუთხრია [110, №70; 89, გვ. 9; 18, გვ. 15]. ამ დროიდან მოყოლებული უფლისციხის ისტორიის საკითხებს ეხებოდა არაერთი ქართველი თუ უცხოელი მკვლევარი. კლდეში ნაკვეთი კომპლექსის შესახებ გამოითქვა მთელი რიგი მოსაზრებები, რომელთაგან ზოგიერთი მცდარი და უსაფუძვლოც იყო. ეს არცაა გასაკვირი, ვინაიდან მკვლევარები განიცდიდნენ წყაროებისა და შესადარებელი მასალების უქონლობას, ნაკლებად იყო განვითარებული ქართველოლოგიური დისციპლინები, არ არსებობდა ეროვნული სამეცნიერო კადრები და სხვ. [89, გვ. 9, 10].

უფლისციხის შესწავლაში მნიშვნელოვანი წინსვლა შეიმჩნევა XIX ს-ის მიწურულიდან მოყოლებული XX ს-ის 50-იანი წლების ჩათვლით. იმ პერიოდში იზრდება უფლისციხის შესწავლაზე მომუშავე მკვლევართა რიცხვი, იწყება ძეგლის შესწავლაში ახალი გზებისა და მეთოდების ძიება. მიუხედავად მკვლევართა ერთი ნაწილის მაღალკვალიფიციური მომზადებისა, ძეგლის შესწავლა მაინცმნიშვნელოვანი ხარვეზებით მიმდინარეობდა, რადგან მკვლევარებს ხელთ არ ჰქონდათ უფლისციხის განათხარი მასალა, რომლის ანალიზი ძეგლის ისტორიის მანამდე არსებულ ბევრ ბუნდოვან და სადავო საკითხს მოჰფენდა შუქს [89, გვ. 15].

უფლისციხის შესწავლის მესამე პერიოდი იწყება 1957 წლიდან, როცა ძეგლის ტერიტორიაზე ფართოდ

გაშლილმა არქეოლოგიურმა კვლევა-ძიებამ იმთავითვე წარმოაჩინა მეტად საყურადღებო მასალები. გათხრებს წინ უსწრებდა (1956 წ.) უფლისციხისა და მისი შემოგარე-ნის არქეოლოგიური დაზვერვები.

გაირკვა, რომ კლდეში ნაკვეთი კომპლექსის ტერიტორია სამოსახლოდ უკვე ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარში აუთვისებიათ [89, გვ. 53]. გათხრებმა კლდეში ნაკვეთი კომპლექსის II უბანზე (სამხრეთ-აღმოსავლეთ კარიბჭესთან) გამოავლინა უფლისციხის არსებობის ყველა პერიოდის მასალა. იქ გამოიყო სამი კულტურული ფენა: ადრე და წინაანტიკური ხანისა, ელინისტური და გვიანანტიკური ხანისა და შუა საუ-კუნეების. თითოეული ფენა მასალების მიხედვით ნაწილდება დონეებად [92, გვ. 58]. ანტიკური ხანის ქალა-ქი მიითვლიდა ციხეს, ქალაქსა და გარეუბანს. მაგ. უფ-ლისციხის შიდა ქალაქი წარმოადგენდა ციხეს, რომელიც აღმოსავლეთიდან და ჩრდილოეთიდან კლდეში ნაკვეთი თხრილითა და თხრილის მიდევნებით არსებული კედლითაა გამაგრებული. ციხის (შიდა ქალაქის) გარშემო გაშლილია დაუცველი ან ზღუდით დაცული ქალაქი, სა-ბაზრო მოედნითა თუ მტკვარზე არსებული ნავსადგურ-ით. ქალაქს ჰქონია სასოფლო-სამეურნეო რაიონი, რომე-ლიც მეტ-ნაკლები დაშორებით გარს ერტყა ქალაქურ და-სახლებას [91, გვ. 115, 121]. გაირკვა, რომ უფლისციხე ძვ. წ. IV-III სს-ში ყოფილა იბერიის მნიშვნელოვანი პოლიტიკურ-ეკონომიკური და რელიგიური ცენტრი, რომელსაც მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთო-ბები ჰქონია კოლხეთთან, აღმოსავლეთ ხმელთაშუაზ-ღვისპირეთისა და ირანის სახელოსნო ცენტრებთან [89, გვ. 69]. ადრეული შუა საუკუნეებიდან, მთელი რიგი

სოციალურ-ეკონომიკური თუ პოლიტიკური ცვლილებების შედეგად, უფლისციხე, როგორც ქალაქი, კნინდება. ის ჩვეულებრივ ციხედ იქცევა და ასე ეგუება ახალ საზოგადოებრივ გარემოს [91, გვ. 215]. დ. ხახუტაიშვილი მიიჩნევდა, რომ უფლისციხის ცენტრალური უბნის კოჭურგადახურვიანი მთელი რიგი კომპლექსები ადრეანტიკურ ხანაში უნდა ყოფილიყო გამოკვეთილი [89, გვ. 60, 61]. გვიანანტიკური ხანით თარიღდება კესონურ-კამაროვანი ჭერის მქონე ნაგებობა (ე. წ. თეატრონი) და ზოგიერთი ბრტყელჭერიანი დარბაზი [4, გვ. 123, 124; 105, გვ.88].

უფლისციხის წარმოშობისა და მისი ფუნქციის შესახებ სხვადასხვა მოსაზრებებია გამოთქმული.მაგ.:ელინისტურ და გვიანანტიკურ ხანაში უფლისციხე სატაძრო ქალაქია, ვინაიდან ცენტრალური უბნის გამოქვაბულების უმრავლესობა ტაძრებია და არა საცხოვრებელი ნაგებობები. მართალია, არ შეიძლება უარყოფილ იქნეს იმ პერიოდში მისი პოლიტიკურ-ეკონომიკური მნიშვნელობაც, მაგრამ აქცენტი გადატანილი უნდა იყოს მის საკულტო მნიშვნელობაზე, რადგან უფლისციხის სიძლიერესა და მნიშვნელობას ქვეყნის ისტორიაში განსაზღვრავდა ქალაქის საკულტო-რელიგიური ხასიათი [122, გვ. 15].

კ. ხიმშიაშვილს მიაჩნია, რომ უფლისციხის ძირითად არქიტექტურულ თემასთან ყველაზე ახლოს დგას პართული ე. წ. «ლივანიანი სახლი.» უფლისციხის კომპლექსები ერთგვარი გამოძახილია პართული ლივანიანი სახლებისა და ისინი უნდა გამოკვეთილიყო ახ. წ. II ს-ში. ამ თარიღს თითქოს ისტორიული ვითარებაც უწყობდა ხელს. ფარსმან ქველის დროს და შემდგომ, ქვეყანა გაძლიერდა და საკმაო ხანს მშვიდი ცხოვრების საშუალება

ჰქონდა. იმ დროისათვის ახლო კონტაქტები შეინიშნება ირანულ სამყაროსთან და სხვ. მკვლევარი ფიქრობს, რომ ელინისტური ხანის უფლისციხეში წამყვანი ადგილი ეჭირა ალიზის ნაგებობებს, თუმცა არ გამორიცხავს იმ დროისათვის გამოქვაბულების არსებობასაც [95, გვ. 61-63].

გ. ყიფიანის აზრით, უფლისციხე ძვ. წ. IV ს-დან «მიცვალებულთა» ქალაქია. უფლისციხის გამოქვაბულების ჭერთა მორთულობებს (გარდა იმ ნიმუშებისა, რომლებიც უყოყმანოდ რომაული პერიოდით თარიღდება და რომლებმაც მნიშვნელოვნად შეუცვალეს ქალაქს სახე) ანალოგები ძირითადად ძვ. წ. IV ს-ის ძეგლებში ეძებნებათ და თანაც კლდოვან სამარხებში, როგორც ეტრუსკულ სამყაროში, ისე მცირეაზიაში. უფლისციხის ქვაბულების უმეტესობა თავდაპირველად სამარხ ნაგებობებად შეიქმნა დაამმოვლენასსაფუძველიძვ.წ.IVს-შიდაედო[73,გვ.104,105].

უფლისციხის ისტორიის სხვადასხვა საკითხების შესახებ დაგროვდა საკმაოდ მდიდარი ლიტერატურა, რომელშიც ძირითადად ძეგლის ანტიკური და წინაანტიკური ხანის არქეოლოგიური მასალები და პრობლემებია გაშუქებული. ვფიქრობთ, არანაკლებ მნიშვნელოვანია შუა საუკუნეების უფლისციხის ისტორიის მასალები, რომელთა პუბლიკაციასაც ეძღვნება წინამდებარე ნაშრომი. ცნობილია, რომ უფლისციხემ გამორჩეული როლი შეასრულა საქართველოს გაერთიანების საქმეში. ეს გარემოება კიდევ უფრო აძლიერებს ინტერესს შუა საუკუნეების ისტორიისსაკითხებისადმი.

შუა საუკუნეების უფლისციხის ისტორია მიითვლის საკითხთა დიდ ჯგუფს, რომლის შესწავლა გარკვეულ

სირთულეებთანაა დაკავშირებული. მაგ. იმის გამო, რომ კლდეში ნაკვეთი კომპლექსები სისტემატურად იწმინდებოდა, იქ უმეტესად უფლისციხის არსებობის ყველაზე ბოლო - გვიანდელი შუა საუკუნეების პერიოდის მასალებია შემორჩენილი. ამ მხრივ გამონაკლისია II უბანი, სადაც ძეგლის არსებობის თითქმის ყველა პერიოდია წარმოდგენილი [92, გვ. 58]. ადრეული შუა საუკუნეების კულტურული ფენა დადასტურდა მცირე კლდეკარის ორმოს გათხრებისას. კლდეში ნაკვეთი კომპლექსის ტერიტორიაზე ადრეული და განვითარებული შუა საუკუნეების არტეფაქტები უპირატესად სხვა პერიოდის მასალასთანაა შერეული და მათი ქრონოლოგიური კლასიფიკაცია ძირითადად კარგად დათარიღებული პარალელური მასალების მოშველიებით გვიხდება.

ჯერჯერობით კიდევ არაა მიკვლეული შუა საუკუნეების უფლისციხის ნეკროპოლი, რომელიც სავარაუდოდ კლდეში ნაკვეთი კომპლექსის დასავლეთით მდებარე ნასოფლარ უფლისციხის მიდამოებში უნდა არსებულიყო (1).

# თ ა ვ ი I

## შუა საუკუნეების უფლისციხე წერილობით წყაროებში

ისტორიული ტრადიციით უფლისციხე ქართველთა ერთ-ერთი ეთნარქის მცხეთოსის შვილის უფლოსის აშენებულია. შვილებისათვის სამფლობელოების განაწილების შემდეგ «უფლოს დარჩა საყოფელსა მამისა მათისა მცხეთოსისსა მცხეთას. და ეპყრა ქუეყანა არაგჳთგან და ტფილისითგან ვიდრე ტასისკარამდე და ფანავრადმდე. და ამან აღაშენა უფლისციხე, ურბნისი, კასპი, არაგჳთგან და არმაზითგან ვიდრე ტასისკართამდე უწოდა ამას ქუეყანას ზენას-სოფლისა, რომელსა აწ ჰქჳან შიდა-ქართლი»[66,გვ. 104-7].

ქართული წერილობითი წყაროები უფლისციხეს მოიხსენიებენ ალექსანდრე მაკედონელის ქართლში «ლაშქრობასთან» დაკავშირებით. მოქცევაჲ ქართლისაჲ ამ ეპიზოდის გადმოცემისას მას კასპის ციხედ მიიჩნევს («უფლისციხჱ კასპისა») [45, გვ. 81], ლეონტი მროველი - დამოუკიდებელ ციხე-ქალაქად [66, გვ. 1720]. დღემდე საკამათოდ რჩება საკითხი, რას წარმოადგენდა უფლისციხე აღნიშნულ პერიოდში. ეს იყო ანტიკური ხანის ქალაქი, თავისი ყველა დამახასიათებელი ნიშნებით? თუ როგორც მოქცევაჲ ქართლისაჲ მიუთითებს ქალაქ კასპის ციხე და სხვ. [91;92,გვ.4-11;81,გვ.112,113].

შემდგომში უფლისციხე ახ. წ. I ს-თვის იხსენიება. მოქცევაჲ ქართლისაჲ გადმოგვცემს: «მეფობდა არსუკ, რომელმან კასპი შეიპყრა და უფლისციხე განაგო» [45, გვ. 82]. ამ ამბავს ლეონტი მროველი შემდეგნაირად აღწერს: «ამან არშაკ განაშუენა ნელქარ, ქალაქი კახეთისა, რომელ

არს ნეკრესი, და ჰმატა სიმაგრესა უფლისციხისასა» [66, გვ. 3310, 11]. ჩანს, არსუკს იქ დიდი სამშენებლო სამუშაოები ჩაუტარებია, იმდენად, რომ მკვლევართა აზრით, მას კლდეში ნაკვეთი კომპლექსისათვის სახეც უცვლია და ფუნქციაც [73, გვ. 11, 12].

ახ. წ. IV ს. ქართლში მნიშვნელოვანი ძვრების ეპოქაა - ხელისუფლებამ ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა. ამ მნიშვნელოვან მოვლენასთან, კერძოდ, მირიან მეფის გაქრისტიანებასთან დაკავშირებით იხსენიება წყაროებში უფლისციხე. მირიან მეფე «განვიდა ნადირობად მუხნარით კერძო, და მოვლო სანახები მუხნარისა და განვიდა მთათა ზედა თხოთისათა მაღნარ-თა, რათამცა მოხედნა ციხეთა მათ დიდთა ასპად და კასპ-ად და უფლისციხედ» [45, გვ. 135]. უეჭველია, იმ პერი-ოდში უფლისციხე უმნიშვნელოვანესი პუნქტია - «დიდი ციხეა».

ამის შემდეგ, წერილობით წყაროებში უფლისციხის სახელი კარგახანს ქრება. ფიქრობენ, რომ უფლისციხე, რომელიც ანტიკურ ხანაში ერთ-ერთი დიდად დაწინაუ-რებული ქალაქი იყო, ახ. წ. IV ს-დან თანდათან კარგავს საქალაქო ცენტრის იერს და ციხის მდგომარეობამდე ქვეითდება [91, გვ. 123]. მკვლევართა ერთი ნაწილის მიხედვით, უფლისციხე სატაძრო ქალაქია. სხვა მოსაზ-რებით ის კლდოვანი სამარხია - მიცვალებულთა ქალაქია [122, გვ. 15; 95, გვ. 61-63; 73, გვ. 104, 105].

რა ფუნქციაც არ უნდა ჰქონოდა კლდეში ნაკვეთ კომპ-ლექსს, ფაქტია, რომ IV ს-ში მომხდარმა უზარმაზარმა პოლიტიკურ-ეკონომიკურმა თუ სოციალურმა ძვრებმა უფლისციხეზეც მოახდინა დიდი გავლენა. ამიერიდან, ვიდრე IX ს-მდე უფლისციხე ქვეყნის პოლიტიკურ თუ

კულტურულ-ეკონომიკურ ცხოვრებაში აღარ თამაშობდა რაიმე მნიშვნელოვან როლს. წინა პერიოდთან შედარებით ის საკმაოდ დაკნინებულ-დამცრობილი ციხე ჩანს.

შეცვლილი პოლიტიკური ვითარების გამო IX ს-დან უფლისციხის როლი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში განსაკუთრებით იზრდება. იმ დროს თბილისი არაბთა ხელშია. უფლისციხე კი აღმოსავლეთ საქართველოში ქართველთათვის უმთავრეს პოლიტიკურ ცენტრად იქცა. «ამ დროიდან მოყოლებული, უფლისციხეს, სანამ დასავლეთისა და აღმოსავლეთის გაერთიანება არ მოხდა, მნიშვნელობა არ დაუკარგავს» [96, გვ. 35]. IX-X სს-ში ის შიდა ქართლის პოლიტიკური ცენტრია. უფლისციხის ხელში ჩაგდება ნიშნავდა ქართლში გაბატონებას. ამიტომ, X ს-ის 70-იან წლებში ქართველ მეფე-მთავართა შორის ბრძოლას «ქართლსა ზედა» მემატიანე უფლისციხისათვის წარმოებულ ბრძოლად თვლიდა [66, გვ. 272; 35, გვ. 256]. საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლაში უფლისციხემ გამორჩეული როლი შეასრულა.

IX ს-ის დასაწყისში არაბთა სახალიფოს ცენტრალური ხელისუფლება საკმაოდ სუსტდება. თბილისელი ამირები ცდილობენ ხალიფასაგან დამოუკიდებლობა მოიპოვონ. ბრძოლა ხალიფას ცენტრალურ ხელისუფლებასა და თბილისის ამირა საჰაკს შორის განსაკუთრებით მწვავდება IX ს-ის 40-იან წლებში [96, გვ. 93; 35, გვ. 160]. 842 წ. ახლო ხანებში თბილისელი ამირასა და მისი მომხრეების დასასჯელად ხალიფამ გამოგზავნა მუჰამედ იბნ-ხალიდი. არაბთა შორის ამტყდარი ბრძოლით ისარგებლეს ქართველებმა. საჰაკს კახ-გარდაბნელნი მიემხრნენ, მუჰამედს კი «მოერთო ბაგრატ

ძე აშოტ კურაპალატისა.» სანამ საჰაკს კახელები მოუს-წრებდნენ, «მოჰამედ და ბაგრატ წარიღეს უფლისციხე.» ამირას წინააღმდეგ დახმარების სანაცვლოდ, მუჰამედს ქართლი ბაგრატ კურაპალატისათვის უბოძებია [66, გვ. 2552, 3, 10].

მუჰამედის ლაშქრობამ საჰაკს ურჩობა ვერ მოაშლევინა. ამიტომ 853 წ. არაბთა სარდალი ბუღა თურქი ქართლს შემოესია. შემუსრა თბილისი და საჰაკი სიკვდილით და-საჯა. ბაგრატ კურაპალატს აქაც ბუღას მხარე დაუჭერია, რითაც თავისი პოზიციები საგრძნობლად გა-ნუმტკიცებია [96, გვ. 97, 98]. თუმცა, გაძლიერებული ეგრის-აფხაზეთის სამეფოს მისწრაფებას - ხელში ჩაეგდო ქართლი, ბაგრატ კურაპალატი წინ ვეღარ აღუდგა. «მას ჟამსა გამოვიდა იგი აფხაზთა მეფე გიორგი, ძმა თეო-დორესი და დიმიტრისი, ძე ლეონისი, დაიპყრა ქართლი» [66, გვ. 2623].

იმ დროს განსაკუთრებით ძლიერდება სომხეთის ერისთავთ-ერისთავი აშოტ ბაგრატუნი და პრეტენზიას აცხადებს ქართლზე, რომელიც ეგრის-აფხაზთა მეფის ხელში იყო. ამიტომ, აშოტ ბაგრატუნს ქართლში დასამკვიდრებლად ჯერ აფხაზთა მეფე უნდა დაემარცხე-ბინა. სომხები ქართლში გაბატონების შემდეგ ადვილად ჩაიგდებდნენ ხელში აბოცსა და ტაშირს. ეს საშიშროება კარგად გაუთვალისწინებიათ გუარამ მამფალსა და მის შვილს ნასრს. ამიტომ, ისინი ეგრის-აფხაზეთის მეფეს მიმხრობიან. ხოლო კლდეკარის ერისთავი ლიპარიტი და ბაგრატის შვილი დავით კურაპალატი, რომლის მამასაც აფხაზთა მეფე გიორგიმ ქართლი წაართვა, სომეხთა ერისთავთ-ერისთავის მხარეზე დამდგარან. «ამგვარად - წერდა ივ. ჯავახიშვილი - საქმე უფრო გართულდა ... თუ

აქამდის ერთმანეთს მხოლოდ ქართველი მთავრები ეცილებოდნენ, ამიერითგან სომეხთა მთავრის ჩარევამ ბრძოლის საზღვრები და ასპარეზი გააფართოვა. თუ წინათ ბრძოლას უნდა გადაეწყვიტა, თუ რომელ ქართველ მთავარს დარჩებოდა საქართველოს მეთაურობა, ამიერითგან ბრძოლას უნდა გამოერკვია, ვის ჩაუვარდებოდა ხელში საქართველოსი და სომხეთის, ანუ მთელი კავკასიის მეთაურობა.» როგორც ჩანს, ამ ეპიზოდში გამარჯვება აშოტ ბაგრატუნსა და მის მომხრეებს დარჩათ [96, გვ. 101, 102].

891 წელს აშოტ ბაგრატუნი გარდაიცვალა. სომხეთში ტახტისათვის ბრძოლა გაჩაღდა. სომხებს ქართლისათვის აღარ ეცალათ. X ს-ის დამდეგს უფლისციხეში ქართლის რომელიღაც აზნაურთაგანი მჯდარა. «იპყრობდეს ქართლსა აზნაურნი» - გვაუწყებს მემატიანე [66, გვ. 2622].

ბრძოლა უფლისციხის ანუ მთელი ქართლის ხელში ჩასაგდებად არ შეწყვეტილა. 904 წელს აფხაზთა მეფე კონსტანტინემ ქართლი დაიკავა. ამის გამო «ემტერა სომეხთა მეფე სუმბატ ტიეზერაკალი. გამოილაშქრა სპითა დიდითა და მოადგა უფლისციხესა, და მოიღეს პალან-კურდანი, აღმოაგეს ზემო-კერძო და წარიღეს ციხე ჯერჯითა» [66, გვ. 2623-5]. როგორც წყარო გვაუწყებს, ბრძოლაში სომხებს ხერხი უხმარიათ, ციხის შედარებით უფრო მისადგომ ფერდობზე (ქარაფების მხრიდან ამის გაკეთება შეუძლებელი იქნებოდა) აქლემის კურტნების (2) ერთმანეთზე დალაგებით, უფლისციხეში შეჭრა მოუხერხებიათ და ამგვარად დაუკავებიათ ციხე. კონსტანტინემ დაზავება არჩია, მაგრამ სომეხთა დიდებულებთან მოლაპარაკების დროს, ადარნასე ქართველთა მეფის (რომელიც სომეხთა მოკავშირე იყო ამ ბრძოლაში) ბრძა-

ნებით კონსტანტინე დაუტყვევებიათ და ანისში გაუგზავნიათ [96, გვ. 104]. თუმცა, მოვლენათა შემდგომმა მსვლელობამ აიძულა სუმბატი, რომ გაეთავისუფლებინა აფხაზთა მეფე. უფრო მეტიც, სუმბატმა კონსტანტინეს «უკუმოსცა უფლისციხე და ყოველი ქართლი» [66, გვ. 2626, 7].

ეს მოვლენა რამდენადმე ვრცლადაა გადმოცემული იოანე დრასხანაკერტელის ნაშრომში «სომხეთის ისტორია.» კონსტანტინეს გათავისუფლებას და მისთვის ქართლის დაბრუნებას სომეხი მემატიანე იმით ხსნის, რომ «სუმბატმა დაინახა განხეთქილება ეგრისელთა, რომლებიც სასწრაფოდ დაიყვნენ და უკვე მომზადებულები იყვნენ ... კონსტანტინეზე უფრო მძლავრი დაეყენებინათ თავიანთ მეფედ.» ამასთან, სუმბატმა თითქოს ანგარიში გაუწია კონსტანტინეს, როგორც ადარნასეს სიძეს [23, გვ. 109-112]. მკვლევართა აზრით, გამორიცხულია სუმბატს კონსტანტინე ქართველთა მეფის თხოვნით გაეთავისუფლებინა [1, გვ. 205]. ბუნებრივია, რომ ადარნასე კონსტანტინეს დატყვევებითა და მისი ქართლიდან ჩამოშორებით საკუთარი მიზნების განხორციელებისაკენ ისწრაფოდა. მაგრამ სუმბატმა გაათავისუფლა კონსტანტინე და ქართლიც დაუბრუნა. შესაძლოა, კონსტანტინესა და სუმბატს შორის მოხდა რაღაც გარიგება. საფიქრებელია, სწორედ ადარნასეს პოლიტიკური ინტერესების ხარჯზე, რამაც ადარნასესა და სუმბატს შორის ერთხანს სასტიკი მტრობაც კი ჩამოაგდო.

914 წელს სამხრეთ კავკასიას შემოესია არაბთა სარდალი აბულ კასიმი. «მოსრა ყოველი სომხითი, სივნიეთი, ვაეძორი და ასფურაგანი და მოაოჴრა ქართლი» [66, გვ. 26210, 11]. კონსტანტინე აფხაზთა მეფეს ბრძოლისათვის

თავი აურიდებია, მაგრამ არაბები უფლისციხეში რომ არ გამაგრებულიყვნენ, ვიდრე აბულ კასიმი უფლისციხეში შევიდოდა «მოარღვვნეს ზღუდენი უფლისციხისანი» [66, გვ. 26314]. როგორც უფლისციხის II უბნის გათხრებისას გაირკვა, ზღუდის კედელი შეიცავდა რამდენიმე სამშენებლო ფენას. მათგან ერთი - აგურით ნაგები კედელი სწორედ 914 წელს აბულ კასიმის შემოსევისას თვით უფლისციხელებს უნდა დაენგრიათ [90, გვ. 19]. აბულ კასიმის სამხრეთ კავკასიიდან გასვლის შემდეგ კონსტანტინემ კვლავ დაიბრუნა ქართლიცა და უფლისციხეც.

922 წელს კონსტანტინე გარდაიცვალა. ადარნასე კურაპალატმა ისარგებლა ეგრის-აფხაზთა სამეფოში ტახტის მემკვიდრეთა შორის ამტყდარი ბრძოლით და ქართლი დაიკავა. მალე ადარნასეც გარდაიცვალა და ქართლს კვლავ ეგრის-აფხაზეთის მეფე - გიორგი კონსტანტინეს ძე დაეპატრონა. ეს უნდა მომხდარიყო 923-924 წლებისათვის [35, გვ. 247]. გიორგიმ ქართლის გამგებლობა ჩააბარა თავის უფროს შვილს კონსტანტინეს, რომელმაც სამი წლის შემდეგ «იწყო მტრობად მამისა თÂსისა და ძებნად მეფობისა ... შედგა იგი უფლისციხეს და შეუდგეს თანა ტბელნი და სხუანი მრავალი აზნაურნი» [66, გვ. 2672-4]. როგორც წყაროდან ჩანს, მამის წინააღმდეგ ბრძოლაში კონსტანტინეს საკმაოდ დიდი ძალები _ «ტბელნი და სხუანი მრავალნი აზნაურნი» უჭერდნენ მხარს. ტბელების აღზევება შიდა ქართლის ერისთავებად IX ს-ში უნდა დაწყებულიყო. X ს-ის 20-იან წლებში ტბელების საგვარეულო შიდა ქართლში აფხაზთა მეფის ხელისუფლების დამკვიდრების წინააღმდეგ გამოდის [35, გვ. 263]. მართალია, X ს-ის 70-იან წლებში ქართლის ერისთავი ივანე მარუშის ძეა, მაგრამ ტბელებს

იმ პერიოდშიც კვლავ დიდი გავლენა ჰქონიათ და ბაგრატ III-ის ქართლში გამეფების წინააღმდეგაც იბრძოდნენ [66, გვ. 2767].

ურჩი შვილის დასასჯელად «გიორგი მეფემან ... გამოილაშქრა ყოვლითა ძალითა თჳსთა და მოიყვანნა ტაოელნი მეფენი და ფადლა ქორეპისკოპოსი, და მოადგეს უფლისციხეს» [66, გვ. 2676, 7]. ბრძოლა მამა-შვილს შორის სასტიკი ყოფილა. მატიანეს ცნობით ეს ბრძოლა საკმაოდ გაჭიანურებულა («ბრძოდეს მრავალთა დღეთა»). კონსტანტინეს დიდი ძალები ჰყოლია ციხეში გამაგრებული («მრავლად დგეს შიგნით»). ამასთან, მოწინააღმდეგე მხარეები ბრძოლის განსხვავებულ ხერხებს მიმართავდნენ («ზოგსა დღესა შეიბნიან ცხენითა და ზოგსა დღესა ქუეითნი») [66, გვ. 2677-9]. მართალია, გიორგის «ტაოელნი მეფენი» და კახეთის ქორეპისკოპოსი ფადლა ეხმარებოდნენ, უფლისციხე ისე კარგად ყოფილა გამაგრებული, რომ ისინი «ვერარას ავნებდეს ციხესა» [66, გვ. 2678]. როგორც ვიცით, 914 წელს აბულ კასიმის შემო-სევისას კონსტანტინე აფხაზთა მეფემ უფლისციხის ზღუდენი მოარღვევინა. X ს-ის 25-იანი წლებისათვის უფლისციხე კვლავ მიუვალ ბასტიონად უქცევიათ - გიორგი მეფემ ტაოელთა და კახელთა დახმარებითაც ვერაფერი დააკლო ციხეს. ჩანს, 914-926 წლებში უფლის-ციხის მორღვეული ზღუდე კვლავ განუახლებიათ. ამ აღდგენაზე მიუთითებს დღეისათვის შემორჩენილი ზღუდის კედლის ყველაზე მაღლა მდებარე შრე, რომელშიც ძირითადად ნაგლეჯი ქვებია გამოყენებული. შემდგომში კედელს არსებითი გადაკეთება არ განუცდია. თუმცა შემორჩენილია კიდევ ერთი, შედარებით მოგვია-ნო, მცირე შეკეთების კვალი [90, გვ. 19]. უდავოა, უფლის-

ციხის გამაგრების ინიციატორი უფლისწული კონსტანტინე გიორგის ძეა, რადგან ჯერ ერთი - ზღუდემორღვეული ციხის ამარა ის მამის წინააღმდეგ ასეთი მასშტაბური აჯანყების მოწყობას ვერ გაბედავდა და მეორეც - ვახუშტი ბაგრატიონი პირდაპირ მიუთითებს, რომ «კონსტანტინემ განამაგრა უფლისციხე» [66, გვ. 1351, 2]. ამგვარად, უნდა ვიფიქროთ, რომ უფლისციხის ზღუდის აღდგენა კონკრეტულად 923-926 წლებში უნდა მომხდარიყო უფლისწულ კონსტანტინეს მიერ.

როცა ბრძოლით ვერაფერს გამხდარა, «მაშინ გიორგი მეფემან აბირნა აზნაურნი საზუერელნი,» რომლებიც კონსტანტინეს ვითომ აფხაზეთში გამეფებას შეპირდნენ. კონსტანტინემ ყური არ უგდო ერთგული მომხრეების რჩევას და ღამე ტივით გამოვიდა აზნაურებთან შესახვედრად. თუმცა, შემდგომ მიმხვდარა, რომ ღალატობდნენ და უკანვე ცდილობდა გაბრუნებას, მაგრამ «ვერღარა დაიმორჩილნეს ტივნი და ჩაჴდეს ადგილსა, სადა ტივნი დადგებოდეს» [66, გვ. 26710-16]. კლდეებში მიმალული უფლისწული გათენებისას უპოვიათ და მეფისათვის მიუგვრიათ. მას ჯერ თვალები დათხარეს, შემდეგ დაასაჭურისეს. უფლისწულს ამდენი ტანჯვისათვის ვეღარ გაუძლია და გარდაცვლილა. მეფის რისხვას ალბათ ვერც კონსტანტინეს მომხრეები გადაურჩებოდნენ, მაგრამ გიორგიმ «ტბელები განუტევა მშჳდობით» [66, გვ. 26720, 2681, 2]. მეფის მიერ ტბელებისადმი ასეთი ანგარიშის გაწევა ამ საგვარეულოს განსაკუთრებულ ძლიერებასა და გავლენაზე უნდა მეტყველებდეს [35, გვ. 251].

კონსტანტინეს შემდეგ, გიორგისავე მეფობაში, ქართლის ერისთავად უფლისწული ლეონია. 967 წელს ლეონი გარ-

დაიცვალა და ეგრის-აფხაზეთის სამეფო ტახტი დაიკავა მისმა ძმამ დემეტრემ, რომელიც «ეუფლა ქართლს» [66, გვ. 27013].

ჯერ კიდევ ადრე, შვილებს შორის ტახტისათვის ბრძოლის თავიდან აცილების მიზნით, გიორგი მეფემ თავისი ორი ვაჟი თეოდოსი და ბაგრატი ბიზანტიაში გაგზავნა და სახელმწიფო საქმეებს ჩამოაშორა, მაგრამ დემეტრესადმი ოპოზიციურად განწყობილმა ჯგუფმა, მისი ტახტზე ასვლის შემდეგ, თეოდოსი ბიზანტიიდან გამოიწვია. ტახტისათვის წარმოებულ ბრძოლაში გამარჯვება დემეტრეს დარჩა და თეოდოსს მეფობა რომ ვეღარ შეძლებოდა, მას თვალები დათხარა. დემეტრე 975 წელს გარდაიცვალა და რადგან მას ძე არ ჰყავდა, «გამოიყვანეს თეოდოსი და დასუეს მეფედ» [66, გვ. 2727]. უსინათლო მეფე დიდებულ აზნაურთა სათამაშო გახდა. ქვეყანა აიშალა. კახეთის ქორეპისკოპოსმაც არ დააყოვნა «მოადგეს უფლისციხესა და იყო მას ჟამსა ერისთავი ქართლისა ივანე მარუშის-ძე, კაცი ძლიერი და ერმრავალი» [66, გვ. 2728, 9]. ივანე მარუშის ძემ «წარავლინა მოციქული წინაშე დავით კურაპალატისა ... რათა გამოილაშქროს ... აღიღოს ქართლი, ანუ დაიმჭიროს თჳთ, ანუ უბოძოს ბაგრატს» [66, გვ. 2729-11]. გეგმა ერთობ რეალური და შორს გამიზნული იყო. დავით კურაპალატს შვილი არ ებადა და «ბაგრატ, ძე გურგენისი გაეზარდა შვილად თჳსად» [66, გვ. 27220]. მამის მხრივ ბაგრატი ტაო-კლარჯეთის მემკვიდრე და მომავალი მეფე იყო, დედის ხაზით - ეგრის-აფხაზეთისა. დავითმა მისაღებად ცნო მარუშის ძის წინადადება და ქართლისაკენ დაიძრა. «რაჟამ ცნეს მოსვლა მისი კახთა, წარვიდეს და დაუტევეს ქართლი.» ივანე მარუშის ძე დავით კურაპალ-

ატს ქვახვრელში შეეგება. დავითმა «აღიღო მისგან უფლისციხე, და მიუბოძა ბაგრატს და მამასა მისსა გურგ-ენს» [66, გვ. 27216-19].

გ. მელიქიშვილი ბაგრატისათვის ივანე მარუშის ძის მიერ უფლისციხის გადაცემის ფაქტს შემდეგნაირად განიხილავდა: «ყველაზე მეტ გაკვირვებას იწვევს აქ სწორედ ქართლში აფხაზთა მეფის ნაცვლის ივანე მარუშის ძის საქციელი. იგი ისე თავისუფლად განაჩუქებს ქართლს, რომ მეფის ნაცვლისათვის უეჭველად შეუფერებელ როლში გვევლინება. უფრო საკვირველი ის არის, რომ სახელმწიფოს ერთი ნაწილის ამგვარად გაჩუქების შემდეგ, იგი, ჩანს, მშვიდად განაგრძობს საქმიანობას საკუთრივ აფხაზეთში და სამი წლის შემდეგ ახლა უკვე მთელ აფხაზეთს მიართმევს ბაგრატს. წყაროს მიხედვით დაგვრჩენია ვიფიქროთ, რომ ამ პერიდში აფხაზეთში სამეფო ხელისუფლება ფაქტიურად მოშლილია.» სავარაუდოა, რომ 975 წლის აქტი თვით აფხაზეთის ცენტრალური ხელისუფლების დასტურით მოხდა, რამდენადაც ამ უკანასკნელის რეაქცია ქართლის დაკარგვაზე აბსოლუტურად არ ჩანს [37, გვ. 10]. გ. მელიქიშვილის აზრით, ჩანს, ქართლი რჩებოდა ნომინალურად აფხაზეთის შემადგენლობაში, მაგრამ იგი ივანე მარუშის ძის ხელიდან გადადიოდა აფხაზთა მეფის თეოდოსის დის, გუარანდუხტის ხელში. აშკარაა, რომ ეს აფხაზეთის ცენტრალური ხელისუფლების თანხმობით მომხდარი აქტი იყო, თუმცა ისიც აშკარაა, რომ ყველაფერი ეს დავით კურაპალატის ძალითა და მფარველობით განხორციელდა. მართლაც, ბაგრატის ქართლში გამეფებასთან ერთად საკმაოდ აქტიურად მოქმედებენ ამ უკანასკნელის მშობლები - მამა გურგენი და განსაკუთრებით დედა გუარანდუხტი

[37, გვ. 11]. ბუნებრივია, დიდაზნაურებს ბაგრატის ქართლში დამკვიდრება ხელს არ აძლევდა, ვინაიდან ამ აქტში საკუთარი ძალაუფლების შეკვეცის საფრთხეს ხედავდნენ. ამიტომ «მოიყვანეს ლაშქარნი კახეთით და გასცეს უფლისციხე, შეიპყრეს გურგენ და ძე მისი ბაგრატ და დედოფალი გუარანდუხტ, წარიყვანეს კახეთად.» დავით კურაპალატი თავისი ლაშქრით თრიალეთს მისულა კახეთზე გასალაშქრებლად, მაგრამ კახელებს მასთან მოციქულები მიუგზავნიათ. კახელებმა «განუტევნეს გურგენ და ბაგრატ და დედოფალი გუარანდუხტ ... შეუქციეს ქართლი და უფლისციხე.» «მას ჟამსა ეპყრა უფლისციხე და ქართლი გუარანდუხტ დედოფალსა» [66, გვ. 27418, 2751-3].

978 წელს ივანე მარუშის ძის მხარდაჭერითა და აქტიური მონაწილეობით ბაგრატი ადის ეგრის-აფხაზეთის სამეფო ტახტზე [66, გვ. 2759-17]. ამის შემდეგ ბაგრატი ქართლში გადავიდა, რათა «დაშლილნი საქმენი მოეგვარებინა.» ბაგრატის ქართლში გადმოსვლა ხელს არ აძლევდა აზნაურებს, რომლებიც ფაქტიურად მემატიანეს თქმით «თითოეულად განაგებდნენ საქმეთა ქართლისათა» [66, გვ. 2763-5]. მეფის ცენტრალური ხელისუფლების მოწინააღმდეგე აზნაურებმა «იწინამძღვრეს ქავთარ ტბელი» და ბაგრატს მოღრისთან შეებრძოლნენ. ბაგრატმა დაამარცხა აზნაურები. «მივიდა უფლისციხეს, აღიღო ციხე დედისაგან ... განაგნა ... საქმენი ქართლისანი» და აფხაზეთს დაბრუნდა [66, გვ. 27610-12].

«მატიანე ქართლისაჲ»-ს მიხედვით, ბაგრატ III (975-1014 წწ.) ქართლში გადმოდის ურჩ აზნაურებთან საბრძოლველად. თუმცა, ატენის სიონის ერთ-ერთი სომხური წარწერა რამდენადმე სხვაგვარად წარმოგვიდგენს

ამ ვითარებას. წარწერაში პირდაპირაა მოხსენიებული, რომ ბაგრატი ქართველთა დედოფალს «შეედავა და ... ოფლიცხე დაიკავა.» ჩანს, რომ ბაგრატისადმი ქართლის აზნაურთა წინააღმდეგობა გუარანდუხტ დედოფლის მიერ ამ უკანასკნელთა მხარდაჭერის გარეშე არ მომხდარა [3, გვ. 57]. «მატიანე ქართლისაჲ» მხოლოდ გაკვრით, მაგრამ მაინც მიუთითებს დედა-შვილს შორის არსებულ კონფლიქტზე. მას შემდეგ, რაც კახელებმა დავით კურაპალატის ჩარევის შემდეგ გაათავისუფლეს დატყვევებული გურგენი, ბაგრატი და გუარანდუხტი, ქართლის გამგებლობას გუარანდუხტი ეუფლება - «მას ჟამსა ეპყრა უფლისციხე და ქართლი გუარანდუხტ დედოფალსა» [66, გვ. 30214]. იგივეს იმეორებდა ვახუშტი ბაგრატიონი - «ეპყრა უფლისციხე გუარანდუხტს» [68, გვ. 1389]. ნიშანდობლივია, რომ დიდაზნაურთა დამარცხებისა და დედისაგან უფლისციხის დაბრუნების შემდეგ, ბაგრატმა გუარანდუხტი თავისთან, აფხაზეთში წაიყვანა [66, გვ. 27612], რითაც დედოფალს მოუსპო დამოუკიდებელი, სეპარატისტული პოლიტიკის გატარებისა და დიდაზნაურთა მხარდაჭერის საშუალება.

XI ს-ში უფლისციხე კვლავ ითვლებოდა ქართლის დიდმნიშვნელოვან სიმაგრედ, რომელიც ლიპარიტ კლდეკარის ერისთავს წაურთმევია ბაგრატ IV-თვის (1027-1072 წწ.). თურქების მიერ ლიპარიტის დატყვევების შემდეგ, ბაგრატმა «აღიღო უფლისციხე» [66, გვ. 30214]. ამრიგად, უფლისციხე კვლავ მეფის ხელშია. მაგრამ ლიპარიტი ტყვეობიდან გათავისუფლდა და ბაგრატი იძულებული გახდა ბიზანტიის კეისარს ხლებოდა. ლიპარიტის ხრიკების წყალობით მან იქ სამი წელი დაჰყო. ამით უსარგებლია კლდეკარის ერისთავს და

კვლავ დაუჭერია ქართლი [96, გვ. 148]. ლიპარიტის ასე გაძლიერება არაფრად მოეწონათ დიდებულებს. სულა კალმახელმა და მესხმა აზნაურებმა შეიპყრეს ლიპარიტი და მეფეს მიჰგვარეს ჯავახეთში. ბაგრატმა «ჴელთა აღიხუნა ლიპარიტეთგან ციხენი არტანუჯი და ყუელი, უფლისციხე და ბირთვისი» [66, გვ. 3066-8].

წერილობითი წყაროებიდან კარგად ჩანს, რომ IX-XI სს-ში უფლისციხე, როგორც შიდა ქართლის ძლიერი სამხედრო-სტრატეგიული პუნქტი, უშუალოდ მეფის ხელისუფლებას ემორჩილება. ის ჯერ ეგრის-აფხაზეთის, შემდეგ კი გაერთიანებული საქართველოს მეფეთა რეზიდენციაა შიდა ქართლში. სამეფო ხელისუფლება უფლისციხესა და მთელ შიდა ქართლს განაგებდა ტახტის მემკვიდრეების, სამეფო ოჯახის სხვა წევრებისა (უფლისწულები – კონსტანტინე, ლეონი, ბაგრატ III-ის დედა - გუარანდუხტი) თუ დიდაზნაურების (ივანე მარუშის ძე) მეშვეობით, რომლებიც ფაქტიურად მეფისნაცვლებად გვევლინებიან შიდა ქართლში.

დავით აღმაშენებელის (1089-1125 წწ.) მიერ თბილისის გათავისუფლების შემდეგ, გაერთიანებული საქართველოს მეფეებმა ტახტი თბილისში დაიდგეს. მანამდე არსებული ცალკეული სამეფო-სამთავროების ცენტრები: არტანუჯი, უფლისციხე, ხორანთა, თელავი, როგორც პოლიტიკური მნიშვნელობის პუნქტები, კარგავენ უპირატესობას [86, გვ. 7]. XI-XII სს-ის მიჯნაზე მნიშვნელოვან ეკონომიკურ ცენტრად იქცა ქალაქი გორი, რომელიც ჩრდილოეთის, სამხრეთისა და დასავლეთის გზების ჯვარედინზე მდებარეობდა [116, გვ. 43]. ის თან-დათანობით პირველობას ართმევს და ენაცვლება უფლისციხეს, როგორც შიდა ქართლის ერთ-ერთი

ძლიერი პოლიტიკურ-ეკონომიკური ცენტრი [90, გვ. 111]. ფიქრობენ, რომ სამეფო რეზიდენციისა და მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტის კვალობაზე, IX-XI სს-ში უფლისციხე ციხე-ქალაქია, რომლის ყოფაში ძირითადი როლი მიეკუთვნებოდა ციხეს (სამხედრო-სტრატეგიულ და ადმინისტრაციულ პუნქტს), ქალაქურ მომენტს კი დაქვემდებარებული ადგილი ეკავა [91, გვ. 29; 73, გვ. 72] (3). მართალია, ტერმინს «ციხე-ქალაქი» ქართული წყაროები კარგად იცნობს, მაგრამ შუა საუკუნეების პერიოდის ამსახველ სხვადასხვა წყაროებში უფლისციხე ყველგან მხოლოდ ციხედაა მოხსენიებული და არა ციხე-ქალაქად. მაგ.: «დიდი ციხე» (მოქცევაჲ ქართლისაჲ) [45, გვ. 135], «წარიღეს ციხე ჴერჴითა,» «ვერარას ავნებდეს ციხესა,» «რათამცა შევიდა ციხესავე,» «დაიცვეს ციხე გარშემო,» «ციხესა შინა,» «აღიღო ციხე», «ციხენი არტანუჯი და ყუელი, უფლისციხე და ბირთვისი» (მატიანე ქართლისაჲ) [66, გვ. 2625, 26715, 17, 2681, 27611, 3057, 8], «გიორგი მეფემან ვერ შემუსრა ციხე» (ვახუშტი ბაგრატიონი) [68, გვ. 1352, 3]. უფლისციხეს მხოლოდ ერთგან იხსენიებს ვახუშტი ბაგრატიონი ქალაქად - «იყო ქალაქი ჩინგიზამდე» [68, გვ. 36614], მაგრამ შუა საუკუნეების უფლისციხისათვის ქალაქის სტატუსის მინიჭება არაა მართებული. ყველა ქართულ წყაროში ის ციხეა, გარდა ლეონტი მროველის «მეფეთა ცხოვრების» ერთი ადგილისა, სადაც უფლისციხე «ციხე-ქალაქად» მოიხსენიება. თუმცა, ეს ცნობა ეხება არა შუა საუკუნეებს, არამედ ალექსანდრე მაკედონელის ქართლში «ლაშქრობის» ხანას [66, გვ.17].

როგორც ვხედავთ, შიდა ქართლში IX-XI სს-ის პოლიტიკური მოვლენები უფლისციხესთანაა

ფოკუსირებული. ბაგრატ III-ის მიერ ძირითადი ქართული ქვეყნების გაერთიანების შემდეგაც უფლისციხეს არ დაუკარგავს თავისი როლი. თბილისის განთავისუფლებამდე ის წარმოადგენდა საქართველოს მეფეთა რეზიდენციასა და ძლიერ სამხედრო-სტრატეგიულ პუნქტს ქართლის ტერიტორიაზე. შეცვლილი პოლიტიკური ვითარების გამო (თბილისის განთავისუფლება, გორის დაწინაურება) უფლისციხე კარგავს სამხედრო-სტრატეგიული და ადმინისტრაციული ცენტრის მნიშვნელობას და მისი პოზიციები საგრძნობლად სუსტდება. XII-XIII სს-ში ის უკვე ჩვეულებრივი ციხეა [117, გვ. 23]. ჯერ მონღოლთა მრავალწლიანმა ბატონობამ, შემდეგ კი თემურ-ლენგის მრავალგზის ლაშქრობამ აუნაზღაურებელი ზარალი მიაყენა ქვეყნის ეკონომიკას. ქვეყნის დასუსტების კვალობაზე უფლისციხეც სულ უფრო და უფრო კნინდება. თუმცა, როგორც არქეოლოგიური მასალები და წერილობითი წყაროები მიუთითებს, იქ ცხოვრება შემდგომშიც დიდხანს არ შეწყვეტილა.

1392 წელს ქართლ-კახეთ-მესხეთის საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარში ნახსენებია «სოფელი უფლისციხე, მონასტერი და ციხე» [69, გვ. 179]. საბუთი იმითაა საინტერესო, რომ აქ პირველად ჩნდება ცნობა სოფელ უფლისციხის შესახებ, რომელიც ბუნებრივია, ციხის გარეთ, ცალკე ერთეულად უნდა არსებულიყო. ამასთან, ეს ერთადერთი წყაროა, სადაც მოხსენიებულია უფლისციხის მონასტერი, რომელიც კლდეში ნაკვეთი კომპლექსის ტერიტორიაზეა საგულისხმებელი (4).

1412 წლის ერთი სომხური წყარო უფლისციხეს დაბა-ქალაქად მიიჩნევს [63, გვ. 33]. «დაბა-ქალაქში» წყარო

უთუოდ დამცრობილ-დაკნინებულ უფლისციხეს გულისხმობს. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა უხტანესის ერთი ცნობა ცურტავის შესახებ: ცურტავი «მაშინ სავსე და ვრცელი, დიდი და სახელოვანი დედაქალაქი იყო, ხოლო ეხლა შემცირებული და ზომიერი დაბა-ქალაქია» [65, გვ. 67]. უფლისციხის «დაბა-ქალაქობა» წინა პერიოდთან შედარებით მის დამცრობილ-დაკნინებულ მდგომარეობაზე უნდა მიუთითებდეს. აქვე ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ იმ დროისათვის თემურ-ლენგის საქართველოში რამდენიმეგზის უსასტიკესი და გამანადგურებელი ლაშქრობა სულ რამდენიმე წლის დამთავრებული იყო და ადვილი წარმოსადგენია რა მდგომარეობა იქნებოდა თითქმის მიწასთან გასწორებულ აღმოსავლეთ საქართველოში და მათ შორის უფლისციხეშიც.

1467 წლის ერთი საბუთით, უფლისწული კონსტანტინე (შემდგომში ქართლის მეფე კონსტანტინე II, 1478-1505 წწ.) უფლისციხეს, ქვახვრელსა და კარალეთს გადასცემს ზაზა ფანასკერტელს, ავტორს ცნობილი ნაშრომისა - «სამკურნალო წიგნი - კარაბადინი». თავის დროზე სამცხის ერთ-ერთი ძლიერი თავადი ზაზა ფანასკერტელი ერთიანი საქართველოს უკანასკნელ მეფეს გიორგი VIII-ეს (1446-1476 წწ.) ეხმარებოდა განდგომილი ათაბაგის ყვარყვარეს წინააღმდეგ ბრძოლაში, რომელშიც მეფე დამარცხდა. ამის შემდეგ, ზაზა ფანასკერტელი იძულებული გახდა გადმოხვეწილიყო ქართლში, სადაც დიდი პატივით მიიღეს და მამულებიც უბოძეს. «პატრონმან კონსტანტინე ესე სიმტკიცე და სიგელი დაგიწერეთ, მოგეცით და მოგახსენეთ თქუენ ჩუენისა ამოდ ყოფისა მეცადე მომჭირნესა და სახლისა ჩუენისა თავადსა ფანასკერტელსა ზაზას და თქუენთა შვილთა

ქაიხოსროს, გიორგის, სიაოშს, მერაბს და ზაქარიას ... დაგიმტკიცეთ სრულად მამული ქვაჯურელი, უფლისციხე და კარალეთი მისითა ეკლესიითა, სასახლითა, ჭურმარნითა, გლეხებითა, ველითა, ვენაჴითა, წყლითა, წისქუილითა, ჭალითა, სათიბითა, ტყითა, სანადიროთა, მთითა, ბარითა ... მკუიდრად სამამულოდ საბოლოოდ და უცილებლად როგუარცა თქუენსა მკუიდრსა მამულსა მართებს, აგრე ჴელგეწიფების გასაყიდვად, გაზითვებად, შეწირვად, თანა შეტანად და რაც ფერად გინდა» [25, გვ. 30, 31].

ამრიგად, 1467 წლიდან უფლისციხე ციციშვილების სამემკვიდრეო მამული ხდება. ქვახვრელისა და კარალეთის გვერდით, წყაროში უფლისციხე სოფლად გაიაზრება. ამის შემდეგ, უფლისციხის შესახებ ბევრი არაფერი ვიცით, ვიდრე XVII ს-ის დასაწყისამდე.

1614 წელს შაჰ-აბასის ლაშქარი კახეთის აოხრების შემდეგ ქართლს შემოესია. მეფე ლუარსაბ II-ის ბებნაში (რომელიც ამ დროს ცხირეთს იდგა) ისინი დოესის ველს მიადგნენ. «მუნცა იხილეს ხუცესი ერთი შორით უფლისციხელი სომეხი ველსა მას ზედა დოესისასა. სრბით დევნა უყვეს, რათა შეიპყრან და ასწავოს მათ გზაჲ, თუ სადა იქცევის მეფე და ქართველნი. იხილა რაჲხუცესმან სიმრავლე იგი ლაშქართაჲ... ივლტოდა სრბით მათგან და შეესწრა ჴიდსა ზედა უფლისციხისასა და იწყო შლად ჴიდისა მის და წყალთა შინაყრაჲ. მივიდეს თათარნიცა და მიჰკრფეს ჴიდსა მას ზედა და ვერღარა უძლეს განვლად. კუალად უკუმოიქცეს და უკუმოეფინნეს მუნვე ველსა მას დოესისასა» [14, გვ. 409]. წყაროს მიხედვით, XVII ს-ის დასაწყისისათვის უფლისციხესთან მტკვარზე გადებული ყოფილა ხიდი.

როცა საუბარია ხიდის აყრაზე, უნდა წარმოვიდგინოთ, რომ ქვითკირის ბურჯებზე გადებული იყო ხის ძელები, რომელთა «შლა» და «წყალთა შინაყრაჲ» დაიწყო უფლის-ციხელმა ხუცესმა. სხვანაირად ძნელი წარმოსადგენია ერთი, ან თუნდაც რამდენიმე პიროვნების მიერ ასე მცირე დროში ხიდის იმ დონემდე მწყობრიდან გამო-ყვანა, რომ მასზე გავლა შეუძლებელი ყოფილიყო. ირკვევა, რომ გვიანდელ შუა საუკუნეებში, მტკვრის მარჯვენა სანაპიროს, დოესის გავლით მიუყვებოდა გზა, რომელიც ხიდით გადადიოდა უფლისციხესთან. აქედან კი მდინარის მარცხენა ნაპირის აყოლებით გზა გორში ჩადიოდა (5).

1642 წელს თეიმურაზ I-მა (1625-1658 წწ.) ქართლის მეფე როსტომს (1632-1658 წწ.) შეთქმულება მოუწყო. ვახტანგ მუხრანბატონმა ეს ამბავი აცნობა როსტომს, რომელიც გორის ციხეში იყო გამაგრებული. «ხოლო ბატონი თეიმურაზ მოვიდა უფლისციხესა და ვერღარა გააწყო რა, გამობრუნდა და წარმოვიდა და დახუდა წინა ვახტანგ მუხრანის ბატონი და უყო მრავალი ზიანი. და წავიდა კახეთს» [67, გვ. 4231-3]. აქ უფლისციხე მხოლოდ თეიმუ-რაზის ჯარის მისვლის ადგილადაა მოხსენიებული.

1660 წლის ერთ-ერთ საბუთში დომენტი კათალიკოსი სინანულს გამოთქვამდა იმის გამო, რომ «მეფეს უფლისციხე საჯილდაოთ მიეცა და არა ენდომებინა, სვე-ტიცხოვლისათვის შეეწირვებინა» [69, გვ. 528]. თუმცა, კათალიკოსი იმედს არ კარგავდა: «ვინ იცის ... მოხისი და უფლისციხე სვეტიცხოველს დაუდვას, კათალიკოზმა შენდობა მისცეს» [69, გვ. 530].

1773 წელს უფლისციხესთან გაიმართა ბრძოლა ქართვე-ლებსა და ლეკ-ოსმალთა რაზმებს შორის. ბრძოლაში

ქართველები დამარცხებულან. თეიმურაზ ბაგრატიონის ცნობით, «მოვიდნენ კვალად შეყრილობანი ლეკთა ქართლში. მაშინ ქართლისა და კახეთისა მჴედრობანი იყვნენ შეყრილი, გარნა იკუეთნენ უფლისციხეს, იძლივ-ნენ ქართველნი და მოსწყდნენ მრავალნი. განვიდნენ ლეკნი გორის ბოლოს ლიახვსა და წარვიდნენ ახალ-ციხეს» [9, გვ. 54]. იგივე ამბავს აღწერდა ომან ხერხეული-ძე და დავით ბაგრატიონი [93, გვ. 268; 12, გვ. 12].

შემორჩენილია ამ ბრძოლის სამწუხარო შედეგების ამსა-ხველი საბუთები. ვინმე ათანა ბიძინაშვილის 1774 წლით დათარიღებულ არზაში, რომლითაც ის ერეკლე II-ეს მიმართავდა, ვკითხულობთ: «ერთი შვილი მყუანდა. შარშან უფლისციხის ომში დამეკარგა დავრჩით ბერი ცოლ-ქმარნი დაუმარხავნი. ოთხს ჩაფს ღვინოს სურსათსა მთხოვენ ... ერთი ორად ვალად ამიღია, სურსათი მომირთმევია დაამჴელათეს ღვინო მაპატიეთ»[70,გვ.253].

უფლისციხესთან გამართულ ბრძოლაში ქართველთა ერთი ნაწილი ტყვედ ჩავარდნილა. ერეკლე II-ეს სახელზე დაწერილ 1773 წლის არზაში აღნიშნულია: «უფლისციხეს ჩემი ძმა დაკარგულა; თქვენის დოვლათით ვცდილობთ, რომ ისიც დავიხსნა, თქვენს საფარველს ქვეშ ვიმყოფოთ ... მოწყალებას ვითხომთ, რომ თქვენს სახასო ყმად ვიყვნეთ» [70, გვ. 242]. ამ ომს 27 წლის შემდეგ იხსენიებდა ვინმე ამირანა ჩარუხაშვილი, რომელიც გიორგი XII-ეს მიმართავდა 1800 წლის ერთი საბუთით: «ჩვენ სულხან მდივნის საკუთარნი ყმანი გახლავართ ... მერე უფლისციხეს დავიკარგე, თავისუფალი ტყვე მოველ და ისევ სულხან მდივანს ვეყმე» [71, გვ. 600].

1736-1744 წწ. დავთარში ჩამოთვლილია უფლისციხეში მცხოვრები ქართლის საკათალიკოსო ყმები: ხუციშვილები, ნაზარასშვილები, ერაღაშვილები, ადუაშვილები, სირანაშვილები, გაბინაშვილები, ჩაღაბაშვილები, აკოფასშვილები, აზარბეგასშვილები, ორთანეზასშვილები, ტერ საკა, გიგოლაშვილები, ვართუმაშვილები - სულ 14 კომლი [69, გვ. 779].

1789 წლის საბუთით კი უფლისციხეში მცხოვრებ ჩვენთვის უკვე ნაცნობ გვარებს ემატება სხვა გვარებიც: პაპიაშვილები, წიტიკაშვილები, გალუსტაშვილები, ბერიკაშვილები [69, გვ. 988]. როგორც ჩანს, ორივე საბუთში სოფელ უფლისციხის მცხოვრებლებზე უნდა იყოს საუბარი, რადგან ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, XVIII ს-ის პირველი ნახევრისთვის უფლისციხე - კლდეში ნაკვეთი კომპლექსი უკვე «შეუვალარს»[68,გვ.36623].

ყველაზე მოგვიანო ცნობა უფლისციხის შესახებ მოიპოვება იოანე ბაგრატიონის ნაშრომში «ქართლ-კახეთის აღწერა.» საამილახვროს შემადგენლობაში შემავალი სოფლების ჩამონათვალში მოხსენიებულია სოფელი უფლისციხე [10, გვ. 39]. ცნობაში, რა თქმა უნდა, ნაციხარის კლდოვანი მასივის ძირში მდებარე სოფელია ნაგულისხმები.

# თ ა ვ ი II

## არქეოლოგიური მასალა

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, იმის გამო, რომ კლდეში ნაკვეთი კომპლექსები სისტემატურად იწმინდებოდა, იშვიათი გამონაკლისის გარდა, იქ თითქმის არ შემორჩენილა ადრეული და განვითარებული შუა საუკუნეების კულტურული ფენები. იმ პერიოდის არტეფაქტები არეულია უფრო ადრეულ ან მოგვიანო ხანის მასალასთან და მათი ქრონოლოგიური გამიჯვნა ხშირად მეტ-ნაკლებად საიმედოდ დათარიღებული ანალოგების მოშველიებით გვიხდება. ადრეული შუა საუკუნეების კულტურული ფენები ციხის ტერიტორიაზე მხოლოდ სამ ადგილასაა შემორჩენილი და ისიც საკმაოდ სუსტად.

უფლისციხის II უბნის გათხრებისას გვიანანტიკური ხანის დონეს ზემოდან ეფარა ახ. წ. IV-VI სს-ის ჰორიზონტი, რომელიც შეიცავდა წერნაქით შეღებილ ღარიან და ბრტყელ კრამიტებს, ქვევრის ფრაგმენტებს და სხვ. [89,გვ.56].

1984 წ. უფლისციხის მცირე კლდეკარის შესწავლისას გაითხარა დიდი ორმო, რომლის ზედა დონეზე აღმოჩენილი მასალა ახ. წ. IV-VI სს-ს განეკუთვნება.

ცენტრალური უბნის ხევის გათხრებისას, ხევის ჩრდილოეთ ნაწილში გაიწმინდა დიდი დარბაზი, სადაც გამოვლინდა ადრეული შუა საუკუნეების მასალა: ჩაფები, ბადიები, ქოთნები, ხელადები, ჯამები და სხვ. (6). კერამიკული მასალა თარიღდება VI-VIII სს-ით [39, გვ. 28].

სამწუხაროდ, უფლისციხეში ფაქტიურად არ შემორჩენილა განვითარებული შუა საუკუნეების კულტურული ფენები. ისინი მთლიანად შეიწირა გვიანდელი შუა საუკუნეების კულტურულმა ფენებმა, რომლითაც დაფარული იყო კლდეში ნაკვეთი კომპლექს-ის მთელი ტერიტორია.

**§ 1. ადრეული შუა საუკუნეების არქეოლოგიური მასალა.** ადრეული შუა საუკუნეების არქეოლოგიური მასალაშედარებით ცოტა მოგვეპოვება და არც მრავალფე-როვნებით გამოირჩევა. ამის მიზეზი, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, იყო კლდის სახლების სისტემატური წმენდა. ძალიან ჭირს ცალკე გამოიყოს ადრეული შუა სა-უკუნეების კერამიკული ნაწარმის რიგი სახეობები (ქვევ-რები, დერგები, სადღვებლები და სხვ.). ამიტომ, მასალის განხილვისას მხოლოდ იმ არტეფაქტებს შევეხებით, რომელთა მიკუთვნება ადრეული შუა საუკუნეებისადმი, სტრატიგრაფიული მონაცემებისა თუ კარგად დათარიღებული პარალელების მიხედვით ეჭვს არ იწვევს.

**1. კერამიკა. ჩაფები.** უფლისციხის სხვადასხვა უბანზე, განსაკუთრებით ცენტრალური უბნის ადრეული შუა საუკუნეების ფენაში მრავლადაა აღმოჩენილი სამზარეუ-ლო დანიშნულების მოზრდილი ჭურჭლები - ჩაფები. ისინი ხასიათდება გაშლილი პირით, სხვადასხვა დიამეტრის მქონე მაღალი წიბოიანი ყელით. ოვალურ-განივკვეთიანი ყური მიერთებული აქვთ ყელის წიბოსა და მხარზე. ზოგიერთის ყური შემკულია კოპით. ჭურ-ჭლების ნაწილი ყელის ძირთან ან მხარზე შემკულია ირიბი ნაჭდევებითა თუ ტალღოვანი ორნამენტით. ტანი დაფარული აქვთ მორგვისეული ხაზებით. თიხა წვრილ-

მარცვლოვანია. კეცი მკვრივი. გამომწვარია მოჩალისფროდ (ტაბ. VII, სურ. 1-4). იშვიათად გვხვდება მოწითალოდ გამომწვარი ცალებიც. ჩაფები ფრაგმენტების სახითაა შემორჩენილი, თუმცა სხვა ძეგლებზე მოპოვებული პარალელური მასალების მიხედვით, მათი ფორმების წარმოდგენა ძნელი არაა. ჩანს, ისინი საკმაოდ მასიურტანიანი, ფართოძირიანი ჭურჭლები ყოფილა.

მსგავსი ფორმის კერამიკული ნაწარმი მრავლადაა აღმოჩენილი აღმოსავლეთ საქართველოს ადრეული შუა საუკუნეების ძეგლებზე. ისინი გამოვლენილია: ლოჭინში [2, გვ. 198], ურბნისში [80, გვ. 93; 62, გვ. 56], ზღუდერში [48, გვ. 56], სოფ. არაგვისპირში [55, გვ. 81], სოფ. მარგნეთში [103, გვ. 38] და სხვ. ჩაფები გავრცელებული ჩანან როგორც IV-VI, ისე VI-VIII სს-ში. უფლისციხური ჩაფები სტრატიგრაფიული მონაცემებისა და თანმხლები მასალების მიხედვით უფრო VI-VIII სს-ით უნდა დათარიღდნენ.

**ქოთნები.** ისინი ძირითადად ფრაგმენტების სახითაა შემორჩენილი. მათი გარკვეული ნაწილი მომდინარეობს ცენტრალური უბნის VI-VIII სს-ის ფენიდან. ქოთნებისათვის დამახასიათებელია: გაშლილი პირი, დაბალი, ფართო ყელი. შემკულობის ერთადერთ სახეს წარმოადგენს ტანზე შემოვლებული მორგვისეული ხაზები. თიხაში ჭარბადაა შერეული კვარცი და სილა. პირის მოყვანილობის მიხედვით მათში გვხვდება მომრგვალებულპირიანი (ტაბ. VII, სურ. 5) და გადმოკეცილპირიანი (ტაბ. VII, სურ. 6, 7) ნიმუშები. ადრეული შუა საუკუნეების მსგავსი ფორმის ქოთნები ცნობილია: მცხეთიდან, რუსთავიდან. ისინი განსაკუთრებით მრავლადაა

აღმოჩენილი ურბნისის ნაქალაქარის ზედა ფენაში და VI-VIII სს-ით თარიღდება [62, გვ. 53].

**ბადიები.** სამზარეულო ჭურჭლის საინტერესო ჯგუფს შეადგენს ბადიები. ისინი სხვადასხვა ზომისაა. ყველა მათგანი ფრაგმენტების სახითაა შემორჩენილი. მათთვის დამახასიათებელია: მასიური, ფართო პირი, დამრეცი კალთები და ბრტყელი ძირი. თიხა წვრილმარცვლოვანია, კეცი სქელი. გამომწვარია წითლად ან მოჩალისფროდ. ზოგიერთი ბადია წერნაქით შეღებილ-ნაპრიალებია. ბადიების ერთი ნაწილის პირი შემკულია ამოღარული ტალღისებური ორნამენტითა და კალთის შიდა მხარეს გამოყვანილი ნახევარწრეებით ან ირიბი ნაჭდევებით(ტაბ.VII,სურ.8-11).

უფლისციხურ ბადიებს მრავლად მოეპოვებათ ანალოგები როგორც საქართველოს, ისე კავკასიის სხვა რეგიონების ადრეული და განვითარებული შუა საუკუნეების მასალებში. მსგავსი ფორმის ჭურჭლები კარგადაა ცნობილი: ურბნისიდან [62, გვ. 50], თბილისიდან [20, ტაბ. 21], თელავიდან [74, გვ. 29], ქვემო ქართლიდან, სოფ. მარგნეთიდან [103, ტაბ. XIV, 70] და სხვ. ამგვარი ბადიები აღმოჩენილია დვინშიც [113, სურ. 160].

**სამზარეულო ჯამები.** სამზარეულო კერამიკის ჯგუფს მიეკუთვნება მცირე რაოდენობით აღმოჩენილი დიდი ზომის პირგაშლილი, კალთადაქანებული, ქუსლგამოყვანილი ბრტყელძირა ღრმა ჯამები, რომლებიც გამომწვარია მოშავოდ ან მონაცრისფროდ. მათი თიხა მსხვილმარცვლოვანია, კეცი სქელი. ზედაპირზე ეტყობათ მორგვისეული ხაზების კვალი. ერთ მათგანს პირის შიდა მხარეს შემოუყვება ამოღარული სარტყელი (ტაბ. VIII, სურ. 7). მსგავსი ფორმის ჭურჭელი (ტაბ. VIII, სურ.

8) აღმოჩნდა ცენტრალური უბნის ადრეული შუა საუკუნეების ფენაში. ამ სახის ჯამების თარიღი ძირითადად VI-VIII სს-ით უნდა განისაზღვროს.

**ხელადები.** სუფრის ჭურჭელს შორის გვხვდება ხელადები, რომლებშიც ორი ძირითადი ტიპი შეიძლება გამოიყოს.

I ტიპის ხელადებისათვის დამახასიათებელია: ოდნავ გაშლილი პირი და შუა ნაწილში შეკეცილი ჩაღარული ყელი. ტანი სფეროსებური მოყვანილობისაა. ოვალურგანივკვეთიანი ყური მიერთებულია ყურსა და მხარზე. მხარზე შემოუყვებათ ირიბი ნაჭდევების სარტყელი. ხელადები შეღებილია წერნაქით და გულდასმითაა ნაპრიალები. თიხა წმინდადაა განლექილი. ხელადები განსხვავებული ზომისაა, თუმცა ფორმების მიხედვით ისინი ზუსტად იმეორებენ ერთმანეთს. I ტიპის ხელადები ფრაგმენტების სახით აღმოჩენილია უფლისციხის სხვადასხვა უბანზე. ყველაზე უკეთ შემორჩენილი ეგზემპლარები კი დასტურდება პატარა კლდეკარის ორმოს ზედა ფენიდან მომდინარე მასალებში (ტაბ. VIII, სურ. 1, 2). I ტიპის ხელადების ზედმიწევნით მსგავსი ჭურჭელი ცნობილია მოდინახეს სამაროვნიდან სადაც ის IV ს-ით თარიღდება [47, გვ. 75]. უფლისციხის ხელადები უფრო IV-V სს-ს შეიძლება მივაკუთვნოთ.

II ტიპის ხელადებისათვის დამახასიათებელია: ოდნავ გაშლილი წრიული პირი, შედარებით ფართო, ცილინდრული მოყვანილობის ყელი, რომელზეც თითო წიბო შემოუყვება. ოვალურგანივკვეთიანი ყური მიერთებულია პირსა და მხარზე. ზოგიერთი მათგანის ყური შემკულია ერთი ან ორი კოპითა და ვერტიკალური ღარით. ჭურჭლებს მხრებზე შემოვლებული აქვთ ამოღა-

რული წრეებისა და თუ ერთმანეთთან მჭიდროდ მიჯრილი ნაკაწრი ტალღისებური ხაზების სარტყელები. თიხა წმინდადაა განლექილი. კეცი თხელი და საკმაოდ მკვრივია. გამომწვარია მოჩალისფროდ. ხელადების ტანზე შეიმჩნევა მორგვისეული ხაზები (ტაბ. VIII, სურ. 3-6).

II ტიპის ხელადების დათარიღებისათვის საიმედო საყრდენს იძლევა სტრატიგრაფიული მონაცემები. ხელადები ძირითადად მომდინარეობენ ცენტრალური უბნის VI-VIII სს-ის ფენიდან და ისინი ამავე ხანებით უნდა დავათარიღოთ.

**ჯამები**. ადრეული შუა საუკუნეების სასუფრე დანიშნულების ჭურჭლებიდან აღსანიშნავია ჯამები გაშლილი პირით, დაქანებული მხრებითა და ფართო ძირით. ზოგიერთ მათგანს კალთაზე შემოვლებული აქვს ამოღარული სარტყელები (ტაბ. VIII, სურ. 9). ჯამებს ეტყობათ მორგვისეული ხაზების კვალი. თიხა წმინდადაა განლექილი. კეცი მკვრივია. გამომწვარია მოჩალისფროდ. ანალოგიური ფორმის ჯამები ცნობილია ურბნისის ნაქალაქარიდან (7). ამგვარი ჯამები ძირითადად ცენტრალური უბნის ადრეული შუა საუკუნეების ფენიდან მომდინარეობენ და VI-VIII სს-ით თარიღდებიან.

**ჭრაქები.** ადრეული შუა საუკუნეების უფლისციხეში გავრცელებული ჩანს ხელით ნაძერწი, ე. წ. ფინჯანისებური მაღალტანიანი (7-9 სმ სიმაღლის) წელში გამოყვანილი ჭრაქები. მათ აქვთ ბრტყელი ან ამოღარული ქუსლი. ტანის ზედა ნაწილი ბოლოვდება ტუჩიანი ფინჯნით (ტაბ. IX, სურ. 1). გვხვდება უტუჩო, წრიულპირიანი ჭრაქებიც (ტაბ. IX, სურ. 2). ისინი

შემკულია რელიეფური სარტყელებით ან მოგრძო ღრმა ნაჭდევებით. ჭრაქების თიხა მსხვილმარცვლოვანია, კვარცისა და სილის მინარევებით.

მსგავსი ფორმის ჭრაქები ცნობილია საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის ადრეული შუა საუკუნეების არაერთი ძეგლიდან [62, გვ. 56, 57]. აღწერილი მასალა ყველაზე მეტ სიახლოვეს ამჟღავნებს ურბნისში აღმოჩენილ ჭრაქებთან, რომლებიც VI-VIII სს-ით თარიღდება. უფლისციხური ჭრაქებიც იმავე პერიოდით შეიძლება დათარიღდეს.

**აგური.** უფლისციხე კლდეში ნაკვეთი ძეგლია, ამიტომ ბუნებრივია, სამშენებლო კერამიკა - აგური, კრამიტი, იქ შედარებით ნაკლებადაა გამოყენებული როგორც ადრეული, ისე განვითარებული და გვიანდელი შუა საუკუნეების ნაგებობებში. აგურით ნაგებია მხოლოდ ზღუდის კედლის ერთი ფენა და IX-X სს-ის ბაზილიკა (ტაბ. IV, სურ. 2). ამ უკანასკნელს ეტყობა შემდგომი მრავალგზის გადაკეთების კვალი [123, გვ. 14], რის გამოც ნაგებობაში საკუთრივ IX-X სს-ის აგურის ზომების დადგენა საკმაოდ ძნელდება.

რაც შეეხება ზღუდის აგურის კედელს, რომელიც 914 წელს უნდა დაენგრიათ ქართველებს, აბულ-კასიმის ქართლში ლაშქრობასთან დაკავშირებით, მისი შემორჩენილი ნაწილი ნაგებია კირხსნარზე (ტაბ. V). აგურები კვადრატულია, მკაცრად სტანდარტული (ზომები: 23X23X5 სმ).

**კრამიტი.** ადრეული შუა საუკუნეების განათხარ მასალაში კრამიტი მცირერიცხოვანია. გვხვდება როგორც ბრტყელი, ისე ღარიანი კრამიტი. ეს უკანასკნელი შედარებით ცოტაა. ზოგი მათგანი წერნაქითაა შეღებილი [89,

გვ. 56]. ადრეული შუა საუკუნეების კრამიტები მოყვანილობით იმეორებენ ანტიკური ხანის კრამიტებს, თუმცა მათგან განსხვავებით, ნაკლებად ტრაპეციული და გაცილებით მცირე ზომისაა. ჩვენთვის საინტერესო ხანის ყველა კრამიტი ყალიბშია მოჭრილი. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ადრეული შუა საუკუნეების კრამიტებს ფართო ბოლოში ჯერ უჩნდება გარდიგარდმო ღარი, ხოლო შემდეგ დაბალი «ღობე» [104, გვ. 21, 22]. ამგვარი კრამიტები უფლისციხეშიცაა აღმოჩენილი (ტაბ. XIII, სურ. 22). ყველა კრამიტი, რომელიც ადრეულ შუა საუკუ-ნეებს შეიძლება მივაკუთვნოთ, ფრაგმენტების სახითაა შემორჩენილი და მათი ზომების დადგენა ძნელდება.

უფლისციხის ადრეული შუა საუკუნეების კერამიკული ნაწარმი უფრო ადრეული თუ მოგვიანო ხანის კერამიკასთან შედარებით საკმაოდ სადად და ერთფე-როვნად გამოიყურება. კერამიკული ნაწარმის შემკულობაში ძირითადად გვხვდება: რელიეფური სარტ-ყელები (წიბოები), კოპები, ე. წ. «წყლისებური ორნამენ-ტი,» ამოღარული სარტყელები, მოკლე ირიბი ნაჭდევები და სხვ. (ჩაფები, ხელადები, ჯამები). ჭურჭლების დიდ უმრავლესობას ტანზე შემოუყვება მორგვისეული ხაზე-ბი. ნაკლებად ან საერთოდ არ გვხვდება ორნამენტი ცეცხ-ლზე სადგამ ჭურჭელზე. კერამიკული ნაწარმის ერთი ჯგუფი წითლად შეღებილი და ნაპრიალებია (ბადიები, ხელადები), რომელთაც ზოგჯერ წნევით დატანილი პრიალა ზოლები ამკობთ. რელიეფური ან ამოღარული ორნამენტი მათზე იშვიათადაა წარმოდგენილი. ამგვარ ჭურჭლებზე ძირითადად გვხვდება მოკლე, ირიბი ნაჭდევები (ხელადები) და ამოღარული ტალღოვანი სარტყელები (ბადიები). საერთოდ, წითლად შეღებილი

და ნაპრიალები ჭურჭელი ზედაპირის სიგლუვითა და ფერით უკვე დამთავრებული მხატვრული ნაწარმია და ზედმეტ შემკობას აღარ საჭიროებს [62, გვ. 79]. მარტივი და ერთფეროვანი ორნამენტული სახეები მარტო უფლისციხის ადრეული შუა საუკუნეების კერამიკისათვის არაა დამახასიათებელი. იგივე სურათი შეინიშნება სხვა ძეგლებზე მოპოვებულ მასალებზეც [62, გვ. 83]. მიუხედავად ღარიბი ორნამენტისა, ადრეული შუა საუკუნეების უფლისციხური კერამიკა ფორმებით საკმაოდ დასრულებული და დახვეწილი ნაწარმია.

აღნიშნული პერიოდის უფლისციხის კერამიკის თიხა, უმრავლეს შემთხვევაში, წმინდადაა განლექილი. კეცი მკვრივია. ჭურჭლების უმრავლესობა გამომწვარია მოჩალისფროდ ან მოწითალოდ. რაც შეეხება ცეცხლთან დაკავშირებულ ჭურჭელს, მათი თიხა ხელოვნურადაა გამჭლევებული კვარცისა და სილის მინარევებით, რადგან ამგვარი ჭურჭელი კარგად იტანს მაღალ ტემპერატურას.

**2. მინის ნაწარმი.** უფლისციხის ადრეული შუა საუკუნეების მინის ნაწარმში ფუნქციონალური თვალსაზრისით გამოიყოფა ორი ჯგუფი: ჭურჭელი და სამკაულები. უკანასკნელი წარმოდგენილია შავი მინის ერთი ბეჭდით, რკალზე მცირე ზომის, ოვალური, დაბრტყელებული «ფარაკით» (ტაბ. XVI, სურ. 24). ანალოგიური ფორმის მინის ბეჭდები ცნობილია VIII-IX სს-ით დათარიღებულიორბეთის მინის საწარმოდან [64,გვ.8,9].

მინის ჭურჭლების უმრავლესობა მომწვანო ფერის ძირშედრეკილი ბოთლებია, რომელთა ფორმების აღდგენა არ ხერხდება. რაც შეეხება დანარჩენ ჭურჭელს, მათგან აღსანიშნავია ძირშედრეკილი ჭურჭლის

ფრაგმენტი (ტაბ. XVI, სურ. 25). ჭურჭლის ზედაპირი დაფარულია მრგვალი და ოვალური ფაცეტებით. მინა მომწვანოა, სქელკედლიანი, ბუშტულებიანი. ამგვარი ჭურჭელი აღმოჩენილია: ურბნისში, რუსთავში, თბილისში, მცხეთაში, ბოლნისში, სომხეთისა თუ აზერბაიჯანის ტერიტორიაზე. ისინი ყველგან ძირითადად VI-VIII სს-ისფარგლებში ექცევიან [77, გვ. 13-16].

ადრეულ შუა საუკუნეებს მიეკუთვნება ცილინდრულტანიანი ძირშედრეკილი სასმისი, რომლის ტანი დაფარულია ირიბი, დაბალრელიეფური სარტყელით (ტაბ. XVI, სურ. 26). მსგავსი ჭურჭელი კარგადაა ცნობილი: რუსთავიდან, თბილისიდან, ორბეთის მინის საწარმოდან, ჩრდილოეთ კავკასიიდან, აზერბაიჯანისა თუ სომხეთის განათხარი ძეგლებიდან [77, გვ. 26, 27]. მ. ჩხატარაშვილი ანალოგიურ ჭურჭლებს მის მიერ გამოყოფილ VIII ტიპში ათავსებს და IX-X სს-ით ათარიღებს [77, იქვე].

**§ 2. განვითარებული და გვიანდელი შუა საუკუნეების არქეოლოგიური მასალა.**

ციხის ტერიტორიაზე საერთოდ არ შემორჩენილა განვითარებული შუა საუკუნეების უძრავი კულტურული ფენები და ნაგებობები. რაც შეეხება გვიანდელი შუა საუკუნეების (ზოგადად XV-XVIII სს.) მასალებს, აქ ისინი საკმაოდ მრავლად გვხვდება. გვიანდელ შუა საუკუნეებში ინტენსიურადაა გამოყენებული ადრეული ხანის კლდეში ნაკვეთი ყველა დარბაზი. ქვით ნაგები საცხოვრებელი შენობები, რომლებიც ხშირად კლდეში ნაკვეთ დარბაზებზეა მიდგმული, გეგმაში სწორკუთხაა ან ოვალური. ნაგებობა შედგება ერთი, ორი, იშვიათად სამი ოთახისაგან. კედლები ნაგებია თიხის ხსნარზე,

რიყისა და კლდის ფლეთილი ქვებით. კედლებში ზოგჯერ «თევზიფხური» წყობა შეინიშნება. კედლების ამგვარი წყობა აღმოსავლეთ საქართველოს ეთნოგრაფიულ ყოფაში დღემდეა შემორჩენილი. ნაგებობაში მოწყობილია თიხის ან იშვიათად ქვის ფილებისაგან შედგენილი წრიული თუ სწორკუთხა კერები. შენობებში მრავლად გვხვდება თონეები, ქვევრები. კედლებში გამოკვეთილიასხვადასხვაზომისთახჩები(ტაბ.II,სურ.2).

ქვით ნაგები შენობები გადახურული ყოფილა ღარიანი და ბრტყელი კრამიტით. სახურავი ეყრდნობოდა ხის ბოძებს, რომლებიც სათავსოს კუთხეებში ამოკვეთილ ორმოებში იყო ჩადგმული.

ნაგებობათაგან საინტერესოა ორსვეტიანი დარბაზის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე გვიანდელი შუასაუკუნეების კლდეში ნაკვეთი დარბაზი, რომლის დასავლეთ კედელში მოწყობილია რიყისა და კლდის ფლეთილი ქვებით ნაგები თახჩები (ტაბ. VI, სურ. 1). თავის დროზე დ. ხახუტაიშვილი ვარაუდობდა, რომ ის ვარძიის «თახჩებიანი გამოქვაბულის» მსგავსად, აფთიაქის მაგვარი ნაგებობა ან შესაძლოა კარის ბიბლიოთეკა თუ ოფიციალური საბუთების საცავიც ყოფილიყო [90, გვ. 32]. რა თქმა უნდა ნაგებობის «აფთიაქობა» ან «ბიბლიოთეკობა» მხოლოდ პირობითია.

**1. კერამიკა. თონეები.** უფლისციხის გვიანდელი შუა საუკუნეების განათხარ მასალაში თავისი სიმრავლით გამოირჩევა თონეები, რომლებიც გვხვდება თითქმის ყველა ნაგებობაში. ზოგჯერ მათი რაოდენობა ერთ საცხოვრებელ კომპლექსში ხუთ-ექვსამდე აღწევს. ისინი განლაგებულია გამოქვაბულებისა თუ ოთახების სხვადასხვა ნაწილში: ცენტრში, კუთხეებთან, კედლების

გაყოლებით. თონეები იდგმებოდა პირდაპირ კლდის იატაკზე ან კლდეში იჭრებოდა წრიული ორმო და დამრეცი სასულე ღარები, რომლებიც თონის ძირს უერთდებოდა. ორმოში თონეები იდგმებოდა თითქმის მთლიანად ან წელამდე. თუ თონის დიამეტრი ორმოს დიამეტრზე ნაკლები იყო, ორმოსა და თონის კედლებს შორის დარჩენილი სივრცე მიწით ივსებოდა (ტაბ. IX, სურ. 7). სასულე ღარებში იდებოდა ცილინდრული ფორმის სხვადასხვა დიამეტრისა და სიგრძის სქელკეციანი თიხის საგანგებოდ დამზადებული ან წყალსადენის მილები (ტაბ. IX, სურ. 6; ტაბ. XIII, სურ. 20, 21). ჩრდილოეთი უბნის ერთ-ერთი თონის სასულედ ჭურჭლის მოგრძო, ცილინდრული ყელია გამოყენებული. სხვა შემთხვევაში საჰაერო ღარები იფარებოდა რიყისა თუ კლდის მოგრძო, ბრტყელი ქვებით ან აგურით (ტაბ. IX, სურ. 7). გვხვდება ისეთი სასულეები, რომლებიც კლდეში კი არაა ამოკვეთილი, არამედ მის ზედაპირზეა გამართული. სიმაღლეზე დაწყობილი ქვების ორი პარალელური რიგი ქმნიდა საჰაეროს, რომელიც ზემოდან ასეთივე ბრტყელი ქვებით იფარებოდა (ტაბ. IX, სურ. 8). სასულიან თონეებთან ერთად გვხვდება დახშული თონეებიც, თუმცა შედარებით მცირე რაოდენობით (ტაბ. IX, სურ. 13). უფლისციხელები უფრო სასულიანი თონეების გამართვას ამჯობინებდნენ. ეს იმით იყო გამოწვეული, რომ უფლისციხის მიდამოები უტყეოა, სასულიანი თონეები კი სწორედ იმ რეგიონებისთვისაა დამახასიათებელი, სადაც ტყე ნაკლებია და საწვავად «წივაა» გამოყენებული [90, გვ. 25].

უფლისციხეში ნაკლებადაა გამოვლენილი თიხის ჭურჭლით, ძირითადად ჯამების ნატეხებით

გარშემოკრული ე. წ. სათბურიანი თონეები, რომლებიც თბილისისა და რუსთავის გათხრების დროსაა მიკვლეული [79, გვ. 81]. ასეთი თონეები ტემპერატურას უფრო დიდხანს ინარჩუნებდნენ. უფლისციხეში იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება დახშული თონეები, რომელთაც გარშემო რიყისა და კლდის ფლეთილი ქვები შემოუყვება (ტაბ. IX, სურ. 9).

ზომების მიხედვით თონეები ორგვარია: დიდი და მცირე. დიდი თონეების ზომებია: სიმაღლე 80-95 სმ, დიამეტრი 80-120 სმ; პატარების სიმაღლე 35-45 სმ, დიამეტრი - 30-50 სმ. ზოგი იმდენად პატარაა, რომ ისინი მხოლოდ გამათბობელ საშუალებად შეიძლებოდა გამოეყენებინათ. თონის გამოყენება სითბოს მომცემ წყაროდ, საქართველოს ზოგიერთი კუთხის ეთნოგრაფიულ ყოფაშიცაადადასტურებული[75,გვ.376,377].

დიდი თონეები ყველა სქელკეციანია. კეცი წითელია, მსხვილმარცვლოვანი. შეიცავს კვარცის, სილისა და სხვა მინარევებს. მინარევებში კვარცი ჭარბობს. ცნობილია, რომ კვარცის მინარევებიანი თიხით გამოძერწილი ჭურჭელი კარგად იტანს მაღალ ტემპერატურას [62, გვ. 52]. თონის პირები ჰორიზონტულადაა მოჭრილი. ზოგჯერ შემსხვილებულია ან დაბრტყელებული. თონის პირები არც თუ იშვიათად ორნამენტირებულია. გვხვდება ისეთი თონეები, რომელთაც ორნამენტი მხრებსა და მუცელზე შემოუყვებათ. ძირითადად დამახასიათებელია რელიეფური ტალღოვანი ხაზები, ნაჭდევებით შემკული რელიეფური სარტყელები, ამოღარული ხაზების სხვადასხვაგვარი კომბინაციები - რომბები, დამრეცი ხაზები (ტაბ. IX, სურ. 10-12).

ეთნოგრაფიული მონაცემებით თონე შემდეგნაირად მზადდებოდა: მიწაზე იხაზებოდა განსაზღვრული დიამეტრის წრე. შემდეგ ოსტატი წრეხაზის ირგვლივ იწყებდა მსხვილი «სურსვალების» (მოგრძო თიხის ნაჭრების) თანდათანობით, მაგრამ შეუწყვეტელ შემოვლებას. ამოშენებული კედელი წყლის მეშვეობით ილესებოდა [15, გვ. 408]. უფლისციხის თონეებზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ მათი გარკვეული ნაწილი ამგვარი წესით უნდა ემზადებინათ. არაა გამორიცხული, რომ თონეების, განსაკუთრებით კი დიდი თონეების ერთი ნაწილი ადგილზევეა ამოყვანილი და გამომწვარი. ჩვეულებრივ, ამგვარი თონეები ცუდად იწვებოდა. საკმაოდ ცუდადაა გამომწვარი უფლისციხური თონეების დიდი ნაწილიც.

ამრიგად, გვიანდელი შუა საუკუნეების (XVII-XVIII სს.) (8) უფლისციხეში გვხვდება ორი ტიპის თონეები _ სასულიანი და დახშული. სასულიან თონეებში საჰაეროების მოწყობის წესის მიხედვით შეიძლება გამოიყოს სამი ვარიანტი: 1. თონეები, რომელთა საჰაეროებად გამოყენებულია კლდეში ამოკვეთილ დამრეც ღარებში ჩადებული თიხის მილები (ტაბ. IX, სურ. 6); 2. თონეები, რომელთა კლდეში ამოკვეთილი დამრეცი ღარები დაფარულია ბრტყელი ქვებით და აგურით (ტაბ. IX, სურ. 7); 3. თონეები, რომელთა სასულეები გამართულია კლდის ჰორიზონტულ ზედაპირზე სიმაღლეზე დალაგებული ქვების ორი რიგით (ტაბ. IX, სურ. 8). დახშული თონეები შეიძლება ორ ვარიანტად დაიყოს _ 1. ჩვეულებრივი დახშული (ტაბ. IX, სურ. 13) და 2. თონეები რომელთაც გარს აკრავს თიხის ჭურჭლის ნატეხები ან წვრილი ქვები (ტაბ. IX, სურ. 9).

უფლისციხეში არ აღმოჩენილა თონეები, რომელთა დათარიღება შესაძლებელი იქნებოდა ადრეული ან განვითარებული შუა საუკუნეებით. როგორც აღვნიშნეთ, ამ ხანის ფენები იქ სუსტადაა გამოვლენილი, რადგან კლდის ნაგებობები იქ სისტემატიურად იწმინდებოდა.

**ქვევრები.** გვიანდელი შუა საუკუნეების ფენებსა და ნაგებობებში მრავლად გვხვდება სხვადასხვა ფორმა-ზომის ქვევრები და ქოცოები. ქვევრებისათვის დამა-ხასიათებელია: განიერი პირი და დაბალი ყელი (ტაბ. X, სურ. 8). ფრაგმენტების მიხედვით ჩანს, რომ ქვევრებს გლუვი ტანი და ბრტყელი ძირი ჰქონიათ (ტაბ. X, სურ. 9). ზოგიერთი ქვევრის პირი ოდნავ გაშლილია, ყელი მომაღლო (ტაბ. X, სურ. 5, 6).

ქვევრების ერთი ნაწილისათვის დამახასიათებელია: ნაჭდევებით შემკული გვირგვინი, მომაღლო ყელი და ბრტყელი, უქუსლო ძირი. ტანი შემკულია რელიეფური სარტყელებით. თიხა მსხვილმარცვლოვანია, კეცი - წი-თელი (ტაბ. X, სურ. 1-3). აღწერილი ქვევრის ნატეხები აღმოჩნდა «მაყვლიანის» კომპლექსის აღმოსავლეთით მდებარე გვიანდელი შუა საუკუნეების მარნის საქვევრე ორმოში. მარანი სავარაუდოდ XVI-XVII სს-ით უნდა დათარიღდეს.

იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება მთლიანად შემორჩენილი ქვევრი. მას აქვს ბრტყელი პირი, დაბალი ყელი, განზიდული მხრები და ბრტყელი ძირი. ტანზე შემოუყვება რელიეფური სარტყელები. თიხა მსხვილმარცვლოვანია, კეცი წითელი, გადანატეხში მუქი (ტაბ. X, სურ. 4). ქვევრი გამოვლინდა ჩრდილოეთი უბნის გვიანდელი შუა საუკუნეების ნაგებობაში და XVII-XVIII სს-ს უნდა მიეკუთვნოს.

ნაწილი ქვევრებისა გამოირჩევა თავისი დიდ ზომებით (ქვევრის საშუალო ზომები, თუ მათი შემორჩენილი ფრაგმენტების ზომებს გავითვალისწინებთ, 2 მ-ს უნდა აღწევდეს). ქვევრები დამზადებულია მსხვილმარცვლოვანი უხეში თიხისაგან. სქელი კეცი არა-თანაბარი გამოწვის გამო გადანატეხში მუქია. ისინი გა-მოირჩევიან მასიური, ბრტყელი პირითა და დაბალი ყელით (ტაბ. X, სურ. 7). ქვევრებს არ ამკობთ რელი-ეფური სარტყლები. ზედაპირზე უმეტესად ჩაკირვის კვა-ლია შემორჩენილი. ამგვარი ქვევრები ზოგადად XVI-XVIII სს-ით შეიძლება დათარიღდეს.

ზოგიერთი ქვევრის პირზე ამოღარულია ჯვრის გამოსა-ხულება (ტაბ. X, სურ. 10). ქვევრები ჯვრის გამოსახულებით აღმოსავლეთ საქართველოს სხვა ძეგ-ლებზეცაა გამოვლენილი. ფიქრობენ, რომ ამგვარი ქვევრები საეკლესიო საკუთრებას უნდა წარმოადგენდნენ [80, გვ. 111; 81, სურ. 11]. არც ისაა გამორიცხული, რომ ჯვრისგამოსახულებიანი ქვევრები საზედაშე ქვევრებად გამოიყენებოდა.

**ქოცოები.** ისინი ძირითადად ფრაგმენტების სახითაა შემორჩენილი, გვიანდელი შუა საუკუნეების ფენებში. თუმცა, გვხვდება ნაგებობის კლდის იატაკში ამოკვეთილ ორმოებში ჩადგმული და ჩაკირული ცალები. ქვევრებთან შედარებით ქოცოები თხელკეციანებია. შემკულია რელიეფური თოკისებური ორნამენტით (ტაბ. X, სურ. 11). წარმოდგენილი ნიმუშები XVII-XVIII სს-ით უნდა დათარიღდნენ.

**დერგები.** ისინი მოზრდილი და ტევადი ჭურჭლებია, რომლებიც საჭიროების მიხედვით უნდა გამოეყენებინათ როგორც ღვინისა თუ წყლის, ისე მარცვლეულისა და

სხვა პროდუქტების შესანახად [6, გვ. 133]. უფლისციხური დერგები სამეურნეო დანიშნულების სხვა ჭურჭლებისაგან გამოირჩევა თავისებური შემკულობით, რომლის მიხედვითაც ისინი იყოფა ორ დიდ ჯგუფად _ დატვიფრულ და დაუტვიფრავ დერგებად.

დატვიფრული დერგები ფრაგმენტების სახითაა შემორჩენილი, რის გამოც მათი ფორმების სრულად წარმოდგენა ჭირს. ისინი შემკულია დაბალი რელიეფით გამოყვანილი სარტყელებით, რომლებზეც თიხის ცილინდრული საბეჭდავის მეშვეობით, ასევე დაბალი რელიეფით გამოსახულია ცხოველთა ფიგურები და მცენარეული მოტივები. დერგების ყველა ნატეხზე მოცემულია ერთი და იგივე სიუჟეტი _ ძაღლის ნადირობა კურდღელზე. განსხვავება მხოლოდ კომპოზიციაში მონაწილე ფიგურების რაოდენობასა და მცენარეული ორნამენტის სხვადასხვაგვარად გადმოცემაშია. ამ თვალსაზრისით დატვიფრულ დერგებში რამდენიმე ვარიანტი გამოიყოფა:

1. დერგები, რომელთა სარტყელზე წარმოდგენილია თავშემობრუნებულ კურდღელს დადევნებული ძაღლი, რომლის უკან გამოსახულია ორი ურთიერთგადამკვეთი რელიეფური ხაზი და კურდღელი წინ მიმართული თავით. კომპოზიცია შემოსაზღვრულია მცენარეული ორნამენტით (ტაბ. X, სურ. 12-15).

2. დერგების რელიეფურ სარტყელზე გამოსახულია ორფიგურიანი სცენა - ძაღლი, რომელიც კურდღელს დადევნებია. კომპოზიცია შემოსაზღვრულია ორი ურთიერთგადამკვეთი რელიეფური ხაზით (ტაბ. X, სურ. 16, 17) (9).

3. დერგების რელიეფურ სარტყელზე წარმოდგენილია იგივე სცენა - კურდღელს დადევნებული ძაღლი, იმ განსხვავებით, რომ გამოსახულების ფონი მთლიანად შევსებულია სტილიზებული მცენარეული ორნამენტით (ტაბ. X, სურ. 18, 19).

ჭურჭლებზე ფიგურები შესრულებულია სამი განსხვავებული საბეჭდავით. სხვადასხვა დერგებზე წარმოდგენილი ცხოველთა და მცენარეთა გამოსახულე-ბები არათუ ემსგავსება, არამედ თითქმის იმეორებენ ერთმანეთს, რაც გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ, რომ საბეჭდავები აშკარად ერთი პიროვნების მიერ თუ არა, უეჭველია ერთ სახელოსნოში მაინცაა დამზადებული. ხოლო ამ საბეჭდავებით დატვიფრული დერგები უთუოდ ერთი სამეთუნეო სახელოსნოს პროდუქციაა.

დატვიფრული დერგები მრავლადაა აღმოჩენილი განვითარებული შუა საუკუნეების საქართველოსა (თბილისი, რუსთავი, დმანისი და სხვ.) და სამხრეთ კავ-კასიის სხვადასხვა ძეგლებზე (დვინი, ანისი, ორენ-ყალა და სხვ.) [6, გვ. 126-135; 99, ტაბ. IV-VII; 109, ტაბ. VI-VII; 114, გვ. 15, სურ. 5; 118, ტაბ. I-XI], მაგრამ მათში უფლის-ციხური დერგების შემკულობის მეტ-ნაკლებად მსგავს გამოსახულებებს ვერ ვხვდებით. უფლისციხის დატვიფ-რულ დერგებთან ყველაზე ახლოს დგას გარნისში აღმო-ჩენილი დერგის ფრაგმენტი, რომლის სარტყელზე წარმოდგენილია სცენა - ძაღლის ნადირობა კურდ-ღელზე. კომპოზიცია სამფიგურიანია. ფონი შევსებულია სტილიზებული მცენარეული ორნამენტით [106, გვ. 75].

აღწერილი სცენის გარდა უფლისციხურ დერგებზე სხვაგვარი მოტივები არ გვხვდება. გამონაკლისს წარმოადგენს სამი ფრაგმენტი. ერთი მათგანი ყურის ნა-

ტეხია. მასზე საბეჭდავით გამოყვანილია რვაფურცლოვანი ვარდული (ტაბ. X, სურ. 20). დაახლოებით ამგვარი ორნამენტით შემკული დერგები ცნობილია დმანისიდან [99, ტაბ. VI, სურ. 2], აგრეთვე სომხეთისა და აზერბაიჯანის განათხარი ძეგლებიდან [107, ტაბ. XLIII; 115, სურ. 1]. მეორე დერგის გვერდის ფრაგმენტზე გამოყვანილია ექვსქიმიანი ვარსკვლავი, შევსებული მცირე ზომის კოპებით (ტაბ. X, სურ. 21). მესამე დერგზე ერთადაა წარმოდგენილი რვაფურცლოვანი ვარდული და ექვსქიმიანი ვარსკვლავი (ტაბ. X, სურ. 22). სამივე ნატეხზე დატანილი გამოსახულება ზუსტად იმეორებს ერთმანეთს. ისინი ერთი საბეჭდავითაა შესრულებული. ირკვევა, რომ მეთუნეებს ზემოთ აღნიშნული სამი საბეჭდავის გარდა, დერგების შესამკობად კიდევ ორი საბეჭდავი გამოუყენებიათ. დერგები დამზადებულია საგანგებოდ გამჭლევებული, ნაკლებ პლასტიკური თიხისაგან. ისინი გამომწვარია წითლად. არათანაბარი გამოწვის გამო კეცი გადანატეხში მუქია. წერნაქით შეღებილი ზედაპირი გულდასმითაა ნაპრიალები.Dდატვიფრული რელიეფური სარტყელები ყოველთვის შეუღებავია. ამის გამო გამოსახულებები ფერითაც გამორჩეულია, რაც აადვილებს მათ აღქმას.

თუ სამხრეთ კავკასიის შუა საუკუნეების ძეგლებზე აღმოჩენილი დერგების შემკულობაში თვალში საცემია უამრავი სხვადასხვა სიუჟეტი და სახე, უფლისციხის დერგებზე (სამი ნატეხის გარდა) ვხვდებით მხოლოდ ერთ სიუჟეტს (ძაღლის ნადირობა კურდღელზე). ამასთან, უფლისციხის დატვიფრული დერგები ვერც რიცხობრივად შეედრება რუსთავულ ან დმანისურ დატვიფრულ დერგებს.

დატვიფრული დერგები სამხრეთ კავკასიის შუა საუკუნეების ძეგლებზე ყველგან ძირითადად XII-XIII სს-ით თარიღდება. უფლისციხიდან მომდინარე ანალოგიური ჭურჭლები აღმოჩენის ვითარების მიხედვით უფრო XIII-XIV სს-ს უნდა მივაკუთვნოთ.

დატვიფრულ დერგებთან ერთად უნდა განვიხილოთ კლდეში ნაკვეთი კომპლექსის სხვადასხვა უბანზე აღმოჩენილი, წერნაქით შეღებილ-ნაპრიალები დერგების ერთი ჯგუფი, რომლებზეც მართალია, ტვიფრით დატანილი ორნამენტი არ შემორჩენილა, მაგრამ ფორმით, მოცულობით, ზედაპირის დამუშავებითა და კეცის მიხედვით, ისინი უთუოდ დატვიფრული დერგების ფრაგმენტები უნდა იყოს. მათთვის დამახასიათებელია გაშლილი პირი. ფართო ყელზე შემოუყვებათ ამოღარული ტალღისებური ორნამენტი და წრიული ნაჭდევები. აგრეთვე სადა ან ირიბად დაკეჭნილი რელიეფური სარტყელები. ოვალურგანივკვეთიანი მასიური ყურები მიერთებულია ყელსა და მხარზე (ტაბ. XI, სურ. 1, 2). დერგებს ყურებზე ჰქონიათ ღრუ კონუსური დანაძერწები. ისინი მხოლოდ ერთ ჭურჭელზეა მთლიანად შემორჩენილი. კონუსურ ფორმაზე ნაკაწრებისა და ნაჭდევების მეშვეობითAწარმოდგენილია ადამიანის თავის სტილიზებული გამოსახულება (ტაბ. XI, სურ. 3).

XII-XIII სს-ით დათარიღებული კონუსური დანაძერწებით შემკული სხვადასხვა ფორმისა და დანიშნულების ჭურჭლები გვხვდება: დმანისში [99, ტაბ. III, სურ. 6], თბილისში [20, ტაბ. XXII, 79], დვინში [114, ტაბ. XVIII], ორენ-ყალაში [109, ტაბ. V]. საინტერესოა დმანისსა და ანისში აღმოჩენილი ადამიანის თავის

გამოსახულებით შემკული კონუსურდანაძერწიანი კერამიკის ფრაგმენტები [36, გვ. 120; 118, გვ. 25]. თუმცა, ისინი წარმოადგენენ არა დერგების, არამედ ხუფების სახელურებს.

საფიქრებელია, რომ დატვიფრული დერგები უფლისციხესთან ახლო მდებარე ქალაქ გორის სამეთუნეო სახელოსნოში მზადდებოდა. ცნობილია, რომ XII-XIII სს-ში განსაკუთრებით სწრაფად დაწინაურდა ქალაქი გორი, რომელიც მდებარეობდა ჩრდილოეთის, სამხრეთისა და დასავლეთის გზათა შესაყარზე. მან თანდათან პირველობა ჩამოართვა უფლისციხეს და იქცა შიდა ქართლის ერთ-ერთ ძლიერ პოლიტიკურ-ეკონომიკურ ცენტრად [116, გვ. 43]. დატვიფრული დერგების წარმოება-მოხმარება უფრო მეტად სამხრეთ კავკასიის მსხვილი საქალაქო ცენტრებისათვის (თბილისი, რუსთავი, დმანისი, დვინი, ანისი, გარნისი, განჯა, ორენ-ყალა და სხვ.) ჩანს დამახასიათებელი. არაა გამორიცხული, რომ დატვიფრული (აგრეთვე დაუტვიფრავი) დერგების წარმოების ერთ-ერთ ცენტრს წარმოადგენდა XII-XIII სს-ში დიდად დაწინაურებული ქალაქი გორი, რომელიც ამ პროდუქციაზე ახლომახლო პუნქტების მოთხოვნილებებსაც აკმაყოფილებდა. თუმცა, გორის არქეოლოგიურად ნაკლებად შესწავლილობის გამო ეს საკითხი საბოლოოდ გადაწყვეტილად ვერ ჩაითვლება. უფლისციხური დატვიფრული დერგები არაა მრავალრიცხოვანი, მაგრამ ფორმებისა და შემკულობის მიხედვით მათში გამოირჩევა საინტერესო ნიმუშები, რომლებიც უთუოდ საყურადღებო და გასათვალისწინებელია შიდა ქართლისა, თუ საერთოდ აღმოსავლეთ საქართველოსშუა საუკუნეებისკერამიკის შესწავლისას.

დაუტვიფრავ დერგებში გამოირჩევა ერთი ჭურჭელი, გაშლილი პირით, ფართო, დაბალი ყელით, დაშვებული მხრებითა და ძირისაკენ გაფართოებული მუცლით. ოვალურგანივკვეთიანი ყური, აგრეთვე, მხარი შემკულია კონუსური და გაურკვეველი ფორმის მასიური დანაძერწით. ტანის ზედა ნაწილი დაფარულია ნაკაწრი ხაზებით შემოსაზღვრული ნაჩხვლეტებით. მუცელზე შემოუყვება დაკეჭნილი რელიეფური სარტყელი. წერნაქით შეღებილი ზედაპირი ნაპრიალებია (ტაბ. XI, სურ. 9). აღნიშნული ჭურჭელიზემოთ აღწერილი, ყურზე კონუსურდანაძერწიანი დერგების მიბაძვითაა დამზადებული, თუმცა მათთან შედარებით გაცილებით მდარე ხარისხისაა და უფრო მოგვიანო ხანის უნდა იყოს. აღმოჩენის ვითარების მიხედვით ის უფრო XVI-XVII სს-ით შეიძლება დათარიღდეს.

დაახლოებით ამავე პერიოდს უნდა მიეკუთვნებოდეს მომაღლოყელიანი, წიბოდაკეჭნილი დერგი, ყელზე შემოვლებული ამოღარული ტალღოვანი ორნამენტითა და წრიული ნაჭდევებით (ტაბ. XI, სურ. 4). ორნამენტის მიხედვით ის ახლოს დგას როგორც წერნაქით შეღებილ-ნაპრიალებ დერგებთან, ისე ჩვენს მიერ XVI-XVII სს-ით დათარიღებულ დაუტვიფრავი დერგის ნიმუშთან.

დაუტვიფრავი დერგებიდან აღსანიშნავია ქობანაჭდევიანი ეგზემპლარები სადა, ხაოიანი ზედაპირით (ტაბ. XI, სურ. 5-7). ამ ფორმის დერგებში გვხვდება წერნაქით შეღებილ-ნაპრიალები ეგზემპლარიც (ტაბ. XI, სურ. 8). უკანასკნელი გამოყენებული იყო თონის ძირზე დატანებული საქარე მილის თაღად. ნაგებობა სადაც თონე გამოვლინდა XVI-XVII სს-ით უნდა დათარიღდეს. იმავე პერიოდს მიეკუთვნება ქობანაჭდე-

ვიანი დაუტვიფრავი დერგებიც, რომლებიც პირ-ყელის მოყვანილობითა და შემკულობის ზოგიერთი დეტალით (ნაჭდევი ორნამენტი) დიდ მსგავსებას ამჟღავნებენ უფლისციხეში აღმოჩენილ გვიანდელი შუა საუკუნეების ქვევრებთან (ტაბ. X,სურ.1).

**სადღვებლები.** გვიანდელი შუა საუკუნეების სამეურნეო დანიშნულების კერამიკიდან აღსანიშნავია ფრაგმენტების სახით შემორჩენილი სადღვებლები. ისინი დამზადებულია უხეში, სილამინარევიანი თიხისაგან, გამომწვარია წითლად, აქვს სქელი კეცი და ხაოიანი ზედაპირი. კეცი გადანატეხში მუქია (ტაბ. XII, სურ. 8, 9). ფრაგმენტულობის გამო სადღვებლების ფორმების აღდგენა ვერ ხერხდება. თუმცა, მათი ფორმების წარმოდგენა ძნელი არაა, ვინაიდან სამეურნეო კერამიკის ეს სახე მთელი შუა საუკუნეების მანძილზე ფორმების რაიმე მკვეთრ ცვლილებას არ განიცდის.

**ქოთნები.** სამზარეულო კერამიკის ეს ჯგუფი ყველაზე მრავლადაა გამოვლენილი გვიანდელი შუა საუკუნეების კულტურულ ფენებში. მათში ოთხი ტიპი შეიძლება გამოიყოს.

I ტიპის ქოთნებისათვის დამახასიათებელია: მომრგვალებული, ოდნავ გაშლილი ფართო პირი, მომაღლო, შედარებით სწორი ყელი, სფერული მოყვანილობის ტანი. ოვალურგანივკვეთიანი ყურები მიერთებულია ჭურჭლის პირსა და მხარზე (ტაბ. XII, სურ. 4). მსხვილმარცვლოვანი თიხის შემადგენლობაში კვარცისა და სილის მინარევები ჭარბობს. ამ ტიპის ქოთნებისათვის ორნამენტის ერთადერთ სახეს წარმოადგენს მხარზე ამოკაწრული სარტყელი.

II ტიპის ქოთნებიც საკმაოდ მრავლად გვხვდება უფლისციხეში. ისინი შედარებით მცირე ზომისაა. ხასიათდებიან: დაბრტყელებული პირით, დაბალი ყელით, განიერი მუცლით. ოვალურგანივკვეთიანი ყურები მიერთებულია პირსა და მხარზე. ქოთნებს ორნამენტი არა აქვთ (ტაბ. XII, სურ. 3).

III ტიპის ქოთნები შედარებით მცირე რაოდენობითაა აღმოჩენილი. ყველა მათგანი ფრაგმენტების სახითაა შემორჩენილი, თუმცა გვხვდება მთლიანი ჭურჭელიც (ტაბ. XII, სურ. 1). განხილულ ქოთნებთან შედარებით, ეს უკანასკნელი გაცილებით დიდი ზომისაა. მისთვის დამახასიათებელია: ფართოდ გაშლილი პირი, დაბალი ყელი, რამდენადმე ბიკონუსური მოყვანილობის ტანი. ოვალურგანივკვეთიანი ყურები მიერთებულია ყელსა და მუცელზე. ყურების ზედა ნაწილზე დაძერწილია ორ-ორი კოპი, ქვედა ნაწილი კი შემკულია ფართო ნაჭდევით.

IV ტიპის ქოთნებისათვის დამახასიათებელია: ოდნავ გაშლილი პირი, მაღალი ყელი, დაშვებული მხრები და მოგრძო ტანი. ოვალურგანივკვეთიანი ყურები მიერთებულია ჭურჭლის პირსა და მუცელზე. ყურის ყელთან მიერთების ადგილას შემკულია ფართო ნაჭდევით (ტაბ. XII, სურ. 5).

**ქილები.** მათში ორი ტიპი შეიძლება გამოიყოს. I ტიპის ქილებს აქვთ სამკუთხაგანივკვეთიანი ან მომრგვალებული პირი, ცილინდრული მოყვანილობის მაღალი ყელი, მომრგვალებული ტანი. შემკულობის სახეა: კოპები, მორგვისეული ხაზები, რელიეფური სარტყელები (ტაბ. XII, სურ. 6, 7).

II ტიპის ქილებს ახასიათებს: ბრტყელი, გარეთ გაწეული პირი; დაბალი ყელი; დაშვებული მხრები. ტანი შემკულია ამოღარული სარტყელებითა და ირიბი ნაჭდევებით (ტაბ. XII, სურ. 2). ქოთნებიცა და ქილებიც გვიანდელი შუასაუკუნეების ფენებიდან მომდინარეობენ და ძირითადად XVII-XVIII სს-ით შეიძლება დათარიღდნენ.

**სამზარეულო ჯამები.** ესენია მსხვილმარცვლოვანი თიხისაგან დამზადებული, წითლად გამომწვარი, წერნაქით შეღებილი ორყურა და ოთხყურა ჯამები. ფორმა-ზომებით ისინი უფრო სასუფრე დანიშნულების ჭურჭლებს წააგვანან, მაგრამ ყველა მათგანი ქვემოდან შებოლილია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ჭურჭლებს ცეცხლზე ჩამოსაკიდებლად ან დასადგმელად ხმარობდნენ. აღვწერთ შედარებით უკეთ შემორჩენილ ცალებს. ერთ-ერთ ჯამს პირზე მიძერწილი აქვს მცირე ზომის კოპები. მხარზე შემოუყვება ამოღარული სარტყელი. კალთა მკვეთრადაა დაქანებული. ოთხი მცირე ზომის ყური მიერთებულია ჭურჭლის პირსა და კალთაზე. ძირი ოვალურია, როგორც ჩანს, ჯამი ცეცხლზე ჩამოსაკიდებლად გამოიყენებოდა, რაზეც მეტყველებს ჭურჭლის ოვალური ძირი (ტაბ. VIII, სურ. 10). მეორე ჯამი ოდნავ პირმოყრილია. ოვალურგანივკვეთიანი წყვილი ყური მიერთებულია ჭურჭლის პირსა და კალთის დასაწყისთან. კალთა მკვეთრადაა დაქანებული (ტაბ. VIII, სურ. 11). ის ცეცხლზე დასადგმელი ჭურჭელი ყოფილა, რაზეც მიუთითებს ჯამის ბრტყელი ძირი. ორივე ჯამი მიკვლეულია ფლატის ძირას გათხრილი ნაგებობის იატაკის დონეზე. ნაგებობა და მასში აღმოჩენილი მასალა თავის დროზე დათარიღდა XI-XIII სს-ით

[88, გვ. 23]. ვფიქრობთ, თარიღი მნიშვნელოვნად უნდა გაახალგაზრდავდეს და იქ გამოვლენილი მასალა უფრო XVI-XVII სს-ით უნდა დათარიღდეს.

**ხელადები.** ისინი განათხარ მასალაში საკმაოდ მრავალ-რიცხოვანი და მრავალფეროვანი ნიმუშებითაა წარმოდგენილი. მათში რამდენიმე ტიპი შეიძლება გამოიყოს.

I ტიპის ხელადები გამოირჩევიან მკვეთრად აზნექილი ღარიანი ტუჩითა და გოფრირებული ტანით. ყურის ყელთან მიერთების ადგილას აქვთ «ყურისებური» დანა-ძერწები ან კოპები. ერთი ხელადა შემკულია წიბოებითა და წნევით დატანილი ვერტიკალური პრიალა ზოლებით (ტაბ. XII, სურ.4). მეორე დაფარულია ანგობის სქელი ფე-ნითა და ნაპრიალებია (ტაბ. XIII, სურ. 7). ორი მათგანი კი წერნაქითაა შეღებილი (ტაბ. XIII, სურ. 2,3).პირველიორი ხელადა გამოვლენილია ფლატისძირა სათავსოში, რომელიც სავარაუდოდ XVI-XVII სს-ით შეიძლება დათარიღდეს.

I ტიპის ხელადებში ცალკე ქვეტიპად შეიძლება გამოიყოს მოჩალისფროდ გამომწვარი მცირე ზომის ხელადები აზნექილი ტუჩით, ვიწრო ყელითა და კვერც-ხისებური მოყვანილობის ტანით. ყურის პირთან მიერთების ადგილი შემკულია წიბოებით, კოპებითა და დისკოებით. ტანი შემკული აქვთ ამოღარული სწორი და ტალღოვანი ხაზებით, აგრეთვე ირიბი ნაჭდევებით (ტაბ. XIII, სურ. 1, 4, 5). ამ ქვეტიპის ჭურჭლები აღწერილი I ტიპის ხელადების თანადროული ჩანან.

I ტიპის ხელადები განათხარ მასალაში ყველაზე მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანია. მათზე წარმოდგენილია შემკულობის თითქმის ყველა სახე: შე-

ღებვა, გაპრიალება, ამოღარული ორნამენტი, წიბოები, კოპები, დისკოები, წნევით დატანილი ზოლები, ანგობირება, ტანის გოფრირება და სხვ.

II ტიპის ვიწროტუჩიანი, წითლად გამომწვარი ხელადებისათვის დამახასიათებელია: ოდნავ გაშლილი პირი, აზნექილი ვიწრო ტუჩი, მომაღლო ყელი, სფერული მოყვანილობის ან მკვეთრად გამობერილი მუცელი. მრგვალგანივკვეთიანი ან გრეხილი ყური მიერთებულია ყელსა და მხარზე. ჭურჭლების ზედაპირი ხაოიანია. შემკულობის სახეს წარმოადგენს ნაჭდევი და ამოღარული სარტყელები (ტაბ. XII, სურ. 10, 11), პირს ქვემოთ დატანილი კოპები და წერნაქით მოხატვა (ტაბ. XII, სურ. 12). აღწერილი სამივე ხელადა გამოვლინდა ჩრდილოეთი უბნის №53 ნაგებობაში. მათგან ორი აღმოჩნდა იატაკის დონეზე, ერთი კი (ტაბ. XII, სურ. 11) იმავე ნაგებობაში გამართულქვევრში (ტაბ. X,სურ.4),რომელიცXVII-XVIIIსს-ს უნდამიეკუთვნებოდეს.

III ტიპში ერთიანდებიან ფრაგმენტების სახით შემორჩენილი, მოჩალისფროდ გამომწვარი სამტუჩა ხელადები (ტაბ.XIII,სურ.8-10).

IV ტიპის ხელადები გამომწვარია წითლად. პირი წრიულია, განივკვეთში სამკუთხა. ყელი ვიწროა, წიბოიანი. ტანი კვერცხისებური მოყვანილობისაა. ყური მიერთებულია ყელსა და მხარზე. ჭურჭლის ზედაპირი ხაოიანია (ტაბ. XIII, სურ. 11, 12). ამ ტიპის ხელადებს, ამოღარული სარტყელების გარდა, დეკორი არ გააჩნიათ. ჭურჭლის მხატვრული ეფექტი ძირითადად დახვეწილი პროპორციებითაა მიღწეული. ერთ-ერთი ხელადა აღმოჩნდა ჩრდილოეთი უბნის №47 ნაგებობის იატაკის დონეზე. იქვეა გამოვლენილი ანგობით მოხატული და

მწვანე ჭიქურის ლაქებით შემკული ჯამი (ტაბ. XV, სურ. 18), რომელიც XVI-XVII სს-ით შეიძლება დათარიღდეს.

**ჯამები.** ისინი სხვადასხვა ფორმისაა. გვხვდება სხვადასხვა ზომის ჯამები ოდნავ შიგნით ჩაკეცილი პირითა და მომრგვალებული მხრებით (ტაბ. VIII, სურ. 12). ჯამები ორივე მხრიდან წერნაქით შეღებილ-ნაპრიალებია. ჭურჭლების, მათ შორის ჯამების წერნაქით შეღებვა-გაპრიალება ფართოდაა გავრცელებული XVI-XVIII სს-ში [7, გვ. 182]. უფლისციხის წერნაქიანი ჯამები აღმოჩენილია გვიანდელი შუა საუკუნეების ფენებში და XVII-XVIII სს-ით შეიძლება დათარიღდნენ.

იმავე კულტურულ ფენებში ფრაგმენტების სახით გვხვდება წითლად გამომწვარი, პირჩაღარული და მომრგვალებულპირიანი ჯამები (ტაბ. VIII, სურ. 13, 14). ამგვარი ჯამები მრავლად გვხვდება აღმოსავლეთ საქართველოს გვიანდელი შუა საუკუნეების თითქმის ყველა ძეგლზე.

**სასმისები.** სასუფრე ჭურჭლების საინტერესო ჯგუფს წარმოადგენს თხელკეციანი, წმინდად განლექილი თიხის, მოჩალისფროდ ან მოვარდისფროდ გამომწვარი ორყურა და ცალყურა მინიატურული სასმისები.

სასმისების ერთი ჯგუფისათვის დამახასიათებელია: დაბალი ცილინდრული ყელი, ოთხი «ტუჩისაგან» შემდგარი პირი და ბრტყელი, ოდნავ შეზნექილი ძირი. სასმისების უმრავლესობა ზედაპირნაპრიალებია. ტანი შემკული აქვთ შიგნიდან დატანილი ირიბი ნაჭდევებითა და კოპებით (ტაბ. XIII, სურ. 15, 16). გვხვდება სადაზედაპირიანი, უპრიალო ცალებიც (ტაბ. XIII, სურ. 13). ამგვარი სასმისები ცნობილია: რუსთავიდან [78, გვ. 173], იყალთოდან [53, გვ. 87]. განსაკუთრებით მრავ-

ლადაა ისინი აღმოჩენილი სიონის სამაროვანზე [50, გვ. 96].

წრიულპირიან სასმისებს აქვთ მკვეთრად შეზნექილი ძირი. მათთვის დამახასიათებელია: დაბალი, ცილინდრული ყელი და დაშვებული მუცელი. ზემოთ აღწერილი ჭურჭლებისაგან განსხვავებით, უფრო ვიწროპირიანებია. არ გამოირჩევიან ზედაპირის სიპრია-ლითა და ორნამენტაციით. გამონაკლისს წარმოადგენს ერთი სასმისი, რომლის ზედაპირი შემკულია ნაკაწრი ტალღოვანი სარტყელით (ტაბ. XIII, სურ. 14).

საკმაოდ დახვეწილი და მოხდენილი პროპორციებით გამოირჩევა ერთი სასმისი, რომელიც შემთხვევითაა აღმოჩენილი სოფ. უფლისციხის ტერიტორიაზე. სასმისი მთლიანადაა შემორჩენილი და გვაფიქრებინებს, რომ ის შესაძლოა სამარხეული ინვენტარიდან იყოს. სასმისს აქვს ოდნავ გაშლილი პირი, ცილინდრული მომაღლო ყელი, გამობერილი მუცელი, გამოყვანილი ქუსლი. ყური მიერთებულია პირსა და მხარზე. მხრები და მუცელი მოხატულია წითელი და შავი საღებავით (ტაბ. XIII, სურ. 18).

აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე (დმანისი, რუსთავი, იყალთო, ივრის სიონი, ჟინვალი) აღმოჩენილი სადა თუ მოხატული თხელკეციანი, ღია ფერის სასმისები XI-XIII სს-ით თარიღდება [99, გვ. 21; 78, გვ. 176; 53, გვ. 87; 50, გვ. 93]. უკანასკნელ წლებში გამოვლენილი მასალების მიხედვით ირკვევა, რომ ამგვარი სასმისები XIV-XV სს-ის ძეგლებზეც საკმაოდ ფართოდ ყოფილა გავრცელებული (10). უფლისციხური თხელკეციანი სასმისები ჩვენ უფრო მოგვიანო ხანის გვგონია და XIV-XV სს-ს მივაკუთვნებთ.

**ჭრაქები**. ფორმების მიხედვით ისინი სამ ტიპად იყოფა. I ტიპს მიეკუთვნება პირგაშლილი, დაბალყელიანი ჩაიდნისებური ჭრაქები, რომელთაც გამობერილ მუცელზე აქვთ საპატრუქენახვრეტიანი გრძელი ლულა. მრგვალგანივკვეთიანი ყური მიერთებულია პირსა და მხარზე (ტაბ. IX, სურ. 3). ისინი დამზადებულია მორგვზე. იშვიათად გვხვდება ხელით ნაძერწი ცალებიც. ჭრაქების ზომებია: სიმაღლე 7,5 სმ, პირის დიამეტრი 5,5 სმ, ძირის დიამეტრი 5 სმ.

ამ ტიპის ჭრაქები ლოჭინსა (IV-VI სს.) და ურბნისის (VI-VIII სს.) განათხარ კერამიკაში არ ჩანს. IX-X სს-ით დათარიღებული მილიანი ჭრაქები ცნობილია ორენ-ყალადან, სადაც მათი სახელოსნოცაა მიკვლეული [124, გვ. 51]. IX ს-ით თარიღდება დვინის ცენტრალური უბნიდან მომდინარე ჩაიდნისებური ჭრაქები [112, ტაბ. XXVI 6, 7]. ივრისპირის «ქვაბების» გათხრებისას აღმოჩენილი მსგავსი ფორმის ჭრაქები თარიღდება IX-X სს-ით [46, გვ. 161, 162]. XIV ს-ის მილიანი ჭრაქები გვხვდება თბილისის კერამიკულ სახელოსნოში [34, გვ. 111]. მათ შორის ერთი მოჭიქულიცაა [44, გვ. 64]. XIII ს-ით თარიღდება ანალოგიური ჭრაქი დმანისიდან [100, გვ. 66]. მილიანი ჭრაქები ცნობილია რუსთავიდან [32, ტაბ. XXXII3], უჯარმიდან [33, გვ. 231, 275]. XII-XIII სს-ით დათარიღებული ანალოგიური ფორმის ჭრაქები აღმოჩენილია თელავშიც, სადაც ერთი მოჭიქულიცაა [74, გვ. 55, ტაბ. VI7]. ჩანს, ამგვარი ჭრაქები განვითარებულ შუა საუკუნეებში საკმაოდ ფართოდ ყოფილა გავრცელებული. უფლისციხური მილიანი ჭრაქები უფრო XIII-XIV სს-ით უნდა დათარიღდეს.

ამავე პერიოდს უნდა მიეკუთვნებოდეს უფლისციხეში გამოვლენილი II ტიპის ჭრაქები ოთხი საპატრუქე ტუჩით (2 ერთეული). მათთვის დამახასიათებელია ოთხი საპატრუქე ტუჩი, ჩაკეცილი პირები, დაქანებული კალთები და მომაღლო ბრტყელძირა ქუსლი (ტაბ. IX, სურ. 4). ამ ტიპის ჭრაქი ცნობილია ქვემო ქართლიდან [19, გვ. 138]. მსგავსი ფორმის მოჭიქული ჭრაქი ცნობილია თბილისის კერამიკული სახელოსნოდან, რომლის ფუნქციონირების შეწყვეტის თარიღად XIV საუკუნეა მიჩნეული [102, გვ. 41, 46, 47, 53, 56; 85, გვ. 56].

III ტიპში ერთიანდება სხვადასხვა ზომის ჭრაქები, რომლთაც აქვთ ოდნავ ჩაკეცილი პირები და ქუსლიანი ძირი (ტაბ. IX, სურ. 5). ანალოგიური ჭრაქები ფართოდაა გავრცელებული აღმოსავლეთ საქართველოს გვიანდელი შუა საუკუნეების ძეგლებზე. ისინი აღმოჩენილია: თბილისში (ნარიყალა, ერეკლე II-ეს მოედანი), მცხეთაში, რუსთავის ნაციხარზე, დმანისში, ლოქის ხეობაში, ბაღდათში, ნოსტეში [20, გვ. 41; 8, გვ. 112, 113, ტაბ. I1] და ძირითადად XVII-XVIII სს-ით თარიღდება [8, გვ. 112-115].

**აგურები.** შუა საუკუნეების უფლისციხეში ჩვეულებრივი წესით ნაგები სახლების მშენებლობისას ქვაა გამოყენებული. წყობაში მხოლოდ აქა-იქ შეინიშნება აგური. სამშენებლო მასალის ეს სახე, რომელიც განათხარ მასალაში მცირე რაოდენობით ჩნდება, ძირითადად გამოიყენებოდაგვიანდელიხანისთონეებისსაჰაერო ღარების გადასაფარებლად. აგურები სხვადასხვა ზომისაა: 20X20X4 სმ, 21X21X5 სმ, 24X24X4 სმ, 23X23X4 სმ, 21X19X5 სმ, 21X20X4 სმ.

**კრამიტები.** გვიანდელი შუა საუკუნეების ჩვეულებრივი წესით ნაგები შენობების ნაწილი კრამიტით ყოფილა გადახურული. გვხვდება როგორც ღარიანი, ისე ბრტყელი კრამიტის ნატეხები. ბრტყელი კრამიტები ღარიან კრამიტებთან შედარებით უფრო მრავლადაა გამოვლენილი, თუმცა იმდენად ფრაგმენტულად, რომ მათი ზომების სრულად წარმოდგენა ჭირს. ზოგიერთი ბრტყელი კრამიტის ფართო ბოლოზე შეინიშნება გარდიგარდმო «ღობის» არსებობა (ტაბ. XIII, სურ. 24).

**წყალსადენის მილები.** გათხრებისას ნაპოვნია წყალსადენის ცალკეული მილები (ტაბ. XIII, სურ. 21). მათი უმრავლესობა გამოყენებული იყო თონეების საჰაერო მილებად. აღსანიშნავია, რომ თონეებთან დაკავშირებული წყალსადენის მილებიდან ყველა დაზიანებული იყო. ზოგს თავი ან ბოლო ჰქონდა მოტეხილი, ზოგი შუაზე იყო გადატეხილი. ჩანს, გვიანდელ შუა საუკუნეებში მოსახლეობას თონეების საჰაერო მილებად გამოუყენებიათ იმ დროისათვის უკვე მწყობრიდან გამოსული და ჩვენამდე ვერმოღწეული უფლისციხის რომელიღაც წყალსადენის ტრასის მილები.

**2. მოჭიქული კერამიკა.** აღმოსავლეთ საქართველოში შესწავლილ შუა საუკუნეების არაერთ ძეგლზე, მასალის გარკვეული ნაწილი მოჭიქული კერამიკაა. ამ მხრივ არც უფლისციხეა გამონაკლისი. მოჭიქული კერამიკის აბსოლუტური უმრავლესობა ჯამებია. ქრონოლოგიური თვალსაზრისით მათში გამოირჩევა განვითარებული და გვიანდელი შუა საუკუნეების ჭურჭელი.

XIII_XIV სს-ის მოჭიქული კერამიკული ნაწარმის უმრავლესობა ჯამებია. მათთვის დამახასიათებელია: მაღალი ქუსლი, შეღარული, კოპიანი ძირი,

მსხვილმარცვლოვანი თიხა, წითლად გამომწვარი კეცი. ჯამების შიდაპირი დაფარულია თეთრი ანგობით. ორნამენტი უმეტესად გამოყვანილია ამოკაწვრით. ჭურჭლების უმრავლესობას გადავლებული აქვს უფერული, კრიალაჭიქური.

მოჭიქვისას ძირითადად გამოყენებულია მწვანე, ყვითელი, აგრეთვე ანგობის თეთრი ფერი. რაც შეეხება სოსნისფერს, ის მეტწილად დამხმარე ფუნქციას ასრულებს და ორნამენტს წერტილებით ან ლაქებით აცოცხლებს. მრავალფრად მოჭიქულ კერამიკაში გამოიყოფა მცენარეული და გეომეტრიული ორნამენტით შემკული ჯამები. გვხვდება ჯვრისა და ფრინველის გამოსახულებებით შემკული ჭურჭლებიც.

1. ჯვრისებური ორნამენტით შემკული ჯამები სამი ერთეულია. ჯამების შიდაპირი ამოკაწრული ხაზებით დაფარულია რვა სექტორად, რომლებიც შევსებულია მწვანე და ყვითელი (ტაბ. XIV, სურ. 28) ან მწვანე და სოსნისფერი (ტაბ. XIV, სურ. 29) საღებავით. ერთ ჯამზე ამოკაწრული სექტორებიდან ოთხი შევსებულია ცისფერი, დანარჩენი კი ანგობის თეთრი ფერით (ტაბ. XIV, სურ. 30).

განვითარებული შუა საუკუნეების ჯამებზე ჯვრისებური ორნამენტის გამოყვანა საკმაოდ ფართოდ გავრცელებული მოტივია, სადაც ჯვარი ყოველთვის ყვითელია [41, გვ. 33]. ამ მხრივ ორიგინალურად გამოიყურება უფლისციხური ჯამი, რომელზეც ჯვარი ცისფერი საღებავითაა გამოყვანილი (ტაბ.XIV,სურ.30).

2. ფრინველის გამოსახულებით შემკული ჯამები ორი ერთეულია. ჯამის შიდაპირზე ამოკაწრულია მტრედის თავი მარცხენა პროფილში და შევსებულია ყვითელი

საღებავით. წრეზე, რომლითაც თვალია გამოსახული, დადებულია სოსნისფერი წერტილი. მტრედის თავის უკან და ნისკარტთან ამოკაწრულია მწვანე საღებავით შევსებული მარყუჟიანი რგოლები. კალთა შემოსაზღვრულია წყვილი ნაკაწრით, რომელზეც სოსნისფერი საღებავის ზოლია გავლებული (ტაბ. XIV, სურ. 31). მეორე ჯამის შიდაპირზე მარცხენა პროფილში ამოკაწრულია მტრედის ტანი. გულმკერდის არე დაფარულია ყვითელი, ხოლო ფრთები და ფეხები კი მწვანე საღებავით. ფონი შევსებულია რტო-ყლორტოვანი ორნამენტით (ტაბ. XIV, სურ. 32). თიხის სტრუქტურით, ზომებითა და ჭიქურის ელფერით ჯამები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ისინი ორი სხვადასხვა სახელოსნოს ნაწარმი უნდა იყოს.

როგორც აღნიშნავენ, მტრედისგამოსახულებიანი ჯამები ყველაზე მეტად განვითარებული შუა საუკუნეების ქართული კერამიკული წარმოებისთვისაა დამახასიათებელი. სომხეთსა და აზერბაიჯანში მოპოვებული ანალოგიური ჭურჭლები საქართველოდან უნდა იყოს გატანილი [82, გვ. 165].

მტრედისგამოსახულებიანი ჯამები განსაკუთრებით მრავლადაა აღმოჩენილი თბილისის კერამიკულ სახელოსნოში [44, გვ. 48]. თუ ამ სახელოსნოს დანგრევის უახლეს თარიღს [85, გვ. 53] გავითვალისწინებთ, უფლისციხის მტრედისგამოსახულებიანი ჯამები უფრო XIV ს-ით შეიძლება დავათარიღოთ.

მრავალფრად მოჭიქულ კერამიკაში ცალკე გამოიყოფა გეომეტრიული ორნამენტით შემკული ჯამები.

1. ოთხკუთხედებითა და ფერადი რგოლებით შემკული ჯამები სამი ერთეულითაა წარმოდგენილი. ჭურჭლის

შიდაპირზე გამოყვანილია ნაკაწრი ოთხკუთხედები, რომელთა ცენტრში გამოსახულია მწვანე, ხოლო ხაზების გადაკვეთაზე ყვითელი საღებავით შევსებული რგოლები (ტაბ. XV, სურ. 1). ზოგიერთ ჯამზე შემორჩენილია წყვილი, ურთიერთგადამკვეთი ამოკაწრული ხაზები, შევსებული მწვანე საღებავით (ტაბ. XV, სურ. 2). მსგავსი ორნამენტით შემკული ჯამები ცნობილია თბილისის კერამიკული სახელოსნოდან [44, გვ. 57], რუსთავის ნაციხარიდან, გუდარეხიდან, უჯარმიდან, ორენ-ყალადან [41, გვ. 46]. უფლისციხური ჯამები XIII-XIV სს-ით შეიძლება დათარიღდნენ.

ერთ-ერთი ჯამის კალთაზე ამოკაწრულია წყვილი ხაზებისაგან შედგენილი, ყვითელი საღებავით შევსებული წრე (ტაბ. XV, სურ. 3). ანალოგიური ორნამენტით შემკული ჯამი ცნობილია არეშის ნაქალაქარის განვითარებული შუა საუკუნეების განათხარი მასალიდან [84, ტაბ. XXIII, 2].

2. ფერადი სხივებითŸშემკული მხოლოდ ერთი ჯამია ცნობილი. ჭურჭლის შიდაპირზე ამოკაწრულია წყვილი ხაზებისაგან შედგენილი სხივები, რომლებიც ყვითელი და მწვანე საღებავითაა შევსებული. ორნამენტი გახალისებულია სოსნისფერი წერტილებით (ტაბ. XV, სურ. 5).

მრავალფრად მოჭიქულ კერამიკაში ცალკე ჯგუფად გამოიყოფა მცენარეული ორნამენტით შემკული ჭურჭელი.

1. ჯამების შიდაპირზე ამოკაწრულია მწვანე საღებავით შევსებული რტო-ყლორტები. ორნამენტი გამოცოცხლებულია სოსნისფერი წერტილებით (ტაბ. XV, სურ. 6-8). ერთ-ერთი ჯამის მოვარდისფრო ანგობით

დაფარულ შიდაპირზე ნაკაწრებით გამოყვანილია მცენარის ყლორტები, შევსებული მწვანე საღებავით და ყვავილი, რომელიც სოსნისფერი საღებავითაა გამოცოცხლებული (ტაბ. XV, სურ. 15). სხვა ჯამზე ამოკაწრულია ანგობის თეთრი ფერით გამოყვანილი რტო-ყლორტები. ფონი ყვითელი და ანგობის თეთრი ფერითაა წარმოდგენილი. ფრაგმენტზე შემორჩენილია მწვანე საღებავის კვალი (ტაბ. XV, სურ. 11).

რტო-ყლორტოვანი ორნამენტით შემკული ჯამები მრავლადაა აღმოჩენილი აღმოსავლეთ საქართველოს განათხარ ძეგლებზე. როგორც ფიქრობენ, ამგვარი ჯამები XII ს-ის მიწურულითა და XIII ს-ით უნდა დათარიღდნენ [41, გვ. 37]. ჯამებზე რტო-ყლორტები, როგორც დამოუკიდებელი ორნამენტი არსად გვხვდება. ის ყოველთვის წარმოდგენილია გეომეტრიულ ორნამენტთან, ფრინველის, ცხოველისა თუ სხვა გამოსახულებებთან ერთად [41, გვ. 34]. უფლისციხეში აღმოჩენილი რტო-ყლორტოვანი ორნამენტით შემკული ჯამები ფრაგმენტულობის გამო არ იძლევიან იმის წარმოდგენის საშუალებას, თუ რა სახის ორნამენტთან იყვნენ ისინი გამოსახული. ამდენად, მათი გაერთიანება რტო-ყლორტოვანი ორნამენტით შემკული ჯამების ქვეჯგუფში რამდენადმე პირობითია.

2. მრავალფრად მოჭიქულ ჭურჭელში ცალკე გამოიყოფა ფერადი საღებავით მოხატული ჯამები. მათი შიდაპირი შემკულია არა ამოკაწვრით, არამედ სხვადასხვა ფერის საღებავით. ჯამის შიდაპირი სოსნისფერი საღებავის ზოლით გაყოფილია ოთხ სექტორად. ხაზების გადაკვეთაზე გამოსახულია ოთხფურცლა ვარდული, რომლის ფოთლები შევსებულია მწვანე და სოსნისფერი

საღებავით (ტაბ. XV, სურ. 10). ზოგიერთ ჯამზე მწვანე და სოსნისფერი საღებავით გამოყვანილია ოვალური ან ურთიერთგადამკვეთი ზოლები (ტაბ. XV, სურ. 12, 13). გვხვდება ჯამები, რომელთა მოვარდისფრო ანგობით დაფარულ შიდაპირზე შემორჩენილია სოსნისფერი ზოლი (ტაბ. XV, სურ. 14).

მოხატული ჯამები ცნობილია: თბილისიდან, დმანისიდან, რუსთავიდან, უჯარმიდან, გუდარეხიდან [41, გვ. 50]. როგორც ფიქრობენ, ფუნჯით მოხატული ჯამები დაქვეითების გზაზე დამდგარი ხელოსნური ნაწარმია და ხმარებაში უნდა შემოსულიყო XIII ს-ის მეორე ნახევრიდან [74, გვ. 64; 44, გვ. 39]. უფლისციხის მოხატული ჯამები XIII-XIV სს-ს შეიძლება მივაკუთვნოთ.

3. XIV-XV სს-ით უნდა დათარიღდეს მოჭიქული ჯამების ერთი ჯგუფი, რომელიც ოთხი ერთეულითაა წარმოდგენილი. მკრთალი ნაკაწრებით მოხატული ვარდისფერანგობიანი შიდაპირი შემკულია ცისფერი და სოსნისფერი ლაქებით. გადავლებული აქვთ უფერული, კრიალა ჭიქური. თიხა მსხვილმარცვლოვანია, კეცი წითელი (ტაბ. XIV, სურ. 33). ანალოგიურად შემკული ჯამის ნატეხები აღმოჩენილია თისელის XIV ს-ის მიწურულითა და XV ს-ით დათარიღებული ნასოფლარის (ახალციხის რ-ნი) გათხრებისას (11).

გვიანდელი შუა საუკუნეების ფენებშია გამოვლენილი:

1. თეთრი ანგობით მოხატული და მწვანედ მოჭიქული ჯამების პირ-გვერდისა და ძირის ფრაგმენტები (ტაბ. XIV, სურ. 1-7). ამ ჯგუფის ჭურჭლებისათვის დამახასიათებელია კეცზე თეთრი ანგობით გამოყვანილი მსხლისფოთლისებური ორნამენტი, წრეები და «მოძ-

რაობის ხაზები.» გადავლებული აქვთ მუქი მწვანე ჭიქური. შემორჩენილი ფრაგმენტების მიხედვით ჯამები საშუალო ზომის უნდა ყოფილიყო.

2. თეთრი ხაზებით შემკული და უფერული ჭიქურით დაფარული ჭურჭელი განათხარ კერამიკაში ჯამის ძირ-გვერდის ერთადერთი ფრაგმენტითაა ცნობილი. კეცზე მწვანე, სოსნისფერი და ანგობის თეთრი ზოლებით გამოყვანილია გეომეტრიული ორნამენტი. გადავლებული აქვს უფერული, კრიალა ჭიქური (ტაბ. XIV, სურ. 11).

განსხვავებულ ჯგუფს ქმნიან მოჭიქული ჭურჭლები, რომელთა ორნამენტი გამოყვანილია ანგობით დაფარულ შიდაპირზე. ამ ჯგუფის კერამიკაში ორნამენტის მიხედვით გამოიყოფა რამდენიმე ქვეჯგუფი.

1. ანგობირებულ ზედაპირზე ამოკაწვრით მოხატული და მწვანედ მოჭიქული კერამიკა წარმოდგენილია ჯამების პირ-კალთის ნატეხებით (ტაბ. XIV, სურ. 15-18).

2. ანგობირებულ ზედაპირზე ამოკაწვრით მოხატული და ცისფრად მოჭიქული ჭურჭელი ჯამების ნატეხებია (ტაბ. XIV, სურ. 19-22, 24, 25).

3. სოსნისფრად მოჭიქული ჭურჭელი ჯამების კალთისა და ძირის ორი ფრაგმენტითაა წარმოდგენილი. ერთზე ამოკაწრულია მარყუჟები (ტაბ. XIV, სურ. 23). მეორე ნატეხზე ფრაგმენტულობის გამო ნაკაწრი არ შეიმჩნევა (ტაბ. XIV, სურ.26).

4. ცალკე გამოიყოფა ანგობით მოხატული და ცისფრად მოჭიქული ჯამის ერთი ფრაგმენტი. ჯამის შიშველი კეცი მოხატულია თეთრი ანგობით. გადავლებული აქვს ცისფერი ჭიქური. თიხა შედარებით მსხვილმარცვლოვანია, კეცი სქელი. გამომწვარია მოწითალოდ (ტაბ. XIV, სურ. 27).

ამგვარი ხერხით მოჭიქული ჭურჭელი მრავლადაა აღმოჩენილი: რუსთავში, თბილისში, უჯარმაში, გუდარეხში [41, გვ. 24, 25, 29], დმანისში [99, ტაბ. XXI], თელავში [74, ტაბ. VIII]. ისინი XI-XII სს-ით თარიღდება [41, გვ. 24, 25]. უფლისციხურ ჯამებს სტრატიგრაფიული მონაცემების მიხედვით XVI-XVII სს-ზე ადრეული ხანით ვერ დავათარიღებთ.

5. შიშველ კეცზე თეთრი ანგობის ზოლებით მოხატული და მწვანე ჭიქურის ლაქებით შემკული ჯამები ხუთი ერთეულია (ტაბ. XV, სურ. 17). ანალოგიური ორნამენ-ტით შემკული ჯამები მრავლადაა აღმოჩენილი აღმოსავლეთ საქართველოს შუასაუკუნეების განათხარ ძეგლებზე და ისინი XI-XIII სს-ით თარიღდება [50, გვ. 99; 74, ტაბ. XIV]. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ჯამები გაცილებით გვიანდელი ნაწარმია. ყველა მათგანი გვიანდელი შუა საუკუნეების კულტურული ფენებიდან მომდინარეობენ და XVI-XVII სს-ით შეიძლება დათარიღდნენ.

6. ვარდულებით შემკული ჯამები ორი ერთეულია. ერთ-ერთ ჯამს პირზე შემოუყვება მწვანე საღებავის ზოლი. უანგობო შიდაპირზე ამოკაწრულია ცხრაფურ-ცლოვანი ვარდული. ნაკაწრი ორნამენტი შევსებულია მწვანე და ყვითელი საღებავით. ვარდულის ფურცლების კიდეები შემკულია სოსნისფერი წერტილებით (ტაბ. XV, სურ. 18). ჯამი უფლისციხის გვიანდელი შუა საუკუ-ნეების კულტურული ფენიდან მომდინარეობს და XVII-XVIII სს-ით შეიძლება დათარიღდეს.

შიშველ კეცზე თეთრი ანგობის ზოლებით მოხატული, მწვანე ჭიქურის ლაქებით შემკული ჯამები (ტაბ. XV, სურ. 17), აგრეთვე ვარდულით შემკული ჯამები ქართუ-

ლი მოჭიქული კერამიკული წარმოების დეგრადაციის ამსახველი არტეფაქტებია. წინამორბედი, განვითარებული შუა საუკუნეების მოჭიქული კერამიკისაგან განსხვავებით ჯამები არ გამოირჩევიან არც მაღალხარისხოვანი და არც მაღალმხატვრული, დახვეწილი ორნამენტით.

7. ფირუზისფრად და მწვანედ მოჭიქული ჯამები ყველაზე მრავლადაა აღმოჩენილი XVII-XVIII სს-ის ნაგებობებში (ტაბ. XIV, სურ. 12-14; ტაბ. XV, სურ. 24, 25). ანალოგიური ჯამები დიდი რაოდენობით გვხვდება აღმოსავლეთ საქართველოს გვიანდელი შუა საუკუნეების განათხარ ძეგლებზე - თბილისი, თელავი, ჯავახეთის ახალქალაქი, კვეტერა [42,გვ.194, 195;74,გვ.79;98,ტაბ. X].

მოჭიქული კერამიკის ცალკე ჯგუფს შეადგენს ორმხრივ მრავალფრად მოჭიქული ჯამები, რომლებიც მხოლოდ გვიანდელ შუასაუკუნეებში გვხვდება.

1. ხის სტილიზებული გამოსახულებითაა შემკული ჯამის ძირის ნატეხი. ამოკაწრულ წრეში, მწვანე ფონზე გამოყვანილია სტილიზებული ხე, რომელსაც ამკობს ყავისფერი საღებავის სამი ლაქა (ტაბ. XV, სურ. 16). ჯამის პირ-გვერდის ნატეხზე ანგობის თეთრი ფერით, მწვანე და ყავისფერი საღებავებით წარმოდგენილია ხის სტილიზებული გამოსახულება. თეთრად ანგობირებული გარეპირი შემკულია ყავისფერი და მწვანე ვერტიკალური ზოლებით (ტაბ. XV, სურ. 19).

2. ორმხრივ ანგობირებული ჯამების შიდაპირი შემკულია ამოკაწრული რომბებით. ორნამენტი გახალისებულია მწვანე და ყვითელი ზოლებით. ჯამების გარეპირი მწვანედაა მოჭიქული (ტაბ. XV, სურ. 21-23).

3. უფლისციხის გვიანდელი შუა საუკუნეების განათხარ მასალაში ყურადღებას იპყრობს ერთი ჯამი, რომლის ანგობირებულ შიდაპირზე ამოკაწრულია მამაკაცი, იდაყვში მოხრილი მარჯვენა ხელით. მას ჰხურებია თავსაბურავი, რაზედაც მიუთითებს საფეთქელთან შემორჩენილი ხაზების მიმართულება. სახის წინ ამოკაწრულია ყვითელი ჭიქუროვანი საღებავით შევსებული მოგრძო ნივთის (კვერთხის?) ფრაგმენტი. ფიგურის გულმკერდზე გაღვრილია მწვანე, ხელზე კი ყვითელი საღებავი. ჯამს პირზე შემოუყვება წყვილი ნაკაწრი ხაზი და წარწერა სპარსულად _ «ალლაჰ.» წარწერა მეორდება და ორნამენტად შემოუყვება ჯამის პირს. მამაკაცი ჭურჭლის კიდეშია გამოსახული, რაც უეჭველს ხდის, რომ კომპოზიციაში ორი ფიგურა მაინც მონაწილეობდა. ჯამის გარეპირზე ამოკაწრული ხაზებით, მწვანე, ყვითელი და ანგობის თეთრი ფერით გამოყვანილია პირიდან ქუსლისაკენ დაშვებული შეისრულწვერიანი პარალელური ზოლები. ჭურჭელს შიდა და გარეპირზე გადავლებული აქვს უფერული, კრიალა ჭიქური (ტაბ. XV, სურ. 20). ქართული მოჭიქული კერამიკისათვის სხვა მოტივებთან ერთად, ადამიანის გამოსახულებით შემკული ჯამებიც არაა უცხო [99, ტაბ. XLVIII; 41, გვ. 44, 45], მაგრამ აღნიშნული ჭურჭელი რიგი ნიშნებით მკვეთრად ემიჯნება ქართული მოჭიქული კერამიკის ნიმუშებს. ეს ითქმის კეცის სტრუქტურაზე, ჭიქურის ელფერზე. ჯამზე გამოსახული ფიგურაც არაქართულია. ჭურჭელს პირზე შემოუყვება სპარსული წარწერა «ალლაჰ.» ქართულ ჯამებზე ნაკლებად, მაგრამ მაინც გვხვდება წარწერების იმიტაცია, ე. წ. კუფური ორნამენტი [41, გვ. 47, 48]. ჩვენს შემთხვევაში საქმე გვაქვს არა იმიტა-

ციასთან, არამედ წარწერასთან, რომელიც ორნამენტის ფუნქციასაც ასრულებდა. ყველა ნიშნის მიხედვით, ჭურ-ჭელი იმპორტულია. სავარაუდოდ, ირანის რომელიმე საწარმოო ცენტრში დამზადებული ეს ჯამი ჩვენში სავაჭრო-ეკონომიკური კავშირ-ურთიერთობების შედეგა-დაამოხვედრილი. ჯამი აღმოჩენის ვითარების მიხედვით XVII-XVIII სს-ით შეიძლება დავათარიღოთ.

ჭიქურის ელფერითა და ხარისხით აღწერილი ჯამი თითქმის იმეორებს ამოკაწრული რომბებით შემკულ, ორმხრივ მრავალფრად მოჭიქულ ჯამებს (ტაბ. XV, სურ. 21-23). შესაძლოა, ისინი სულაც ერთი სახელოსნოს პროდუქცია იყოს.

**კოჭობი.** უფლისციხეში ჯამების გარდა, სხვა სახის მოჭიქული ჭურჭელი ძალზე იშვიათია. მათგან აღსანიშნავია მინიატურული კოჭობი დაბალი ყელითა და მკვეთრად გამობერილი მუცლით (ტაბ. XV, სურ. 4). პატარა სამარილე გვერდის ნატეხითაა შემორჩენილი (ტაბ. XV, სურ. 9). ჭურჭლები ორმხრივ ფირუზისფრადაა მოჭიქული. ისინი გვიანდელი შუა საუკუნეების ნაწარმია და უფრო XVI-XVII სს-თ შეიძლება დათრიღდნენ.

**კრამიტები.** უფლისციხეში აღმოჩენილია მოჭიქული კრამიტის ორი ნიმუში. ისინი განვითარებულ შუა საუკუნეებს უნდა მიეკუთვნებოდნენ. ერთი მათგანი მწვანედაა მოჭიქული. ხასიათდება დაბალი, აკეცილი გვერდითა და მცირედ გამოშვერილი მუხლით. განიერ ბოლოზე აქვს გარდიგარდმო ღობე (ტაბ. XIII, სურ. 25). მეორე კრამიტის აკეცილ გვერდსა და სიბრტყეზე შეიმჩნევა სოსნისფერი ჭიქურის კვალი (ტაბ. XIII, სურ. 23).

მოჭიქული კრამიტები ცნობილია თბილისიდან [31, გვ. 151], მცხეთიდან [104, გვ. 37], კვეტერიდან და სხვა არაერთი ძეგლიდან. მოჭიქული კრამიტით ყოფილა დაფარული იშხნისა და ოშკის ტაძართა გუმბათები [24, გვ. 42, 48]. როგორც ფიქრობენ, მოჭიქული კრამიტების წარმოება XII ს-ში იწყება და თითქოს ისე ჩანს, რომ კრამიტის ეს სახე მარტო საქართველოსათვის ყოფილა დამახასიათებელი [104, გვ. 34].

**3. ლითონის ნივთები.** ციხის ტერიტორიის გათხრებისას გამოვლენილი შუასაუკუნეების ლითონის ნაწარმში ფუნქციონალური თვალსაზრისით გამოიყოფა: სამკაულები, საბრძოლო და სამეურნეო იარაღები, რელიგიური და სხვადასხვა დანიშნულების ნივთები.

სამკაულებიდან აღსანიშნავია ბრინჯაოს თავგახსნილი სამაჯური, სადა, ბრტყელგანივკვეთიანი რკალით (ტაბ. XVI, სურ. 1). მსგავსი სამაჯურები ცნობილია როგორც საქართველოს, ისე სომხეთისა და აზერბაიჯანის განვითარებული შუა საუკუნეების ძეგლებიდან [113, სურ. 147; 111, გვ. 102]. სამაჯური თანმხლები კერამიკული მასალის მიხედვით XII-XIII სს-ით შეიძლება დათარიღდეს.

იმავე პერიოდს უნდა მიეკუთვნებოდეს სპილენძის ბეჭედი, რომლის წნული ორნამენტით შემკულ ბრტყელგანივკვეთიან რკალზე მირჩილულია ექვსქიმიანი ვარსკვლავის ფორმის ფარაკი. ქიმების წვერზე მირჩილულია პატარა ნახევარსფეროები. ვარსკვლავის ცენტრში, მაღალ თვალბუდეში ჩასმულია მინისებური პასტის თვალი. ვარსკვლავის მთელი სიბრტყე შემკულია წნულებით (ტაბ. XVI, სურ. 2). შემკულობის მიხედვით (წნული ორნამენტი, ნახევარსფეროები) ბეჭე-

დი ახლოს დგას დმანისში აღმოჩენილ XII-XIII სს-ის ოქროსა და ვერცხლის სამკაულების ორნამენტთან [30, გვ. 17,18;22,გვ.28,29,ტაბ.V].

მეორე სპილენძის ბეჭედს აქვს ოვალური ფორმის მაღალი ფარაკი, რომელზეც გამოსახულია წერტილ-წრეების ორნამენტი (ტაბ. XVI, სურ. 3). ბეჭედი გვიანდე-ლი შუა საუკუნეების ფენაშია აღმოჩენილი და XVI-XVII სს-ით უნდა დათარიღდეს.

ტანსაცმელთან დაკავშირებული ნივთებიდან გვხვდება: რკინის საკინძი, მრგვალგანივკვეთიანი ღეროთი და სფერული თავით. სიგრძე 4,5 სმ (ტაბ. XVI, სურ. 4). მეორე საკინძი ბრინჯაოსია, მრგვალგანივკვეთიანი ღეროთი. სფერული თავი დამზადებულია ცალკე და ღეროზეა შემოჭედილი. სიგრძე 5 სმ (ტაბ. XVI, სურ. 5). ისინი ფორმითა და ზომებით მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ადრეულ შუა საუკუნეებში ფართოდ გავრცელებული საკინძებისაგან. ორივე საკინძი კლდეში ნაკვეთი კომ-პლექსის ზედა კულტურულ ფენებშია აღმოჩენილი და XVI-XVII სს-ით შეიძლება დათარიღდეს.

საბრძოლო იარაღი წარმოდგენილია რკინის ორფრთიანი ისრისპირებით (ტაბ. XVI, სურ. 6-13). მათ შორის ზოგიერთს ყუნწზე შემოუყვება წიბო. მსგავსი ფორმის ისრისპირები მრავლადაა მოპოვებული დმანისში, რუსთავში, ჟინვალში, გარნისში, დვინში და სხვა პუნქტებში. ისრისპირები ძირითადად უფრო განვი-თარებულ და გვიანდელ შუა საუკუნეებს უნდა მიეკუთვნოს. აღსანიშნავია, რომ უფლისციხეში არ აღ-მოჩენილა სამფრთიანი ისრისპირები, რომლებიც საკმაოდ მრავლად გვხვდება ადრეული შუასაუკუნეების ძეგლებზე [80, გვ. 126]. ეს გარემოება ალბათ უფრო იმით

უნდა აიხსნას, რომ მოსახლეობა სისტემატიურად წმენდდა კლდის ნაგებობებს, რასაც ადრეული შუასაუკუნეების ფენების დიდი ნაწილი შეეწირა.

სამეურნეო-საოჯახო ნივთები შედარებით მრავალფეროვანია. მათგან აღსანიშნავია თონიდან პურის ამოსაყრელი რკინის იარაღი - «კინჭუტი» (ტაბ. XVI, სურ. 14), რომელიც თონეების თანადროულია და უფრო XVII-XVIII სს-ით უნდა დათარიღდეს. სამეურნეო ნივთების ჯგუფს მიეკუთვნება სწორტანიანი, წრიული სატარე ნახვრეტის მქონე რკინის ცული (ტაბ. XVI, სურ. 15).

თავის დროზე ნ. რეხვიაშვილმა დაადგინა, რომ ეთნოგრაფიული «ქართული ცული» სატარე ნახვრეტის მიხედვით იყოფა ორ ჯგუფად: «მრგვლოვანი» და «კუთხოვანი.» ეს უკანასკნელი შედარებით მოგვიანო ხანაში ჩნდება. მას წინ უნდა უსწრებდეს «მრგვლოვანი» სატარე [54, გვ. 143]. ამასთან, ქართული ცულების ტიპიური თავისებურებაა განიერთავიანი სატარე. დამოწმებულია ცულის გამოჭედვის ორგვარი წესი: «ძველებური» და «ახლებური.» ძველი წესით გამოჭედვა გულისხმობდა საცულე რკინის გაბრტყელებას, რასაც «დედანი» ეწოდება. შემდგომ «დედანი» ორტოლად მოიკეცებოდა და შუაში ჩაერთვოდა რკინის ნაჭერი - «ყაფი,» რომლის მოვალეობასაც შეადგენდა ორად მოკეცილი საცულე «დედნის» შესქელება, რომ ცულს სოლისებური ტანი მიეღო. ტანდაქნილი ცული შემდგომ გაიწკიპებოდა და საბოლოოდ «გაიკაზმებოდა» [54, გვ. 143]. უფლისციხური ცული ეთნოგრაფიულ ქართულ ცულთან საკმაოდ დიდ მსგავსებას ამჟღავნებს. ეს უპირველესად ითქმის სატარეზე, რომელიც მრგვლოვანი და განიერთავიანია, რაც

ყველაზე მეტადაა დამახასიათებელი ქართული ცულისათვის. ამასთან, უფლისციხური ცული ე. წ. ძველი წესითაა გამოჭედილი, რაც ნივთზე შეუიარაღებელი თვალითაც კარგად შეიმჩნევა. მსგავსი ხერხით დამზადებული კიდევ ერთი ცულის ნატეხია აღმოჩენილი ჩრდილოეთ უბანზე (ტაბ. XVI, სურ. 16).

ნამგლის მოგრძო ტარი შედგება ერთმანეთთან სალტით დაკავშირებული ორი შეტყუპებული ღეროსაგან. პირი ფართოა და სწორი (ტაბ. XVI, სურ. 17). რუსთავიდან, დმანისიდან, ტამალას წმიდა გიორგის სახ. ეკლესიიდან (ასპინძის რ-ნი) ცნობილია განვითარებული შუა საუკუნეების ნამგლები [79, გვ. 168; 101, გვ. 71; 49, გვ. 58, 59]. უფლისციხური ნამგალი მათ ნაკლებად წააგავს და ქრონოლოგიურადაც დაშორებულია მათგან. ნამგალი და ზემოთ ნახსენები ცული (ტაბ. XVI, სურ. 15) ერთადაა აღმოჩენილი ჩრდილოეთი უბნის ერთ-ერთი გამოქვაბულის იატაკის დონეზე. მათთან ერთად გამოვლინდა გვიანდელი შუა საუკუნეების მწვანედ და ფირუზისფრად მოჭიქული ჯამები. ამდენად, ცულიცა და ნამგალიც უფრო XVII-XVIII სს-ით უნდა დათარიღდეს. ამავე ხანას უნდა მიეკუთვნოს იმავე უბანზე გამოვლენილი რკინის ცულისფრაგმენტიც (ტაბ.XVI,სურ. 16).

რკინის დანები ორი ტიპისაა: სწორტანიანი (ტაბ. XVI, სურ. 18, 20) და მოხრილი (ტაბ. XVI, სურ. 19). უკანასკნელნი მხოლოდ ორი ნიმუშითაა წარმოდგენილი. საერთოდ კი რკინის დანები მრავლად გვხვდება აღმოსავლეთ საქართველოს შუა საუკუნეების ძეგლებზე [108, გვ. 80].

სხვადასხვა დანიშნულების ნივთებიდან აღსანიშნავია რკინის ლურსმნები. ისინი ყველა ერთი ფორმისაა, დაბრტყელებული თავითა და მრგვალგანივკვეთიანი ღე-

როთი (ტაბ. XVI, სურ. 21). ციხის ტერიტორიაზე აღმოჩენილია ცხენის ნალებიც (ტაბ. XVI, სურ. 22). ლურსმნები და ნალები მრავლადაა აღმოჩენილისამხრეთ კავკასიისშუა საუკუნეების ძეგლებზე [108, გვ. 102].

ჩრდილოეთი უბნის გათხრებისას გვიანდელი შუა საუკუნეების კულტურულ ფენაში აღმოჩნდა ბრინჯაოს ზარის ნატეხი, რომელიც ბუნებრივია თავის დროზე, იქვე მდებარე ეკლესიას უნდა კუთვნებოდა. მასზე შემორჩენილია მხედრული წარწერის ფრაგმენტი « ...ულს გიორგი» (ტაბ. XVI, სურ. 23). ზარი XVII-XVIII სს-ით უნდა დათარიღდეს.

**4. მინის ნაწარმი.** განვითარებული შუა საუკუნეების მინის ნაწარმში გამოიყოფა სამკაულები და ჭურჭელი. უკანასკნელნი ყველა ფრაგმენტების სახით გვხვდება, რ-ის გამოც მათი ფორმების აღდგენა არ ხერხდება. მათგან აღსანიშნავია მომწვანო მინის ჭურჭლის ძირის შედრეკილი, თხელკედლიანი ფრაგმენტი (ტაბ. XVI, სურ. 27). ის ანალოგიური უნდა იყოს რუსთავიდან, გუდა-რეხიდან, დმანისიდან, და სხვა ადგილებიდან ცნობილი პირფართო სასმისების ძირისა, რომელთაც მ. ჩხატარა-შვილი მისეულ III ტიპში აერთიანებს და XII-XIII სს-ით ათარიღებს [77, გვ. 38].

XII-XIII სს-ის სამკაულები წარმოდგენილია ლურჯი, მწვანე და თაფლისფერი მინის ხუთი სამაჯურის ნატეხით. მათგან ორი სამკუთხაგანივკვეთიანია, სადა (ტაბ. XVI, სურ. 28, 29). დანარჩენები მრგვალგანივკვეთიანია, მსხვილად ან წვრილად გრეხილი (ტაბ. XVI, სურ. 30-32). სამკუთხაგანივკვეთიანი სამაჯურები აღმოჩენილია: დმანისში, თბილისში, უჯარმაში, ძველ ანაგაში, პეტრას ნაქალაქარზე [21, გვ.

109, 110]. გრეხილი სამაჯურებიც ასევე მრავლადაა ცნობილი საქართველოს განვითარებული შუა საუკუ-ნეების განათხარი ძეგლებიდან [21, გვ. 110, 111; 83, გვ. 58, 59]. უფლისციხის სამაჯურები XIII-XIV სს-ით შეიძლება დათარიღდეს.

ლურჯი მინის სფერული მძივები სულ ორი ცალია აღმოჩენილი. მათგან ერთი სიგრძივ ტანგოფრირებულია (ტაბ. XVI, სურ. 33), მეორე - ინკრუსტირებული (ტაბ. XVI, სურ. 34). მსგავსი მძივები ცნობილია რუსთავიდან, სიონიდან, აგრეთვე ერწოს, უჯარმისა თუ ჩრდილოეთ კავკასიის შუა საუკუნეების განათხარი ძეგლებიდან [50, გვ. 107]. ორივე მძივი ზოგადად განვითარებულ შუა საუკუნეებს უნდა მივაკუთვნოთ. თვალში საცემია ის გარემოება, რომ შუა საუკუნეების სხვა ძეგლებისაგან განსხვავებით, უფლისციხეში მინის ნაწარმი ერთობ მცირე რაოდენობითაა გამოვლენილი.

**5. ძვლის ნივთები.** დანიშნულების მიხედვით ისინი იყოფა ორ ჯგუფად - სამეურნეო-საოჯახო და სამკაულები. ცალკე შეიძლება გამოიყოს ნახევარფაბრიკა-ტები. პირველ ჯგუფს მიეკუთვნება სადგისები და საპრიალებლები, რომლებიც ტყავის დასამუშავებლად გამოიყენებოდა (ტაბ. XVI, სურ. 35, 36). მსგავსი იარაღები მრავლადაა ცნობილი შუა საუკუნეების განათხარი ძეგლებიდან [27, გვ. 17].

გვიანდელი შუა საუკუნეების კულტურული ფენებიდან მომდინარე მასალაში გვხვდება: მრგვალ-ბრტყელი, შუაში გახვრეტილი საინკრუსტაციო ფირფიტა, შემკული ამოკაწრული ექვსფურცლა ვარდულითა და წერტილ-წრეების ორნამენტით (ტაბ. XVI, სურ. 39); სხვადასხვა მოყვანილობის ნაპრიალები ფირფიტები (ტაბ. XVI, სურ.

40, 41). მსგავსი საინკრუსტაციო ფირფიტები ფართოდ გამოიყენებოდა პატარა ყუთების, ავეჯისა თუ სხვა საგნების შესამკობად (27, გვ. 16).

ძვლის ნაწარმში გვხვდება სამკაულები და ტანსაცმელთან დაკავშირებული ნივთები: წვრილფეხა ცხოველის მალისაგან დამზადებული, ტანდაფანჯრული საკიდი (ტაბ. XVI, სურ. 42); ლულოვანი ძვლისაგან დამზადებული საკიდი (ტაბ. XVI, სურ. 43); ნაპრიალები კვირისტავისებური ღილი, რომელსაც ტანზე შემოუყვება ორი წიბო (ტაბ. XVI, სურ. 44); ბრტყელგანივკვეთიანი ბეჭედი-საცერული, რომელსაც ზურგი შემკული აქვს მსხვილი წერტილებით გამოყვანილი ვარდულით. ზედაპირი მთლიანად დაფარულია წვრილი წერტილებით (ტაბ. XVI, სურ. 45). კვირისტავისებური ფორმის ღილები თუ ძვლის საკიდები მრავლადაა აღმოჩენილი სამხრეთ კავკასიის შუა საუკუნეების ძეგლებზე [27, გვ. 65-71]. რაც შეეხება ბეჭედს, მსგავსი ფორმის ძვლის ბეჭედი თვალბუდეზე წერტილ-წრის ორნამენტით, ცნობილია თბილისიდან, ერეკლე II-ეს სახ. მოედნიდან და მას გამთხრელები VI-X სს-ით ათარიღებდნენ [20, გვ. 28, ტაბ. 38]. ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-იან წლებში გამოითქვა სრულიად სამართლიანი აზრი, რომ ერეკლე II-ეს მოედანზე გამოვლენილი მასალის მთელი რიგი ჯგუფების დათარიღება ძალზე საეჭვოა [82, გვ. 148]. მათ შორის, ჩვენ საეჭვოდ გვეჩვენება ძვლის ბეჭდის ავტორებისეული თარიღიც. ვფიქრობთ, უფლისციხური ბეჭედი უფრო XVI-XVII სს-ით შეიძლება დათარიღდეს.

ძვლის ნაწარმიდან ცალკე უნდა აღინიშნოს ნახევარფაბრიკატები: ბოლოგადახერხილი, ზედაპირნაპრიალები

ეშვი (ტაბ. XVI, სურ. 37, 38). ამგვარად დამუშავებული ეშვი სიგანეზე იჭრებოდა თხელ ფირფიტებად, რომლებიდანაც შეიძლებოდა როგორც ბეჭდების, ისე საინკრუსტაციო ფირფიტების დამზადება (12). ჩანს, შუა საუკუნეების უფლისციხეში ძვლის ნივთებიც უმზადებიათ. თუმცა, საფიქრებელია, რომ ძვლის ნივთების წარმოებას არ უნდა ჰქონოდა მაინცადამაინც ფართო მასშტაბები.

**6. ქვის ნივთები.** მათგან პირველ რიგში აღსანიშნავია ხელსაფქვავის ქვები (ტაბ. XVI, სურ. 46), კევრის კოხები, ქვევრის სარქველები. იქვეა აღმოჩენილი წაკვეთილი კონუსის ფორმის ქვიშაქვის ორნამენტირებული კვირისტავის ნამზადი (ტაბ. XVI, სურ. 47).

ქვის საბრძოლო იარაღებიდან კლდეში ნაკვეთი კომპლექსის შუა საუკუნეების კულტურულ ფენებში მრავლადაა აღმოჩენილი საგანგებოდ გათლილ-დამუშავებული შურდულის ქვები და შედარებით მოზრდილი «ჭურვები.» უკანასკნელი განკუთვნილი იყო სატყორცნი მანქანებისათვის - ფილაკავნებისათვის. მათი უმრავლესობა ქვიშაქვისაა, რითაც ასე მდიდარია უფლისციხის მიდამოები. მასალიდან გამომდინარე, საფიქრებელია, რომ «ჭურვების» უმრავლესობა უფლისციხელებს ეკუთვნოდათ. ვინაიდან, საბრძოლო მოქმედებების დროს მტერს არ ექნებოდა საშუალება ისინი ასე საგანგებოდ და გულდასმით ემზადებინათ. თუმცა, რა თქმა უნდა, გამორიცხული არაა, რომ მათი ნაწილი მტრის ნატყორცნიც იყოს.

ქვის ნივთებს შორის ინტერესს იწვევს ქვიშაქვისაგან დამზადებული სხვადასხვა ზომის მრგვალ-ბრტყელი, შუაში გახვრეტილი ქვები (ტაბ. XVI, სურ. 48). მათგან

ერთი ცალი ორნამენტირებულიცაა (ტაბ. XVI, სურ. 49). იქ აღმოჩენილია ნაწილობრივ გახვრეტილი ცალებიც (ტაბ. XVI, სურ. 50). ამგვარი ქვები უფლისციხის მახლობლად, ყათლანიხევის სამლოცველოზე ჯერ კიდევ ძვ. წ. II ათასწ. მეორე ნახევარში გვხვდება [89, გვ. 24]. შემდეგ კი უფლისციხის არსებობის მთელ მანძილზე დასტურდება. როგორც ვ. ბარდაველიძე ფიქრობდა, გახვრეტილი საგნები ასტრალურ ღვთაებათა (მზის, მთვარის) ერთ-ერთ სიმბოლოს წარმოადგენდა და ფართოდ იყო გამოყენებულისაწესორიტუალებში[11,გვ.19,20].

ქვის ნივთებიდან აღსანიშნავია ორი მეტად საინტერესო ფორმის ქვიშაქვისაგან გამოთლილი ფიგურა. ერთი მათგანი ხასიათდება კონუსური თავითა და მოგრძო, ვერტიკალურად დაღარული ტანით, რომელიც დისკოსებური ძირით ბოლოვდება. ძირზე, ქვემოდან შემოუყვება ამოღარული წრე (ტაბ. XVI, სურ. 51). ნივთი აღმოჩნდა ჩრდილოეთი უბნის გვიანდელი შუა საუკუნეების ფენაში და უფრო XVII-XVIII სს-ით შეიძლება დათარიღდეს. მეორე ფიგურას აქვს კონუსური თავი, კვერცხისებური ტანი და ბრტყელი ძირი (ტაბ. XVI, სურ. 52). მისი თარიღის განსაზღვრა არ ხერხდება. ფიგურა ზოგადად შუა საუკუნეებს უნდა მიეკუთვნოს. რა დანიშნულებისაა ეს ნივთები ძნელი სათქმელია.

## თ ა ვ ი III

### სარიტუალო კერები

უფლისციხის არქეოლოგიურ მასალაში, ყურადღებას იპყრობს გვიანდელი შუა საუკუნეების თიხის სარიტუალო კერები. ძეგლის გათხრებისას სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა უბანზე ჩნდებოდა რქისებური შვერილებით შემკული თიხის კერების ცალკეული ნატეხები (ტაბ. XX, სურ. 3-7). მათი მთლიანობაში წარმოდგენა კარგა ხანს ვერ ხერხდებოდა, რის გამოც ამგვარი კერის ნატეხები თონის ან ჩვეულებრივი, პრაქტიკული დანიშნულების კერის ნაწილებად გაიაზრებოდა.

1981 წ. უფლისციხის ჩრდილოეთი უბნის სულ ზედა (I) ტერასის ერთ-ერთ საცხოვრებელ ნაგებობაში თონესთან ერთად გამოვლინდა შედარებით კარგად შემონახული სუსტად გამომწვარი კერა, რომელსაც ამკობდა ოთხი რქისებური შვერილი. კერა გეგმაში ოვალური იყო, აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე რამდენადმე წაგრძელებული. კერას დასავლეთიდან ებმოდა ორი მასიური წანაზარდი, რომელთა შუა არსებული თაღის კიდეებს შემოუყვებოდა ფართო ნაჭდევები. კერის დასავლეთ მხარეს სამი მოგრძო ქვით შემოსაზღვრულ სანაცრეში გაიწმინდა მოლესილი ნაცრის თხელი ფენა. კერას ემჩნეოდა ცეცხლის სუსტი კვალი (კერის ზომები: სიმაღლე 33 სმ, ზედა ნაწილის დიამეტრი 38-43 სმ, თაღის სიმაღლე 26 სმ, სიგანე 22 სმ. ტაბ. XIX, სურ. 1-3) (13). კერის ფორმა, შემკულობა, ცეცხლის სუსტი კვალი, მოლესილი ნაცარი, ნათლად მეტყველებდა, რომ იგი სარიტუალო იყო და მას არ ჰქონდა პრაქტიკული დანიშნულება. ამ აზრს აძლიე-

რებდა ის გარემოებაც, რომ ნაგებობის სამხრეთიდან მიერთებულ მეორე ოთახში აღმოჩნდა ქვის ფილებით შედგენილი კერა, რომლის პრაქტიკული დანიშნულება აშკარა იყო. გარდა ამისა, უფლისციხის გვიანდელი შუა - საუკუნეების ნაგებობებში ხშირად გვხვდებოდა პრაქტიკული დანიშნულების თიხის კერები, რომლებიც აღწერილ კერასთან შედარებით სრულიად განსხვავებული ფორმისაა.

ჩრდილოეთი უბნის ქვედა (II) ტერასაზე, ასევე საცხოვ-რებელ ნაგებობაში მიკვლეულ იქნა კერა, რომელიც წააგავს ზედა (I) ტერასაზე გამოვლენილ კერას, მაგრამ მასზე მცირე ზომისაა [122, გვ. 7, 14]. იგი წარმოადგენს თიხის სუსტად გამომწვარ, გეგმაში ნალისებური მოყვანილობის ნაგებობას, რომლის ქვედა ნაწილი ფარ-თოა, ზედა კი ღიაა, ჰორიზონტულად მოჭრილი და ძირთან შედარებით ვიწრო. კერის კედლებზე შიდა მხრი-დან შემორჩენილი იყო ორნამენტი - მცირე ზომის ამოკაწრული წრეები. კერას აღმოსავლეთიდან შემოწყობილი ჰქონდა ქვები. დასავლეთიდან გააჩნდა თაღი, რომლის ზედა ნაწილი არ შემორჩენილა. თაღის წინ, ქვებით ნახევარწრიულად შემოსაზღვრულ სანაცრეში აღმოჩნდა მოლესილი ნაცარი (კერის ზომები: სიმაღლე 35 სმ, ზედა ნაწილის დიამეტრი 17-22 სმ, ძირის დიამეტრი 40 სმ, თაღის სიგანე 26 სმ. ტაბ. XIX, სურ. 4). ცალკეულ დეტალებში განსხვავების მიუხედავად, ის ბევრ საერთოს პოულობს ზედა ტერასის კერასთან. ორივე გამართულია აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე, დასავლეთით მიერთებული სანაცრეებით, სადაც გამოვლინდა მოლესილი ნაცარი. ამავე მხრიდან აქვთ თაღები. ორივე გამომწვარია სუსტად. მათში ინთებოდა

სუსტი ცეცხლი და ბოლოს, არც ერთ მათგანს პრაქტიკული დანიშნულება არ ჰქონია.

სარიტუალო კერა გამოვლინდა ჩრდილოეთი უბნის იმავე (II) ტერასის კიდევ ერთ საცხოვრებელ ნაგებობაში. აღწერილი კერების მსგავსად ისიც გამართულია აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე. კერა ძლიერ იყო დაზიანებული. მისი ქვედა ნაწილი ნალისებური მოყვანილობისაა (14) და ამ მხრივ წააგავს მეორე კერას. გამომწვარია სუსტად. მეორე კერის მსგავსად, დასავლეთი მხრიდან აქვს ქვებით ნახევარწრიულად შემოსაზღვრული სანაცრე და თაღი, რომელიც ადრევე დაზიანებულა. აღმოსავლეთიდან მასაც შემოწყობილი ჰქონდა ქვები, რომელთაგან ერთი მოგრძო ქვა ვერტიკალურად იყო ჩასობილი (კერის ზომები: შემორჩენილი სიმაღლე 20 სმ, დიამეტრი 35 სმ. ტაბ. XX, სურ. 1) (15). კერის ჩაქცეული თაღის ერთ-ერთ ფრაგმენტზე რელიეფური ხაზებით გამოსახულია მარჯვნივ მიმართული, ცხენზე მდგარი ფრინველისთავიანი არსება. გამოსახულების მარცხენა ხელის წინ დაძერწილია ნახევარმთვარე, ხოლო ფრინველის თავთან ორი მცირე ზომის წრე - ალბათ მნათობები [38, გვ. 20]. თაღის კიდეზე შემორჩენილია ნაჭდევებით შედგენილი ორნამენტი (ტაბ. XX, სურ. 2). კერის თაღზე წარმოდგენილი კომპოზიცია უაღრესად პრიმიტიული და სქემატურია, მაგრამ სემანტიკის თვალსაზრისით ფრიად საინტერესო. ფრინველისთავიანი მხედრის გამოსახულების შესახებ თ. სანიკიძე აღნიშნავს: «ეს გამოსახულება ფორმითაც და შინაარსითაც უშუალოდ უკავშირდება წარმართული ხანის უძველეს საწესო-სარიტუალო ხელოვნების ნიმუშებს. არ არის გამორიცხული, რომ იგი უფლისციხის ისტორიის

დასაწყის ეტაპს ეკუთვნოდეს და იმ დროიდან რელიკვიად (ან შემთხვევით) შემონახული, ფეოდალური ხანის სარიტუალო კერაში ჩაედგათ სათაყვანოდ და სამკაულად» [61, გვ. 45]. ფორმითა და შინაარსით გამოსახულება მართლაც წარმართული რწმენის ანარეკლია, მაგრამ ფრინველისთავიანი მხედრის გამოსახულებას ვერ მივაკუთვნებთ უფლისციხის წარმართობის ხანას და იმ დროიდან შემონახულ გამოსახულებას. ის კერის ორგანული ნაწილია და მასთან ერთადაა შექმნილი გვიანდელ შუა საუკუნეებში. ფრინველისთავიანი მხედრის გამოსახულებამ კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ კერები მართლაც სარიტუალო დანიშნულების იყო.

თავის დროზე კერების ფუნქციონირების ზედა თარიღად XIV ს. იქნა მიჩნეული [117, გვ. 18]. შემდგომი კვლევა-ძიების შედეგად გაირკვა, რომ კერები გაცილებით გვიანდელია. სამივე კერა აღმოჩენილია კლდეში ნაკვეთი კომპლექსის ზედა კულტურულ ფენებში, რომლებიც მრავალრიცხოვანი კერამიკული მასალის (ორმხრივ მრავალფრად მოჭიქული ჯამები; მწვანედ და ფირუზისფრად ერთმხრივ და ორმხრივ მოჭიქული ჭურჭელი; შავად მოხატული და ფირუზისფრად მოჭიქული ჯამები, ფაიანსის ნატეხები და სხვ.) მიხედვით თარიღდება XVII-XVIII სს-ით. ამდენად, კერების თარიღიც ამავე პერიოდით უნდა განისაზღვროს. სამივე კერა (16) მოწყობილია არა საგანგებო, არამედ ჩვეულებრივ საცხოვრებელ ნაგებობებში და როგორც ჩანს, ისინი საოჯახო «სამსხვერპლოებს» წარმოადგენდნენ (17).

აღნიშნული კერების გარდა, უფლისციხის გათხრებისას სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა უბანზე ჩნდებოდა

ნატეხები, შემკული ამგვარი სარიტუალო კერების რქისე-ბური შვერილებითა და რელიეფური ტალღოვანი ორნამენტით (ტაბ. XX, სურ. 4-6). მათგან განსაკუთრებით საინტერესოა კერის მასიური თაღის ნატეხი, რომელიც შემკულია ამოღარული კონცენტრული წრეებითა (მზის სიმბოლო?) და ტალღოვანი ორნამენტით (წყლისა თუ გველის სიმბოლო?). ნატეხი ზედხედში წრიულია. მას გააჩნია რელიეფური შვერილი - რქის სტილიზებული გა-მოსახულება (ტაბ. XX, სურ. 3). ერთ-ერთ სარიტუალო კერის ნატეხზე, რომელიც კერის თაღის ნაწილია, რელიეფური ორნამენტით გამოყვანილ წრეში გამოსახუ-ლია ჯვარი (ტაბ. XX, სურ. 7).

უფლისციხის კერები გვიანდელი შუა საუკუნეების ძეგლებია, მაგრამ მათი ფორმა-მოყვანილობა, განსაკუთრებით შემკულობა, საზოგადოებრივ ცნობიერებაში საუკუნეების მანძილზე დალექილი წინაქ-რისტიანული ხანის რწმენა-წარმოდგენების გვიანდელი რემინესცენციის მატერიალური გამოხატულებაა. ვფიქრ-ობთ, უფლისციხის საკულტო კერების სახით საქმე უნდა გვქონდეს ქრისტიანობამდელი რწმენა-წარმოდგენების გამოძახილთან. კერების ორნამენტული მოტივები თუ მასზე გამოსახული კომპოზიცია (რქისებური შვერილე-ბი, კონცენტრული წრეები, ტალღისებური ხაზები, ნახე-ვარმთვარე, ფრინველისთავიანი მხედარი) სათავეს სწო-რედ წინაქრისტიანული ხანიდან იღებს.

უფლისციხის რქისებური შვერილებით შემკული კერები ზედხედში თითქმის იმეორებენ მტკვარ-არაქსის კულტურაში საყოველთაოდ ცნობილ სარიტუალო კერ-ებს, რომელთა რქისებურ შვერილებს მკვლევარები უკავშირებენ ხარის/მთვარის კულტს [28, გვ. 29, 30].

მსგავსების მიუხედავად, დროის უზარმაზარი მონაკვეთით დაშორების გამო, როცა შუალედური ძეგლები არ მოგვეპოვება, მათ შორის პარალელს ვერ გავავლებთ. ხარის კულტთანაა დაკავშირებული უფრო მოგვიანო პერიოდის, კერძოდ, გვიანდელი ბრინჯაოს ხანის სამლოცველოებში, მათ შორის უფლისციხის მახლობლად მდებარე ყათლანიხევის სამლოცველოზე გამოვლენილი რქისებური შვერილებით შემკული საკურთხევლები [90, გვ. 58].

უფლისციხის საკულტო კერების შემკულობაში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ერთ-ერთი კერის თაღზე დაძერწილი ფრინველისთავიანი მხედარი. ფრინველისთავიანი (მ. ხიდაშელის მიხედვით ფრინველისნიღბიანი) არსებები გამოსახულია ძვ. წ. IX-VII სს-ის ბრინჯაოს სარტყელებზე [94, ტაბ. XXXVIII 1], მაგრამ გვიანდელი შუა საუკუნეების კერაზე ამგვარი გამოსახულება რამდენადმე მოულოდნელი იყო.

უფლისციხის ფრინველისთავიანი მხედარი სიუჟეტის თვალსაზრისით მსგავსებას ამჟღავნებს გაცილებით ადრეულ, ძვ. წ. IV ს-ით დათარიღებულ ყანჩაეთის სამარხის [11]7, 8 საბეჭდავებთან, რომელთაგან პირველზე წარმოდგენილია ფრინველი, ფანტასტიკური (რქიანი) ცხენი და რვასხივიანი ვარსკვლავი [17 გვ. 35]. ი. გაგოშიძე ამ კომპოზიციაში ქართულ წარმართულ ღვთაებათა ტრიადას (მთვარე-ფრინველი, მზე-ცხენი, კვირია-ვარსკვლავი) ხედავს [17, გვ. 38]. ჩვენთვის კიდევ უფრო საინტერესოა ყანჩაეთის №8 საბეჭდავი, რომლის ფარაკზე გამოსახულია რვასხივიანი ვარსკვლავი და ფრინველისთავიანი შუბოსანი მხედარი ფანტასტიკურ რქიან ცხენზე [გაგოშიძე 1964, გვ. 38]. ი. გაგოშიძის დაკვირვებით, «თუ

17 საბეჭდავზე აისახა უმაღლეს ღვთაებათა ტრიადა, 18 საბეჭდავზე უკვე ერთი ღვთაების, მებრძოლი მხედარი ღვთაების გამოსახულება უნდა გვქონდეს.» ცხენი და ვარსკვლავი უკვე ამ ღვთაების ატრიბუტებად გვევლინებიან [17, გვ. 39]. მართალია, საბეჭდავებისა და კერის გამოსახულებები ერთმანეთისაგან ქრონოლოგიურად ძალზე დაშორებულია, მაგრამ შეუძლებელია მათ შორის მსგავსება ვერ შევნიშნოთ. ეს განსაკუთრებით ითქმის 18 საბეჭდავისა და კერის გამოსახულებაზე. შესაძლოა კერის თაღზე წარმოდგენილი ფრინველისთავიანი მხედარიც მთვარის ღვთაებას განასახიერებდა. მით უმეტეს, რომ მხედრის წინ სწორედ ნახევარმთვარეა დაძერწილი. ამ მოსაზრებას ისიც ადასტურებს, რომ უფლისციხის კერებზე დაძერწილი რქისებური შვერილები ხარის კულტთან უნდა იყოს დაკავშირებული. ხარი კი ძველ რელიგიებში მთვარის ღვთაებას განასახიერებს [29, გვ. 171]. ცნობილია, რომ მზის ღვთაება ხშირად ცხენის სახით გამოიხატებოდა [17, გვ. 36, ლიტ. იხ იქვე]. ამდენად არაა გამორიცხული, რომ კერაზე დაძერწილი ცხენი მზის ღვთაებას განასახიერებდა. თუმცა, ამ შემთხვევაში, ისევე როგორც ყანჩაეთის 18 საბეჭდავზე ცხენის (მზის) გამოსახულება უკვე მთვარის ღვთაების ატრიბუტადაა ქცეული. საინტერესოა ფრინველისთავიანი მხედრის ზემოთ დაძერწილი მცირე ზომის წრეები. მსგავსი წრეები გამოსახულია კერის შიდაპირზეც. თუ დავუშვებთ, რომ ისინი განასახიერებენ ვარსკვლავებს, მაშინ შეიძლება ვიფიქროთ, რომ საკულტო კერის თაღზე ზეცის მკვიდრთა (მხედარი-მთვარე, ცხენი-მზე, წრეები-ვარსკვლავები) გამოსახულებებია წარმოდგენილი.

უფლისციხის გვიანდელი შუა საუკუნეების კერები ფორმა-შემკულობით საკულტო და თანაც აშკარად წარმართული ხასიათისაა. რა თქმა უნდა, ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ კერასთან გარკვეული რიტუალის შემსრულებელი უფლისციხელი თავისი მრწამსით ქრისტიანია და არა წარმართი (18), მაგრამ გაუცნობიერებლად მათ სულიერ ყოფაში ქრისტიანობამდელი რწმენა-წარმოდგენებიც რომ იყო გარკვეულწილად დაუნჯებული, ამაზე სხვა ფაქტებიც მიუთითებს.

1982 წელს უფლისციხის ჩრდილოეთი უბნის XVII-XVIII სს-ის ერთ-ერთი, სხვებისაგან არაფრით გამორჩეული საცხოვრებელი ნაგებობის (საველე დოკუმენტაციის მიხედვით ნაგებობა №7), აღმოსავლეთი კედლის ცენტრალურ ნაწილში, აღმოჩნდა ერთმანეთისაგან 40-55 სმ-ით დაშორებული, სიმაღლეზე ჩასობილი და ზედ კედელზე მიდგმული სამი მოგრძო, მასიური ქვა. კედელ-სა და ქვებს შუა ჩადებული იყო თითო მომცრო ქვა (ტაბ. XIX, სურ. 5). თავიდანვე ცხადი იყო, რომ ამ ქვებს კონ-სტრუქციული დანიშნულება არ ჰქონდათ, მაგრამ მაშინ რას წარმოადგენდა ამგვარად ჩასობილი ქვები? მისი ფუნქციის გარკვევა მხოლოდ პარალელური მასალების მოშველიებით გახდა შესაძლებელი. ჟინვალის ნაქალაქა-რის გარეუბნის XII-XIII სს-ის ზოგიერთ ნაგებობაში (ნაგებობები №№11, 13, 15, 17, 18) გამოვლენილია თითქმის ისეთივე ფორმის სამშვერილიანი საკურთხევ-ლები მართკუთხა პოდიუმებითა და თავისი შენაწირე-ბით, რომლებიც მიჩნეულია წარმართულ საკურთხევლე-ბად და მათი არსებობა ახსნილია იქ მცხოვრებთა წარმართული რელიგიის კულტმსახურებისადმი ერთ-

გულებით [120, გვ. 112; 121, გვ. 57; 57, გვ. 19-24; 58, გვ. 108, 109]. მათ წარმართულ ხასიათზე უცილობლად მიუთითებს ის ფაქტი, რომ ზოგიერთი საკურთხეველი იდგა საგანგებოდ კონსპირირებულ ნაგებობაში, სადაც მოხვედრა შეიძლებოდა მხოლოდ იატაკის ქვეშ მოწყობილი საიდუმლო ხვრელით. ვისგან ცდილობდნენ ამ საკურთხევლების კონსპირირებას? რა თქმა უნდა ქრისტიანი მრევლისაგან. ძეგლის გამთხრელის, გ. რჩეულიშვილის აზრით, უეჭველია, რომ იქ სრულდებოდა წარმართული საიდუმლო კულტმსახურება [57, გვ. 19-24]. საყურადღებოა, რომ განვითარებული შუა საუკუნეების მსგავსი საკურთხევლები გამოვლინდა საკუთრივ ჟინვალის ნაქალაქარის ძირითადი კვარტლების ზოგიერთ სათავსოშიც [58, გვ. 108, 109]. ანალოგიური, ოღონდ ცოტა მოგვიანო (დაახლოებით XV ს-ის) ხანის საკურთხეველი გაითხარა სოფ. ბაგის (დუშეთის რ-ნი) ნასახლარზეც [59]. ასე, რომ უფლისციხის საკურთხეველი არაა ერთეული ან გამონაკლისი მოვლენა და მას ჟინვალისა თუ ბაგის საკურთხევლების სახით მოეპოვება პარალელები, რომელთა სემანტიკა კარგადაა გარკვეული [120, გვ. 112; 121, გვ. 57; 58, გვ. 108, 109]. თუ ჟინვალში წარმართული ხასიათის მქონე საკურთხევლების არსებობას ეძებნება ახსნა, ვინაიდან მთიდან დროდადრო ჩამოსახლებულ ახალმოშენეებს ეტყობა ჩამოჰქონდათ მთაში ჯერ კიდევ ცოცხლად არსებული წარმართული ტრადიციები და გარკვეულ დრომდე ინარჩუნებდნენ მას [52, გვ. 73], ცოტა უცნაურად გამოიყურება შუაგულ ქართლში - უფლისციხეში ამგვარი საკურთხევლის აღმოჩენა, მაგრამ ერთი უეჭველია, ჟინვალის განვითარებული და უფლისციხის გვიანდელი შუა საუკუნეების საკურ-

თხევლებს გარეგნულ მსგავსებასთან ერთად, ერთნარი ფუნქციონალური დატვირთვაც ჰქონდათ. ამგვარი საკურთხევლების სახით საქმე უნდა გვქონდეს ჯერ კიდევ წინაქრისტიანულ ხანაში ჩამოყალიბებული საკურთხევლების კანონიკურ ფორმასთან, რომელმაც საკმაოდ გვიანობამდე შემოინახა თავი. ჟინვალისა და უფლისციხის წარმართული ხასიათის საკურთხევლების ფორმები უთუოდ მომდინარეობენ ერთი ძირიდან, რომელიც წინაქრისტიანულ ხანაშია საძიებელი. სხვაგვარად წარმოუდგენელია ქრონოლოგიურად და ტერიტორიულად ერთმანეთისაგან დაშორებული ჟინვალური და უფლისციხური საკურთხევლების ასეთი მსგავსება, რაც რა თქმა უნდა შემთხვევითი არაა.

დ. ხახუტაიშვილმა პირველმა მიაქცია ყურადღება წერილობით წყაროებში დაცულ ორ უაღრესად საყურადღებო ცნობას, სადაც მითითებულია შუა - საუკუნეების უფლისციხეში წარმართული გადმონაშთების არსებობის შესახებ [90, გვ. 66, 67]. მხედველობაში გვაქვს ანტიოქიის მსოფლიო საეკლესიო კრების (451 წ.) ძეგლისდების ქართული თარგმანის (19) მინაწერი და ვახუშტი ბაგრატიონის ცნობა. პირველი წყარო გვამცნობს: «ესეცა გუესმა ქუეყანასა სომხითისა და ქართლისასა, რომელნიმე სურბსარგისს ჰმსახურებენ და რომელნიმე მაცთურთა მათ სახლის ანგელოზად უწოდებენ და ჰმსახურებენ სახედ კერპთა და რომელნიმე უჩინოთა ჰმსახურებენ, რომელნიცა ესევითართა ჰმსახურებენ, სადაცა სახლად, გინა გარეველთა, ანუ სადაცა კლდისპირთა, ანუ ხეთა და რომელნი ჭირვეულთა ჰკითხავენ და ისმენენ მათსა, ანუ მისანსა, ანუ მექრთილესა ... ანუ რაისაცა სამისნოისა მოქმედსა, ესე

ყოველნი გრძნეულთა და ეშმაკთა და იუდას გამცემელსა თანა დაისაჯნენ ... და რომელნი უფლისციხელთა ჰმსახურებენ (ხაზგასმა ჩვენია დ. მ.) და რომელნი ბორანიას ეშმაკთა თაყუანისცემენ კერპთა, რამეთუ ეშმაკნი არიან და ეშმაკეულნი და ქრისტეს უარისმყოფელნი არიან» [119, გვ. 200; 90, გვ. 66, 67; 61, გვ. 40]. ვახუშტი ბაგრატიონი კი გვამცნობს: უფლისციხე «იყო ქალაქი ჩინგისამდე, აწ არს შემუსვრილი. აქა არს ბუზნი. გამოსული იხილვების სპა-ლაშკარნი შუბოსანშვილდოსანნი, ცხენოსანნი, გალაშქრებულნი, ნიშვნენ მისნობად და უწოდებენ უფლისციხეს» [68, გვ. 36611-21] (ხაზგასმა ჩვენია დ. მ.).

ამ ცნობების ანალიზის საფუძველზე მკვლევარი მიუთითებდა: შუა საუკუნეების «უფლისციხეში იმდენად ძლიერი წარმართული სამისნო ყოფილა, რომ ქრისტიანობის ბატონობისას მისი სახელი მთელ ამიერკავკასიაში ყოფილა ცნობილი» [90, გვ. 66]. გასული საუკუნის 60-იან წლებში წერილობით წყაროებზე დაყრდნობით გამოთქმულმა ამ მოსაზრებამ სრული დადასტურება ჰპოვა უფლისციხის საცხოვრებელ ნაგებობებში გამოვლენილი გვიანდელი შუა საუკუნეების წარმართული ხასიათის საკულტო კერებისა და ქვებით შედგენილი საკურთხეველის სახით. უფლისციხის გათხრებმა სარიტუალო კერების სახით გამოავლინა საყურადღებო მასალა შუა საუკუნეების საქართველოში წარმართული გადმონაშთების შესასწავლად.

## თ ა ვ ი IV

### სამშენებლო საქმის ზოგიერთი საკითხი

სამშენებლო ხელოვნების თვალსაზრისით უფლისციხე უაღრესად საინტერესო ძეგლია. შუა საუკუნეების უფლისციხეში კარგადაა წარმოდგენილი კლდეში ნაკვეთი და ჩვეულებრივი მშენებლობის შერწყმის სურათი. ანტიკური ხანის კლდეში ნაკვეთი დარბაზები შუა საუკუნეებშიც ინტენსიურადაა გამოყენებული. იქ ვერ ნახავთ ანტიკური პერიოდის დარბაზს, რომელიც შუა საუკუნეებში არ იყოს გადაკეთებული. თავის მხრივ შუა საუკუნეებშიც გამოუკვეთიათ არქიტექტურული თვალსაზრისით საინტერესო რამდენიმე დარბაზი. ანტიკური ხანის მშენებლები კლდის დარბაზის უხეშად გამოკაფვის შემდეგ, კედლების ზედაპირს გულდასმით ამუშავებდნენ ისე, რომ კედლებს სავსებით სწორი ზედაპირი აქვთ და არ ეტყობათ კვალი იმ იარაღისა, რითაც კლდის კაფვა ხდებოდა. შუა საუკუნეებში ეს ხერხი მივიწყებულია. იმ პერიოდში გამოკვეთილი ან გადაკეთებული დარბაზების კედლებზე კარგად შეინიშნება იმ იარაღის კვალი, რომლითაც კლდე გამოუკვეთავთ [90, გვ. 25].

ანტიკური ხანის დარბაზების კედლების მაღალ დონეზე დამუშავება კლდის დასამუშავებელი იარაღების მრავალფეროვნებასაც გვაგულისხმებინებს. ამ მხრივ საინტერესოა უფლისციხეში დარღვეული კულტურული ფენიდან მომდინარე ქვიშაქვის ქვათლილის ფრაგმენტი (ტაბ. XVIII, სურ. 1). ამ ჯიშის ქვათლილებითაა ნაგები II უბანზე გამოვლენილი ელინისტური ხანის კედელი.

ქვათლილები ერთმანეთთან დაკავშირებული ყოფილა ლითონის სპეციალური სამაგრებით, რომლებიც სათანადო ფოსოებში მაგრდებოდა [89, გვ. 58]. ეჭვი არაა, რომ ქვათლილის ფრაგმენტი ელინისტური ხანისაა. მასზე შემორჩენილია სამაგრისათვის განკუთვნილი ფოსო, რომელიც უფლისციხეში მხოლოდ ანტიკურ კვადრებზე დასტურდება. როგორც ჩანს, აღნიშნული ქვათლილი დამუშავებისას დაზიანებულა (ქვათლილს თითქმის ნახევარი ჩამოტეხილი აქვს) და კედლის წყობაში აღარ გამოუყენებიათ. ქვაზე შეიმჩნევა ბრტყელი და წვეტიანი სამუშაო იარაღის კვალი (ტაბ. XVII, სურ. 3, 4). რაც შეეხება ქვის დანარჩენ ნაწილს, მასზე ამგვარი იარაღების კვალი გამქრალია კბილანიანი სამუშაო იარაღის (ეთნოგრაფიული «საკოდელის») გამოყენების შედეგად (ტაბ. XVIII, სურ. 5). ამგვარი იარაღით ქვა გაცილებით სუფთადაა დამუშავებული.

ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით, შესაძლებელი ხდება ქვის დამუშავების სრული ციკლის წარმოდგენა. ცნობილია, რომ კარიერიდან ქვის გამოსაღებად საჭირო იყო ხის ან ფოლადის სოლები, მარწუხები, ე. წ. «მართხა-ფი,» ურო და სხვ. ქვის შემდგომი დამუშავებისათვის იყენებდნენ: წერაქვს, წალკატს, კბილიან საკოდელს, რომელთა საშუალებით ქვის ზედაპირი გაცილებით სუფთად მუშავდებოდა [13, გვ. 169]. სწორედ ამგვარი იარაღების კვალი დასტურდება უფლისციხის ქვათლილ-ზე (ტაბ. XVIII, სურ. 3-5). მაგრამ ქვის დამუშავება ამით არ მთავრდებოდა. საინტერესოა, რომ II უბანზე გამოვლენილი ელინისტური ხანის კედლის წყობაში არ დასტურდება ისეთი ქვათლილები, რომელთაც კბი-ლანიანი «საკოდელის» კვალი ეტყობოდეს. როგორც ჩანს,

ქვის დამუშავების საბოლოო ციკლი გულისხმობდა ქვათლილის გახეხვა-გაპრიალებას შესაბამისი იარაღებით. ამგვარი იარაღების ჯგუფს განეკუთვნება ეთნოგრაფიულ ყოფაში დღემდე შემორჩენილი თხელი და ბასრი პირის მქონე საკოდელი, ე. წ. «ქასურები,» ქლიბი, ჭობოსანი და სხვ. [13, გვ. 172, 183]. მათი გამოყენების შემდეგ ქვა დასრულებულ სახეს იღებდა. ამგვარი იარაღების გამოყენების კვალი ჩვენს ქვათლილზე არ ჩანს ანუ ქვის დამუშავების ციკლი დასრულებული არაა. ეტყობა ქვა დამუშავების გარკვეულ ეტაპზე გასტეხიათ და მისთვის თავი მიუნებებიათ. რა თქმა უნდა, ძნელია გვიანდელი ეთნოგრაფიული მასალებით ანტიკური ხანის ქვის დასამუშავებელი იარაღების ფორმების წარმოდგენა. სავარაუდოდ, მაშინაც ძირითადად ამგვარი იარაღები უნდა გამოეყენებინათ.

ანტიკურ ხანასთან შედარებით, შუა საუკუნეებში ქვის დასამუშავებელი იარაღები უფრო მრავალფეროვანი თუ არა, ნაკლებად მრავალფეროვანი მაინც არ ჩანს. ამაზე მეტყველებს შუა საუკუნეების ქართული არქიტექტურული ძეგლები და ქვაში ნაკვეთი ორნამენტების უბრწყინვალესი ნიმუშები, რომელთა ჩამოთვლა ახლა შორს წაგვიყვანდა. ამ საერთო ფონზე, საშუალო საუკუნეების უფლისციხეში ქვითხუროობა საკმაოდ დაბალ დონეზე დგას, რაც გარკვეული ეკონომიკური მიზეზებით იყო გამოწვეული. შუა საუკუნეებში ხელოსნებს უსარგებლიათ მხოლოდ კლდის უხეშად დასამუშავებელი იარაღებით. იმ პერიოდში გამოკვეთილი თუ გადაკეთებულიდარბაზების კედლებზე მხოლოდ ბრტყელი და წაწვეტებულპირიანი იარაღის საკმაოდ უხეში კვალიდასტურდება (20).

ამრიგად, ანტიკურ ხანაში ქვისა და კლდის ზედაპირის დამუშავებისათვის განკუთვნილი სამუშაო ციკლი საკმაოდ ხანგრძლივი იყო და მოიცავდა ყველა ოპერაციას კლდის პირველადი დამუშავებიდან, მის გულდასმით გახეხვა-გაპრიალებამდე. შუა საუკუნეებში ეს ციკლი საგრძნობლად მოკლე იყო და გულისხმობდა კედლის პირველად დამუშავებას, ე. ი. დარბაზის გასამართავად საერთო მასივიდან გარკვეული მოცულობის კლდის გამოღებას და შემდგომ გამოქვაბულის კედლების დამუშავებას მხოლოდ უხეში იარაღით (წერაქვი, წალკატი). რაც შეეხება კლდის ზედაპირის გახეხვა-გაპრიალებას, ეს ოპერაცია აღარ შედიოდა მათ სამუშაო ციკლში.

გარდა კლდეში ნაკვეთი დარბაზებისა, უფლისციხეში კარგადაა წარმოდგენილი საცხოვრებელი და სამეურნეო დანიშნულების ქვით ნაგები შენობები, განსაკუთრებით გვიანდელი შუა საუკუნეებისა, რომლებიც კლდეში ნაკვეთ გამოქვაბულებზეა მიშენებული ან დამოუკიდებლადაა აგებული. ისინი მჭიდროდაა განლაგებული და სახლებს ხშირად ერთი კედელი ჰყოფთ. მშენებლობაში ნაკლებადაა გამოყენებული კირხსნარი (გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა). კედლები ნაგებია რიყისა და კლდის ფლეთილი ქვებით. მშენებლობაში იშვიათად გვხვდება აგური (ამ მხრივ გამონაკლისი IX-X სს-ის ბაზილიკა და იმავდროული ზღუდის კედლის აგურის ფენაა _ ტაბ. IV, სურ. 2; ტაბ. V). წყობა უმეტესად მშრალია ან შემაკავშირებელ მასალად თიხა-ტალახია გამოყენებული. ნაგებობები გეგმაში სწორკუთხაა ან ნახევარწრიული (ტაბ. II, სურ. 2). თუ კლდის ზედაპირი ჰორიზონტულია, საცხოვრებელი ნაგებობების კედლები

დაყრდნობილია უშუალოდ კლდის მასივზე, საძირკვლის გარეშე. დამრეცი რელიეფის შემთხვევაში კედლები ეყრდნობოდა კლდეში საფეხურისებურად ამოკვეთილ ბუდეებს. სახლების იატაკი უმეტესად კლდეა, იშვიათად - მიწატკეპნილი. ნაგებობის კლდის კედლებში ხშირად იკვეთებოდა სხვადასხვა ფორმისა და ზომის თახჩები. ქვით ნაგები შენობები ღარიანი და ბრტყელი კრამიტით ყოფილა გადახურული. სახურავი ეყრდნობოდა სათავსოს კუთხეებში ამოკვეთილ ორმოებში ჩადგმულ ხის ბოძებს. ნაგებობათა ნაწილის გადახურვა ბანური უნდა ყოფილიყო.

შუა საუკუნეების უფლისციხეში ხით ნაგები შენობების არსებობაც დასტურდება. ერთ-ერთი ამგვარი ნაგებობა, რომელიც გვიანდელი შუა საუკუნეებისაა, მდებარეობს IX-X სს-ის ბაზილიკის აღმოსავლეთით, მისგან სამიოდე მეტრზე (ტაბ. XVI, სურ. 6). ნაგებობიდან შემორჩენილია ხის ძელების ჩასამაგრებელი ორმოები (სიღრმე 60 სმ-მდე, დმ 40-50 სმ). ნაგებობის კედლები, როგორც ჩანს, შეფიცრული უნდა ყოფილიყო, რადგან ბოძების ჩასამაგრებელი ორმოების დიდი ზომები და ის გარემოება, რომ ორმოები ერთმანეთისგან 1-1,5 მ-ითაა დაშორებული, იქ სარ-ლასტის გამოყენებას არ გვავარაუდებინებს. სარ-ლასტი ფართოდ ჩანს გამოყენებული ნაგებობების წინ გამართული ეზოების შემოსაზღუდად. საამისოდ, ნაგებობის წინ, კლდეში იკვეთებოდა ერთმანეთისაგან 20-30 სმ-ით დაშორებული მცირე ზომის (დიამეტრი 10-12 სმ) ფოსოები, რომლებშიც სარები მაგრდებოდა და მასზე ხის წნული კეთდებოდა.

თ ა ვ ი V

## შუა საუკუნეების უფლისციხის მეურნეობა

არქეოლოგიური მასალა გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის შუა საუკუნეების უფლისციხის მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობის შესახებ. შუა საუკუნეების კულტურულ ფენებში აღმოჩენილი კევრის კოხები, ხელწისქვილის ქვები, თონეების სიმრავლე (21), მარცვლეულის შესანახი ოვალურკედლიანი მოზრდილი ორმოები (ხაროები) (ტაბ. XVIII, სურ. 1) იმაზე მიუთითებს, რომ «ზენა სოფლის» სხვა პუნქტებთან ერთად, უფლისციხელთა სამეურნეო საქმიანობის წამყვანიდარგი მარცვლეულიკულტურების წარმოება ყოფილა.

რადგან ორმოები ვახსენეთ, ორიოდე სიტყვით შევჩერდებით მათი ფუნქციის შესახებ, ვინაიდან უფლისციხეში აღმოჩენილ ორმოებს ზოგი მკვლევარი საკულტო ორმოებად მიიჩნევს [60, გვ. 30]. კლდეში ნაკვეთი კომპლექსის ორმოები ორი ტიპისაა. 1. ოვალურკედლიანი, ძირისაკენ თანდათან გაფართოებული (ყველაზე დიდი ორმოს ზომები: სიღრმე 4,5 მ, მუცლის დიამეტრი 3,2 მ, ძირის დამეტრი 3,8 მ) და 2. ცილინდრული ფორმის ვიწრო, ღრმა ორმოები (მაქსიმალური სიღრმე 4-5 მ, დიამეტრი 1-1,2 მ). პირველი ტიპის ორმო, ამოკვეთილი ოთხსვეტიანი ბაზილიკის იატაკში, ჯერ კიდევ 1958 წელს აღმოჩნდა და თავიდანვე ის სამეურნეო ხაროდ იქნა მიჩნეული [87, გვ. 2]. ამ ტიპის ორმოები შემდგომში არაერთი გამოვლინდა. ცენტრალურ და ჩრდილოეთ უბანზე 7 ამგვარი ორმოა გათხრილი. ყველა მათგანი განლაგებულია ნაგებობის

შიგნით ან მის სიახლოვეს. ისინი გადახურული რომ ყოფილა, ამაზე მიუთითებს ორმოების პირზე ამოკვეთილი 4 ფოსო. ჩრდილოეთი უბნის ერთ-ერთი ორმოს პირზე 8 ფოსოა ამოკვეთილი. ზოგიერთ მკვლევარს ციფრი 8 საკრალურ ციფრად, ორმოები კი საკულტო დანიშნულებისად მიაჩნია [60, გვ. 30]. თუმცა, ეს ორმო მხოლოდ გამონაკლისი შემთხვევაა და ამით საერთოდ, ორმოების საკულტო ხასიათის მტკიცება საეჭვოდ გამოიყურება (22). ყველა ამგვარ ორმოზე შემორჩენილია კედლების უხეში დამუშავების კვალი, რაც მხოლოდ შუა საუკუნეების უფლისციხის სამშენებლო ხელოვნებისთვისაა დამახასიათებელი. ვფიქრობთ, აღნიშნული ორმოების უმრავლესობა შუა საუკუნეებშია ამოკვეთილი ან გადაკეთებული მაინც და ისინი ჩვეულებრივი სამეურნეო ორმოები - ხაროებია.

ათასწლეულების განმავლობაში იქ, სადაც სოფლის მეურნეობის წამყვან დარგად მემინდვრეობა ყალიბდებოდა, მის პარალელურად იქმნებოდა სხვადასხვა ფორმისა და ტევადობის სათავს-საცავები. ამ საცავებიდან ერთ-ერთი ყველაზე უძველესია ხარო. მისი გავრცელების უმთავრეს კერებს წარმოადგენდა მემინდვრეობის ისეთი ცენტრები, როგორიცაა შიდა და ქვემო ქართლი, ქიზიყი, სამცხე-ჯავახეთი. ხარო ქართველი გლეხკაცისათვის იმდენად ტრადიციულსა და ოპტიმალურ ნაგებობას წარმოადგენდა, რომ რიგ რაიონებში, მაგ. სამცხე-ჯავახეთში ის თითქმის გასული საუკუნის 30-40-იან წლებამდე გამოიყენებოდა [76, გვ. 155]. ხარო ოჯახს კარმიდამოს ან უშუალოდ სახლის ფარგლებში ჰქონდა [97, გვ. 211; 76, გვ. 156-157].

რაც შეეხება უფლისციხის მეორე ტიპის ორმოებს, ისინიც საკულტო ორმოებადაა მიჩნეული [60, გვ. 30]. აღნიშნული ორმოები იმდენად ღრმა და ვიწროა, რომ ისინი მარცვლეულის შესანახად ვერ გამოდგებოდა. ვფიქრობთ, ორმოები წყლის რეზერვუარებია. ფიქრობენ, რომ უფლისციხის კლდე წყალს ვერ იკავებს, ამიტომ ეს ორმოები წყლის ცისტერნებად არ გამოდგებოდა [61, გვ. 21]. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი მტკიცება მოკლებულია ყოველგვარ რეალობას. ჯერ ერთი - ჩრდილოეთი უბნის ერთ-ერთ ასეთ ორმოში წყალი თითქმის მუდმივად დგას. მეორეც - ხანგრძლივი დროის განმავლობაში ჩვენ საშუალება გვქონდა დიდი წვიმების შემდეგ დავკვირვებოდით ამგვარი ორმოებიდან წყლის გაჟონვის ინტენსიურობას. ეს პროცესი იმდენად უმნიშვნელო აღმოჩნდა, რომ ფაქტიურად მხედველობაში არაა მისაღები და მესამეც - სრულიად წარმოუდგენელია უფლისციხელ მეურნეს ამოეკვეთა საწნახელები იმ კლდეში, რომელიც სითხეს ვერ იკავებდა. ასეთ შემთხვევაში ხომ ის მოსავლის დიდ ნაწილს დაკარგავდა?! ასე, რომ უფლისციხის კლდე სითხეს იკავებს და საკმაოდ კარგადაც. ამდენად, სავსებით შესაძლებელია ამგვარი ორმოები წყლის რეზერვუარები ყოფილიყო. საინტერესოა მათი განლაგების კანონზომიერება. სამხრეთ უბანზე, რომელიც ყველაზე ახლოსაა მტკვართან, ისინი საერთოდ არ აღმოჩენილა. ცენტრალურ უბანზე გვხვდება ორი ამგვარი ორმო და ორივე გზის პირასაა გამართული. სამი ორმო აღმოჩნდა ჩრდილოეთ უბანზე, რომელიც მდინარისაგან ყველაზე მოშორებულია. ამასთან, ყველა მათგანი ნაგებობის გარეთაა გამართული. ამრიგად, რამდენადაც ვშორდებით მდ. მტკვარს, შუა საუკუნეებში

უფლისციხელთათვის წყლით მომარაგების მთავარ არტერიას, ამ ტიპის ორმოები თანდათან მატულობს. ჩრდილოეთი უბნის გათხრებისას გამოვლინდა ერთი ამგვარი ორმო, რომელმაც კარგად განსაზღვრა ამ ორმოების ფუნქცია. საქმე ისაა, რომ ორმო ამოკვეთილი იყო ბუნებრივი ხევის დაბოლოებაზე, ისე, რომ ატმოსფერული ნალექები თვითდინებით პირდაპირ ორმოში მიემართებოდა. ცილინდრული ფორმის ორმოების კედლები გულდასმითაა დამუშავებული, რაც ასე დამახასიათებელია ანტიკური ხანის უფლისციხის სამშენებლო ხელოვნებისათვის. არ უნდა იყოს საეჭვო, რომ მათი უმრავლესობა ანტიკურ ხანაშია ამოკვეთილი, თუმცა შემდგომშიც ინტენსიურად გამოუყენებიათ.

შუა საუკუნეების უფლისციხეში სოფლის მეურნეობის მეორე მნიშვნელოვანი დარგი მევენახეობა-მეღვინეობაა. კლდეში ნაკვეთ ნაგებობებში, რომლებიც ინტენსიურად იყო გამოყენებული შუა საუკუნეებშიც, მრავლად ჩნდებოდა მოზრდილი ქვევრები და ქოცოები (ტაბ. X, სურ. 1-11).

ცენტრალურ უბანზე, ე. წ. «მაყვლიანის» სატაძრო კომპლექსის აღმოსავლეთით მიმდებარე ნაგებობაში გაითხარა გვიანდელი შუა საუკუნეების მოზრდილი მარანი (ტაბ. III, სურ. 1), სადაც კლდეში ამოკვეთილ 11 საქვევრე ორმოდან მხოლოდ ერთში აღმოჩნდა ქვევრის ფრაგმენტები (ტაბ. X, სურ. 1). საქვევრე ორმოების ზომების გათვალისწინებით, მარანი საკმაოდ დიდი ტევადობის უნდა ყოფილიყო.

უფრო დიდი ტევადობის 11 ქვევრიანი მარანია გამოვლენილი ცენტრალურ უბანზე, ორსვეტიანი დარბაზის («თამარის დარბაზის») ჩრდილოეთ

სათავსოში (ტაბ. IV, სურ. 1). კლდეში ამოკვეთილ საქვევრე ორმოებში სხვადასხვა ზომის ქვევრები წელამდე ანუ საქვევრე ორმოების პირამდე იყო შემორჩენილი. ორმოები ამოკვეთილია ინდივიდუალურად, თითოეული ქვევრისათვის მათი ზომების გათვალისწინებით. ორმოს შიდაპირსა და ქვევრის გარეპირს შორის დატოვებული სივრცე ამოვსებულია დუღაბით. ყველაზე დიდი ქვევრის შემორჩენილი ნაწილის დიამეტრი 120 სმ-ია, ყველაზე პატარასი - 50 სმ. თუ არსებული ფრაგმენტების მიხედვით ვიმსჯელებთ, დიდი ქვევრების საშუალო სიმაღლე 2 მ-ს აღწევდა. ჩანს, იქ ღვინის საკმაოდ დიდი მარაგი ინახებოდა. თავის დროზე ეს მარანი XI-XIII სს-ის ძეგლად იქნა მიჩნეული იმ მიზეზით, რომ უფრო გვიან უფლისციხეში ამგვარი მარნის გამართვა აღარ იყო სავარაუდო [90, გვ. 31]. მარანს დამათარიღებელი მასალა არ მოუცია, მაგრამ ქვევრების ფორმები, მათი თიხის სტრუქტურა და სხვ. იმის მანიშნებელია, რომ ორსვეტიან დარბაზში მარანი გვიანდელ შუა საუკუნეებში გაუმართავთ. მართალია, იმ პერიოდში უფლისციხე აღარ პირველობს ისე, როგორც ადრე, მაგრამ იქ ცხოვრება მაინც გრძელდება. გვიანდელი შუა საუკუნეების საცხოვრებელი და სამეურნეო დანიშნულების ნაგებობებით ინტენსიურადაა ათვისებული კლდეში ნაკვეთი კომპლექსის მთელი ტერიტორია.

ჩრდილოეთი უბნის 58 ქვევრიანი მარანი კლდეში ამოჭრილი კონუსური ფორმის საქვევრე ორმოების სახითაა შემორჩენილი. ორმოები ერთმანეთის ახლოსაა გამართული სამ ჯგუფად, რომლებიც სამ სხვადასხვა ნაგებობაშია მოქცეული. საქვევრე ორმოებიდან მხოლოდ

ზოგიერთში აღმოჩნდა შუა საუკუნეების იერის მქონე ქვევრის ძირის ფრაგმენტები (23).

